საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

სოლ. ყუბანეიშვილი

დავით გურამიშვილი
ქართულ ჰუსართა პოლკში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1955

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт истории грузинской литературы имени Руставели

С. Н. КУБАНЕЙШВИЛИ

ДАВИД ГУРАМИШВИЛИ

В ГРУЗИНСКОМ ГУСАРСКОМ ПОЛКУ

Издательство Академии наук Грузинской ССР

Тбилиси—1955

I

მე-18 საუკუნეში ახლო აღმოსავლეთის საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იდგა ოსმალეთის, სპარსეთისა და რუსეთის მხრივ. აღნიშნულ სახელმწიფოთა ინტერესები ხშირად ეჯახებოდნენ ამ საკითხში ერთმანეთს, რამაც ყველაზე მწვავე ხასიათი მიიღო მე-18 საუკუნის ოციანი წლებიდან. ამ დროს სპარსეთი დაუძლურების გზაზე იდგა, რასაც კარგად ამჩნევდნენ როგორც რუსები და ოსმალები, ისე ქართველებიც. ამიტომ ვახტანგ VI შეუდგა ქართლის სპარსელებისაგან განთავისუფლების სამზადისს.

ვახტანგ VI სამხედრო კავშირი დაიჭირა რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველთან იმ იმედით, რომ უკანასკნელის დახმარებით ის (ე. ი. ვახტანგი) არა თუ თავიდან მოიცილებდა სპარსელების ბატონობას, არამედ ოსმალების მიერ მიტაცებულ სამცხე-საათაბაგოსაც დაიბრუნებდა.

1722 წ. რუსეთის ჯარი თერგიდან დარუბანდისაკენ დაიძრა. ვახტანგ VI კი თავისი ჯარით განჯას ჩავიდა. აქ უნდა შეხვედროდა რუსის ჯარს, მაგრამ ვიდრე უკანასკნელი განჯას ჩაეიდოდა, მანამდე პეტრე პირველმა, თავისი ჯარის ეკონომიური პირობების გართულების გამო, გეგმა შეცვალა, —ლაშქრობა 1724 წლისათვის გადადო.

ვახტანგ VI იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო.

ვახტანგ VI-ის გადადგმულ ნაბიჯს გულისწყრომით შეხვდა სპარსეთის შაჰი და არც ოსმალეთის ხონთქარი დარჩა მადლიერი. უკანასკნელი ცდილობდა ვახტანგ VI-ის მოკავშირეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად იმუქრებოდა. ვახტანგ VI-ს რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდა და ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა, რათა მრისხანე მტრების მოსალოდნელი თავდასხმა თავიდან აეცილებინა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, განრისხებულმა შაჰმა ვახტანგ VI ურჩობისათვის სასტიკად დასაჯა. ჩამოართვა ქართლი და კახეთის მმართველს, გამაჰმადიანებულ კონსტანტინეს გადასცა. უკანასკნელმა 1723 წელს სპარსელებისა და დაქირავებულ ლეკთა დიდძალი ჯარით ააოხრა თბილისი, ხოლო იმავე წლის 10 ივნისს

ჰაღარამოსილი თბილისი უომრად იგდო ხელთ ოსმალთა ჯარმა[1], ქართლში ოსმალური წესწყობილება დამყარდა. ამის შემდეგ ვახტანგ VI-ს ქართლში აღარ ედგომებოდა. ერთადერთი თავშესაფარი მას რუსეთში ჰქონდა, საიდანაც სწერდნენ, რომ გადასულიყო იქ (ე. ი. რუსეთში) და თან წაეყვანა 2 ან 3 ათასი ქართველი მეომარი[2]. ვახტანგს არწმუნებდნენ, რომ მას და მის მხლებლებს რუსეთში არ მოაკლებდნენ მუდმივ მზრუნველობას და აღმოუჩენდნენ მორალურსა და მატერიალურ დახმარებას[3].

ვახტანგ VI ცოლით, შვილებით, ძმითა და ამალით წავიდა რუსეთში რაჭის გზით 1724 წლის 15 ივლისს.

ვახტანგის ამალის წევრი, გაბრიელ გელოვანი, თავის „მცირე ანდერძში“ წერს, როდესაც ვახტანგი თავისი ამალით მივიდა სოლაღის ციხეში, წარგზავნა „ელჩი თვისი სარდარი ამილახვარი ვახტანგ პეტერბურხს მადლობითა და თაყვანის-სცემით მაღალთა ხელმწიფეთად“[4]. ამ ცნობას ადასტურებს ამალის მეორე წევრი ფავლენიშვილიც. უკანასკნელი თავის პოემა „ვახტანგიანში“ წერს: როდესაც ამალა სოლაღის ციხეში მივიდა, ვახტანგს გამოეცხადა „დიდი სარდალი“ და

ჰკადრეს: ხელმწიფეს აცნობეთ, შეიქენით აქა მყოფი,
იამების, მალ აბრუნებს, ხანი არ ქნას დანამყოფი,
თქვენს თვისტომსა ჰმუნავა შუა შეექნების გასაყოფი,
ამზადებენ ამილახორს, ჰკუა—რიგი აქვს საყოფი.

გამოისტუმრეს, დაედერეს ზღვაში ჩქარათ ვლა ნავითა,
ხმელზე სიფიცხე სიქველით, არ საქციელის ავითა,
გაქვს ერთგულობა სიყრმითვე მემაჯანისა მკლავითა,
მღრთის ჩრდილს შეკადრე, მოგეხედოს კეთილის საკრუნავითა (სტრ. 119—120)[5].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 371—372.

[2] Цагарели А., Сношения России с Кавказом, 1891, Спб., стр. 31.

[3] Бутков П. Р., Материалы для новой истории Кавказа, ч. I, 1869, Спб., стр. 63 (ეს ნაშრომი ქვემოთ დასახელებული იქნება შემოკლებით: Материалы).

[4] გ. გელოვანი, მცირე ანდერძი, დაბეჭდილია აქვე, გვ. 117—120.

[5] სოლ. ყუბანეიშვილი, ვახტანგიანი (ლიტერატურული ძიებანი, ტ. IV, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1948, გვ. 175—217).

ორი თუ სამი თვის შემდეგ, გადმოგვცემს ფავლენიშვილი, ასტრახანში ვახტანგ VI-სთან „მოვიდა ამილახვარი, დიდ ხელმწიფესთან წასული“ (სტრ. 126, 2). დასახელებული ამილახვარი არის თავადი ვახტანგ ავთანდილის ძე ამილახვარი, რომელსაც 1724 წ. 10 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის წარუდგენია ვახტანგ VI-ის ამალის ნუსხა[1]. მაგრამ არც ფავლენიშვილის და არც გაბრიელ გელოვანის ცნობა მთლად ზუსტი არ არის. როგორც ვახტანგ VI-ის მიერ საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი და დარეჯან ბატონიშვილისადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს[2], ქართლის მეფეს ვ. ამილახვართან ერთად პეტერბურგში გაუგზავნია ფრანგისტან დავითის შვილი. ეს ის ფრანგისტანია, რომელიც მეფის ამალაში თურქისტანიშვილის გვარით არის აღნიშნული. ამას გარდა, როგორც ერთი დოკუმენტიდან ჩანს, ვ. ამილახვარს რუსეთში თან გაყოლია მეფის ამალის ათი წევრი, რომელთა შორის ოთხი ყოფილა ვ. ამილახვარის მოსამსახურე და 2 ფრანგისტან თურქისტანიშვილისა.

ვახტანგ ამილახვრის ჯგუფი სოლაღიდან წასულა 1724 წ. 5 სექტემბრის შემდეგ. ასტრახანიდან პეტერბურგში გამგზავრებისას მათ მიუღიათ ექვსი კვირის ულუფა: ვ. ამილახვარს დღეში 50 კაპ., მის მსახურებს—ხუთ-ხუთი კაპ., ფ. თურქისტანიშვილს—15 კაპ., მსახურებს კი — ორ-ორი კაპიკი[3]. გამყოლად დაუნიშნავთ ნოვგოროდის დრაგუნის პოლკის ვახმისტრი მიხეილ ვასილის ძე ლიხარევი[4].

ვახტანგ ამილახვარი პეტერბურგში ჩავიდა 6 ნოემბერს[5]. ვიანაიდან იმ დროს იმპერატორი ავად იყო, უკანასკნელმა უბრძანა გენერალ-პროკურორს, რომ სენატს მიეღო ვახტანგ ამილახვარი და მოესმინა მისთვის[6]. 7 ნოემბერს ვახტანგ ამილახვარმა საგარეო

---

[1] ასტრახანის მიტროპოლიტის ლავრენტის ცნობით, ვახტანგის ამალა ასტრახანში მისულა 1724 წ. 8 ნოემბერს (ლენინგრადის სახელმწიფო ისტორიული არქივი [ქვემოთ დასახელებული იქნება ЦГИАЛ], ფონდი 796, № 157), ფ. 1.

[2] რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი (ქვემოთ დასახელებული იქნება АВПР), ფონდი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა“, საქ. № 2, 1724, ფ. 19, 41; Броссе М., Переписка грузинских царей с Российскими государями, Спб., 1861, стр. 157—158, 161—162.

[3] იქვე, ფ. 16, 58.

[4] იქვე, ფ. 62.

[5] АВПР, ფონდი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა“, საქ. № 2, 1724, ფ. 62.

[6] Бутков П. Г., Материалы, стр. 64.

საქმეთა კოლეგიას გაუკეთა მოხსენება და წარუდგინა ვახტანგ მეფის შემდეგი შინაარსიս წერილი:

ქ. ნდაბალი მონა და მსახური მაღლის!

მე, მეფე ვახტანგ, ამას მოვახსენებ კარსა ცათა მობაძავსა: ჩვენი გამოსულა და დიდებული ბრძანება ექნათ და წყალობა ჩვენი გამოყუანა, და წამოვედით. ძლიერი და უძლეველი მაგათი ჯარი მაიორ იანარალის გაბრიელ სვიმონიშვილს გამოეგზავნა. ამათის ძლიერებით და გარჯით უზიანოდ გამოვედით და აქ, ბედნიერს ჯვარის ციხეში, მოვედით აგვისტოს ლ"ა. ვართ აქ მაგათი მლოცველი.

მინდოდა მარტო, სანამდის ზღვა წახდებოდა, ვხლებოდი და მაგათი ფეხის მთხვევნა გვღირსებოდა. მაიორ იანარალიმაც ხელი შოგვიმართა, მაგრამ, რადგან მაგათი ბძანება აქ არ დაგვხვდა, ველარ გავბედეთ და ვართ აქ დიდებულის ბრძანებლის მაყურებელნი.

ჩვენი გაჭირება და ჩვენის ქუეყნის ამბავი ამას უწინ ბევრჯელ დიდებულს კარზედ მოგვიხსენებია. მას უკანდელი წიგნის სიგ[რ]ძისათვის აწ წიგნში ვერ გავბედეთ. წიგნად ჩემის დის ბატონიშვილის დარეჯანისათვის მოგვიწერია.

ჩვენი ზემო ქართლის სარდალი კნიაზი ამილახორი ვახტანგ ავთანდილის შვილი და კნიაზი ფრანგისტან დავითის შვილი გვიახლებია და, თუ უბძანებენ, ჩვენს სიტყუას ესენი მოახსენებენ. სხუა ნება მაგათი არის[1].

ამ წერილში არსებით საკითხებზე, დიპლომატიური მოსაზრებით, არაფერია ნათქვამი. ამის შესახებ ვ. ამილახვარს ზეპირად უნდა მოეხსენებია საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის, რაც მან კიდევაც შეასრულა.

პეტრე პირველს განზრახული ჰქონდა ვახტანგ მეფის ამალა დაესახლებია წმ. ჯვრის ციხის მახლობლად, ანდა სადმე საზღვართან ახლოს. პირადად ვახტანგი ფიქრობდა დასახლებულიყო სოფ. ანდრეევის მახლობლად[2], მაგრამ ეს განზრახვა ვახტანგს შემდეგ უარუყვია და იმპერატორისათვის უთხოვნია, ნება დაერთო მისთვის მცირე ამალით გადასულიყო საცხოვრებლად შუა რუსეთ-

---

[1] АВПР, ფონდი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა", საქ. № 2, 1724, ფ. 19, წერილს თავზე აწერია: „იმპ[ე]რატორისა". უთარიღოა, დაწერილია მდივან-მწიგნობრული ხელით. მეორე გვერდზე დასმულია ვახტანგ მეფის ბეჭედი; იხ. Броссе М., Переписка грузинских царей с Российскими государями, Спб., 1861, стр 157–158.

[2] Бутков П. Г., Материалы, стр. 63–64.

ში. ეს თხოვნა იმპერატორს შეუწყნარებია. უკანასკნელი ვახტანგ VI-ს სწერდა:

Светлейший принц!

Писание ваше от 5 сентября чрез присланного от вас генерала князя Вахтанга Амилахора, мы получили, из которого, також изыустного доношения оного генерала со удоволствием уведомились о благополучном вашей светлости со всею вашею фамилиею в крепость Святого креста прибытии. А потом получили мы другую ведомость, что уже вы счастливо прибыли в Астрахань. К понеже оной присланной доносил нам о том, что ваша светлость желаете сами к нам быть в малой свите. Того ради мы на то позволили и указы надлежащие командиром нашим послали, дабы вас к нам со всяким удоволствием отправили. А по приезде вашем к нам обо всем с вами переговорено и надлежащее определение учинено будет, и пребываем мы вам всегда благосклонны[1].

ამ წერილის მიღების შემდეგ ვახტანგ მეფე შეუდგა სამზადისს და 1725 წ. თებერვალში მცირე ამალით გაემგზავრა პეტერბურგში იმპერატორ პეტრე პირველთან.

II

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ ამილახვარს ვახტანგ მეფის წერილთან ერთად რუსეთში წაუღია ვახტანგ მეფის ამალის ნუსხაც, რომელიც მას წარუდგენია საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის 1724 წლის 10 ნოემბერს[2].

ვახტანგის ამალის ძირითადი ნუსხა შედგენილი იქნებოდა საქართველოში, როდესაც თვით ამალა ჩამოყალიბდა. ამილახვრისეული ნუსხა (ქვემოთ *A* ლიტერით აღნიშნული)[3] ალბათ წარმო-

[1] АВПР, ფონდი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა", საქ. № 2, 1724, ფ. 19. ეს წერილი რუსულ-ქართულ ენებზე პეტერბურგში მიიღო ვახტანგ ამილახვარმა 1724 წ. დეკემბრის 14. წერილი ქართულად უთარგმნია არტილერიის კაპიტან-პორუჩიკს თავად გიორგი დადიანს. რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში დაცულია ქართული თარგმანის შავი ცალი (საქ. № 2, 1724, ფ. 80).

[2] XVIII ს. კალენდარი 11 დღით ჩამორჩება თანამედროვე კალენდარს. ყველგან დატოვებული გვაქვს XVIII ს. კალენდრის ჩვენება.

[3] АВПР, ფონდი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა", 1724, საქ. № 3, ფ. 1—47.

ადგენს აღნიშნული ნუსხის პირს. *A* ნუსხა ისეა შედგენილი, რომ ქართველ მწერალს რუსული ტექსტისათვის შიგადაშიგ ჩასაწერად ცარიელი ადგილი დაუტოვებია. ასე რომ, *A* ნუსხა თავიდანვე განზრახული ყოფილა რუსეთში წარსადგენად. ეს ნუსხა ალბათ გადმოწერილია სოლაღში[1], სადაც ვახტანგ მეფეს

ჰკადრეს: ხელმწიფეს აცნობეთ, შეიქენით აქა მყოფი,
იამების, მალ აბრუნებს, ხანი არ ქნას დანამყოფი,
თქვენს თვისტომსა ჰმუნვა შუა შეექნების გასაყოფი (სტრ. 119).

სეხნია ჩხეიძის ცნობით ვახტანგ მეფემ სოლაღში დაყო ერთი თვე[2]. რაკი იმპერატორთან დელეგაციის გაგზავნა შეიქნა საჭირო, უკანასკნელს თან უნდა წაეღო ამალის სიაც, რომ რუსეთის მთავრობას ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა ვახტანგის თანმხლებელთა შემადგენლობის შესახებ.

ქართული *A* ნუსხა გადაუთარგმნია რუსეთში თევდორე პროტოპოპოვს და შესატყვისი ქართული ტექსტისათვის ქვემოთ მიუწერია. შემდეგ რუსული ტექსტი ცალკე გადაუწერიათ და ქართული ტექსტისათვის დაურთავთ (ფ. 25—47). თ. პროტოპოპოვის თარგმნილი ნუსხა შეუმოწმებია საგარეო საქმეთა კოლეგიის კანცელარისტის თანაშემწეს სპირიდონ ლარიონოვს.

A ნუსხის ქართული ტექსტი დაწერილია ოთხ სვეტად, სვეტები ერთიმეორისაგან გამოყოფილია სწორი ვერტიკალური ხაზებით. პირველ სვეტში მოთავსებულია მამაკაცთა სია, მესამეში— დედაკაცთა და მათი მხლებლებისა, მეორე და მეოთხე სვეტში აღნიშნულია მხლებელთა რაოდენობა.

ქართული ტექსტი დაწერილია ლამაზი მხედრული ხელით და შეიცავს 23 ფურცელს, თითოეული ფურცელი ჩასმულია ლამაზ სწორხაზოვან ჩარჩოში.

ქართული და რუსული ტექსტები არ არიან ერთმანეთთან სრულ თანხმობაში. არის შემთხვევები, როდესაც *A* ტექსტი მეტ ცნობებს შეიცავს, ვიდრე რუსული (ქვემოთ *B* ლიტერით აღნიშნული). მაგ., *A*-ში კაცური ოთარისშვილის ოჯახის შემადგენლობის რაოდენობა ცალ-ცალკეა ნაჩვენები, *B*-ში კი მოცემულია მათი საერთო ჯამი. ასეთივე მდგომარეობაა არსენ მანგლელ ეპის-

[1] ეს ნუსხა არაა შედგენილი ასტრახანში როგორც გ. ლეონიძე ფიქრობს („ლიტერატურული გაზეთი", 1953, № 4). ვახტანგ ამილახვარი რუსეთში გაემგზავრა სოლაღიდან, ამიტომ ნუსხაც აქ უნდა შედგენილიყო ან გადმოწერილიყო ვახტანგ IV-ის ზედამხედველობით.

[2] საქართველოს ცხოვრება, II გამოცემა, 1913, გვ. 39.

კოპოსის მხლებელ აზნაურთა და მსახურთა შესახებაც. *A*-ში ქაიხოსრო ზაზას შვილი დასახელებულია ციცით, ე. ი. ციციშვილად, *B*-ში კი ციცი არაა აღნიშნული.

B-ს აკლია ქრისტეფორე მთავარეპისკოპოსის მხლებელი აზნაურები და მსახურნი. აკლია აგრეთვე პაატა გურიულის მეღვინე უმცროსი და რუსუდან დედოფლის ქალის რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვი.

A-ში ყალიონ-ყორჩი ნიკოლოზ დასახელებულია მამელიშვილად, *B*-ში მამელიშვილი არაა აღნიშნული.

A-ში აღნიშნულია ოთარ ჩოლოყაშვილის მეუღლე თამარი 1, მისი ქალიშვილი 2, *B*-ში ჩოლოყაშვილის მეუღლის სახელი ნაჩვენები არაა, ამას გარდა, *B*-ში მეუღლე და ქალიშვილები ერთადაა დასახელებული „княгиня его да княжны, всего 3".

B ტექსტში ყველგან გამოტოვებულია ტერმინი „ხელჯოხიანი".

A-ში აღნიშნულია დურმიშაან დურმიშხანიშვილი, *B*-ში დურმიშხანიშვილი არაა მოხსენებული.

სულხან ელიზბარიშვილის შესახებ *A* ტექსტში წერია, რომ მას ახლავს კარის მღვდელი 1 და მსახური 10, B-ში კარის მღვდლის რაოდენობა არაა აღნიშნული.

არის საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როდესაც ქართული (*A*) ტექსტი ნაკლებ ცნობას იძლევა, ხოლო რუსული—(*B*) უფრო ვრცელს, მაგ., *A* ტექსტში გაერთიანებულია სეხნია აბაზაძის მკერვალი და დალაქი, მათ საერთო ჯამად ნაჩვენებია 5, *B* ტექსტში კი დაზუსტებულია: მკერვალი 4, დალაქი 1.


A ტექსტში გიორგი ბატონიშვილის აზნაურიშვილებისა და მსახურთა რაოდენობა აღნიშნულია ერთად—8 კაცი, *B*-ში აზნაურიშვილი დასახელებულია 4 და მსახური—8.

ისიდორე კანდელაკისშვილი *A*-ში მარტოა დასახელებული, *B*-ში კი მიწერილია: „при нём служителей 1". *A* ტექსტში აღნიშნულია მარტო სახელი „უთრუთ", *B*-ში გვარიცაა [აბაზაძე].

A-ში დასახელებულია გურგენ თამაზის შვილის ძე ავთანდილი, *B*-ში კი სახელის მოუხსენებლად წერია: „შვილები 2".

A ტექსტში არაა აღნიშნული ცნობა ვახუშტის ვაჟიშვილის შესახებ, B-ში დასახელებულია იოანე და დავითი.

B ტექსტში აღნიშნულია, რომ საბა და ზოსიმე ორბელიანებს ახლდა ერთი აზნაურიშვილიო, რაც უცნობია *A* ტექსტისათვის.



A ნუსხის ფოტოპირი

ზოგ შემთხვევაში *A* და *B* ტექსტებს შორის მოიპოვება ერთი-მეორის საწინააღმდეგო ცნობები.

ზაალ მეითრიშვილის მეუღლის თინათინის მხლებელთა რიცხვი *A*-ში არის 4, *B*-ში—3.

უთრუთ აბაზაძის მსახურთა რაოდენობა *A* ტექსტით ერთი ყოფილა, *B*-თი ორი.

ნოდარ აბაშიშვილის მხლებელ აზნაურთა რაოდენობა *A* ტექსტის ცნობით ორია, *B*-თი ერთი.

გერაქი იარაღი დავითის ნაცვლად *B* ტექსტში წერია: „купчина дворянин Зураб Георгиев сын“.

A ტექსტში დასახელებულია ზაალ მეითრიშვილი, *B*-ში კი — ზურაბ მეითრიშვილი, სამაგიეროდ *A*-ში გამორჩენილია ზაალის შვილის ზურაბის სახელი.

A ტექსტის ზოგ შეცდომას ასწორებს *B* ტექსტი. მაგ., *A*-ში ზაზას შვილის ციცის ოჯახის შემადგენლობის რაოდენობა აღნიშნულია ბ-თი, რაც შეცდომაა. ეს შეცდომა *B*-ში გასწორებულია (აღნიშნულია 1).

B ტექსტში შეცდომითაა ორჯერ დაწერილი ონანა გიორგის შვილი და მისი მსახური.

შეცდომითაა აგრეთვე *B* ტექსტში გადატანილი ზაზას შვილი Заалов-ად, ბაადურ — Баур-ად, იარაზაშვილი — Яраза-დ, ფაველნიშვილი — Павлович-ად.

ერთ შემთხვევაში გადათეთრებული რუსული ტექსტი ავსებს *AB*-ს ხარვეზს, ასე მაგ., *AB* ტექსტში არაა აღნიშნული იობ გიორგისშვილი ზინდარის ოჯახის შემადგენლობის რაოდენობა, რუსულ გადათეთრებულ ტექსტში კი აღნიშნულია 1.

A ტექსტში ზურაბ დავითის ძე ენდრონიკაძე მკრთალადაა დაწერილი, ეტყობა დაწერის შემდეგ მოუნდომებიათ მისი ამოშლა. იგი *B* ტექსტშიც არაა გადატანილი, ამიტომ ამალის რაოდენობათა საერთო ჯამში არც ჩვენ შეგვიტანია.

ეს მაგალითები იმის მაჩვენებელია, რომ მთარგმნელს თეიმურაზ პროტოპოპოვს უზის ვახტანგ VI-ის ამალის წევრი (შეიძლება წევრებიც), რომლის კარნახითაც იგი წერს რუსულ ტექსტს და გზადაგზა შეაქვს შესწორებანი.

A ნუსხის მიხედვით ვახტანგ VI-ის ამალა შვიდ ჯგუფად ყოფილა დაყოფილი: ვახტანგ VI, რუსუდან დედოფლის, ბატონიშვილების—ბაქარის, სეიმონის და ვახუშტის, მეფის რძლების, ძმისშვილებისა და ბოლოს სასულიერო პირთა. ორივე ნუსხის (*AB*) შეს-

წავლიდან ირკვევა, რომ პირადად ვახტანგის ამალაში ირიცხებოდა 530 წევრი, ამათში 108 ქალია; რუსუდან დედოფლის ამალაში—101, აქედან ქალი 19; ბაქარის ამალაში—242, აქედან 41 ქალია: სვიმონის—83, მათ შორის 13 ქალია; ვახუშტის—93, აქედან 17 ქალია; მეფის ძმების და ძმისშვილების—42, მათ შორის 16 ქალია; სასულიერო პირთა რაოდენობა თავიანთი მსახურით 117. სულ ვახტანგ VI-ის ამალაში ყოფილა 1208 პირი, რომელთაგან 214 ქალია. ასე რომ, ვახტანგის ამალის რაოდენობის შესახებ არც ფავლენიშვილის (1200) და არც „მატიანის“ (1400) ცნობა ზუსტი არ არის. ამ საკითხში *AB* ნუსხების ცნობები განსხვავდებიან ელიზბარ ორბელიანის ნუსხისაგანაც. უკანასკნელში ვახტანგის ამალის რიცხვი აღნიშნულია ციფრით 1286, რომელიც შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	მამრ.	მდედრ.	სულ
ართველი მეფე და მისი გვარეულობა	12	11	23
მისი სამხედრო	13	—	13
და სასახლის პირნი	420	68	488
სამხედროთა ცოლ-შვილნი	8	9	17
სასახლის პირთა ცოლ-შვილნი	12	28	40
სამხედროთა მოსამსახურენი და მოახლენი	140	39	179
სასახლის პირთა მოსამსახურენი და მოახლენი	345	41	386
სასულიერო პირები	38	4	42
ამათი მსახურნი	98	—	98
სულ:	1086	200	1286

ორბელიანის აღნიშნული ნუსხის ჩვენს ხელთ არსებულ ასლს აწერია: 1725 წ. აგვისტოს დღე[1]. თუ ეს სია აღნიშნული წლის მონაცემების მიხედვით არის შედგენილი, მაშინ ამალის რიცხვი 76-ით გაზრდილა, რაც საეჭვოა, რადგანაც 1725 წელს ვახტანგის ამალას ახალი წევრები არ შემატებია[2].

ვახტანგ VI გარდაიცვალა 1737 წ. 25 მარტს. იმავე წლის 11 მაისს მეფის სასახლის კაბინეტმა გრაფ ანდრია ივანეს ძე ოს-

[1] ШГИАЛ, ფონდი 746, საქ. № 272, ფ. 6.

[2] აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, Ros—335. ერთ დოკუმენტში ვახტანგის ამალის რიცხვი ნაჩვენებია 1185 (იხ. АВПР, ფონდი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა“, 1724, საქ. № 2, ფ. 11, 38).

ტერმანის და თავად ალექსი მიხეილის ძე ჩერკასკის ხელმოწერით აცნობა გრაფ სიმონ სალტიკოვს, რომ შეედგინა ვახტანგის ამალის წევრთა ზუსტი სია, რომელსაც დართული უნდა ჰქონოდა აბსოლუტური სიზუსტის შემცველი შემდეგი ცნობები: ვინ, როდის და რამდენი მოვიდა რუსეთში ან გაბრუნდა საქართველოში, ვინ გარდაიცვალა, რამდენია ამჟამად სახეზე, ვინ რამდენს იღებს ჯამაგირს, პურს, შეშას, ქერს, შვრიას და თივას.

ვახტანგის სასახლეში დაცული ცნობების მიხედვით მაისის ბოლო რიცხვებში სალტიკოვმა შეადგინა უწყისი, რომელიც შემოწმებულ იქნა 30 მაისს ვახტანგ მეფის სასახლის რწმუნებულის პოდპოლკოვნიკ პეტრე აკსაკოვის მიერ; 1737 წ. 31 მაისს ნუსხა გადაეგზავნა დანიშნულებისამებრ მეფის სასახლის კაბინეტს.

ნუსხა დაცული ყოფილა მოსკოვის მეფის სასახლის არქივის საერთო განყოფილებაში (Московское отделение Общего Архива Министерства императорского двора, опись 6, т. I, № 206). შემდეგ გადმოუღიათ ამ ნუსხის ასლი. უკანასკნელი დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, Ros—335. ნუსხას დართული აქვს 1734—1737 წლების მიმოწერა ვახტანგ VI-ის, რუსუდან დედოფლის, ბატონიშვილების — ბაქარის, ვახუშტისა და სხვ. გრაფ სვიმონ ანდრიას ძე სალტიკოვთან.

ხელნაწერი დაწერილია რუსულ ენაზე, შეიცავს 80 ფურცელს, ზომა 36,5×21,5 სმ. საერო პირთა ნუსხის ტექსტი (გვ. 33—103) დაწერილია ფურცლის ორივე გვერდზე, სხვა ტექსტი კი ცალ გვერდზეა დაწერილი. 98 გვერდის მომდევნო ორი გვერდი ცარიელია, რომელიც ხელნაწერის გვერდების ნუმერაციაში შეტანილი არაა. ცარიელია აგრეთვე უკანასკნელი 115-ე ფურცლის v გვერდი, r გვერდზე დაწებებულია ხელწერის ასლები ბატონიშვილის ბაქარის, დედოფალ რუსუდანისა და სხვ.

თავისი ცნობებით ეს ნუსხა (ქვემოთ *C* ლიტერით აღნიშნული) საყურადღებოა, თუმცა ზოგი რამ აქაც არ არის რიგზე. ასე მაგ., *C* ნუსხაში ზოგ შემთხვევაში აღნიშნულია მხოლოდ ამალის წევრთა არსებული რაოდენობა, მათი მოსვლის, წასვლისა და გარდაცვალების წლები, სხვა ცნობები კი ნაჩვენები არაა (ბაქარის ამალის ნაწილი, სვიმონ ბატონიშვილის, გიორგი ვახტანგის ძის და ვახუშტის). ზოგ სასულიერო პირზე აღნიშნულია მხოლოდ ცნობა— ჩარექი, მაგრამ რისი ჩარექია ხორბლის, ქერის თუ სხვ. მითითებული არაა.

ეგორ მაჩაბლის ოჯახის სულადობის რაოდენობა აღნიშნულია ხუთი, სახელობითი სიით კი ცხრა გამოდის; იესე ბარათაშვილის—დასახელებულია სამი, გამოდის კი შვიდი. ცნობათა ასეთი აღრევა *C* ნუსხაში იშვიათი არაა.

გაურკვეველია ზაალ თუმანიშვილისა და მის მოსამსახურეთა რაოდენობის მდგომარეობა. მათ შესახებ აღნიშნულია მხოლოდ—1728 წელი. რა მოხდა ამ წელს (მოვიდნენ, წავიდნენ თუ გარდაიცვალნენ) ნუსხიდან არ ჩანს. გაუგებრობაა აგრეთვე ავთანდილ თავყელიშვილის მხლებელთა შემადგენლობის რაოდენობაზეც, აქ მხოლოდ წერია: „служители женатый“, მაგრამ არაა აღნიშნული რაოდენობა.

ნუსხაში აღნიშნულ წევრთა რაოდენობა ზოგ შემთხვევაში არ ეთანხმება სახელობით სიას, უკანასკნელი ზოგჯერ მეტს უჩვენებს და ზოგჯერ ნაკლებს.

ზოგ შემთხვევაში არც მოსულთა, წასულთა და გარდაცვალებულთა რაოდენობა არის ზუსტად ნაჩვენები: მაგ., ვახტანგის ამალაში გარდაცვალებულთა რიცხვი 35-ია (გვ. 58), ნამდვილად კი გამოდის 30. ბაქარისაში აღნიშნულია—16 (გვ. 78), არის 13; კონსტანტინე ბატონიშვილის ამალაში—13 (გვ. 100), სინამდვილეში გამოდის 14. ბაქარის ამალაში ახალმოსულ პირთა რაოდენობა 130-ია აღნიშნული (გვ. 78), სინამდვილეში არის 128, სვიმონ ბატონიშვილის—61-ია ნაჩვენები (გვ. 84), არის 59. ვახუშტი ბატონიშვილის ამალაში ნაჩვენებია—20 (გვ. 94), სინამდვილეში 18-ია. საქართველოში დაბრუნებულთა რაოდენობა ბაქარის ამალაში ნაჩვენებია—45 (გვ. 78), სინამდვილეში 42-ია. კონსტანტინე ბატონიშვილის ამალაში აღნიშნულია—58, არის 57.

ყოველივე ამის გამო გასაგებია, რომ *C* ნუსხაში ამალის საერთო რიცხვიც არაა სისწორით მოცემული. *C* ნუსხაში ამალის საერო პირთა ჯამი აღნიშნულია 1368 (გვ. 102), ნამდვილად გამოდის 1409. სასულიერო პირი კი გამოდის 39 (ნუსხის 34-ს უნდა დაემატოს 1735 წ. ასტრახანიდან გადმოსული, ხოლო 1737 წ. საქართველოდან მისული 4 პირი). ასე რომ, *C* ნუსხა არ შეიცავს ზუსტ ცნობებს ვახტანგ VI-ის ამალის რაოდენობის შესახებ. უკანასკნელის ცნობები მიახლოებით შეიძლება იქნეს მიღებული, ისე როგორც სხვა ნუსხებისა.

თუ როგორი მოძრაობა წარმოებდა ვახტანგ VI-ის ამალის წევრთა შორის, ამის ნათელ სურათს იძლევა *C* ნუსხის მიხედვით შედგენილი შემდეგი ცხრილი:

ვახტანგ VI-ის ამალის წევრთა მოძრაობა *C* ნუსხის მიხედვით

წლები	ახალმოსულნი									წასულნი									გარდაცვლილნი								
	ვახტანგი	რუსუდანი	ბაქარი	სვიმონი	გიორგი ვახტ-ძე	ვახუშტი	კონსტანტ. ბატ-ლი	პაატა და სხვ.	ჯამი	ვახტანგი	რუსუდანი	ბაქარი	სვიმონი	გიორგი ვახტ-ძე	ვახუშტი	კონსტანტ. ბატ-ლი	პაატა და სხვ.	ჯამი	ვახტანგი	რუსუდანი	ბაქარი	სვიმონი	გიორგი	ვახტ-ძე ვახუშტი	კონსტანტ ბატ-ლი	პაატა და სხვ.	ჯამი
1725																											
1726	6		22	3	1				32	9		5			1			15	8					1			1
1727	6		3	2					11	3			2		7			12			2	3		1			14
1728	2	3	1		4				10	22		4			10	39		75	10		2			3	5		20
1729	9		16	7		2			34	2		8						10							1		1
1730	17	13	29	8	1				68	16		8						24	3		1						4
1731	2	2	5		1	7			17	7		2						9	1		1	1					3
1732	4					1			5							18		18	1						6		7
1733	7		19	18					44												2				1		3
1734	16	11	12	6		6	11		62		3	10						13	1	2	5			1			9
1735	28		18	3	1	2	20		72	10		1			2			13	3						1		4
1736		7	3	4	3				17			4						4	2					1			3
1737				8	1				9	2			1					3	1								1
საერთო ჯამი	97	36	128	59	12	18	31		381	71	3	42	3		20	57		196	30	2	13	4		7	14		70

1735 წ. სასულიერო პირთა სიისა[1] და *C* ნუსხის ურთიერთშედარებიდან ჩანს, რომ 1735 წელს ზოგი სასულიერო პირი მოსკოვის გარეთ იმყოფება – ასტრახანში, ნოვგოროდში და სხვ. ეს პირები *C* ნუსხაში შეტანილია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ *C* ნუსხაში ვახტანგის მთლიანი ამალაა წარმოდგენილი და არა მარტო მოსკოვში მყოფთა.

ამალის დაჯგუფებაში 1724 წლის შემდეგ არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მხოლოდ *A* ნუსხის ერთი ჯგუფი „მეფის ძმებისა და ძმისშვილების“ ნაცვლად *C*-ში აღნიშნულია ბატონიშვილების გიორგის, კონსტანტინეს, პაატას და მარიამ, ვახტანგ მეფის ასულის ჯგუფები.

ვახტანგ VI-ის ამალის რუსეთში გადასახლების შესახებ ვრცელი და საყურადღებო ცნობები მოიპოვება პოემა „ვახტანგიანში“, რომელიც დაწერილია ვახტანგის ამალის წევრის, ვინმე ფავლენიშვილის მიერ 1727—1730 წლებში[2].

ეს საყურადღებო პოემა შედგება, შესავლის გარდა, 7 კარისაგან. პირველ კარში დაცულია ცნობები ვახტანგის ამალის წევრთა შესახებ, ეს ცნობები ზოგ შემთხვევაში ემთხვევიან *A* და *C* ნუსხებს, მაგ. პოემით ვახტანგ VI-ს თან ახლდა

> მანგლელი არსენ, შვილობა აქს დოლენჯიანთ გვარისა,
> მოძღვართ-მოძღვარი გერმანე, სულიერთ მამათ კმარისა
> (სტრ. 71).

დასახელებული პირები მოხსენებულია *A* ნუსხაშიც: უკანასკნელში მანგლელი არსენი ეპისკოპოსია, „ვახტანგიანში“ კი ეპისკოპოსის ნაცვლად დასახელებულია მისი გვარი დოლენჯიშვილი. ასე რომ, პოემა ამ პირის შესახებ უფრო ზუსტ ცნობას გადმოგვცემს, ვიდრე *A* ნუსხა. „მოძღვართ-მოძღვარი გერმანე“ *A*-ში აღნიშნული გერმანე მღვდელ-მონაზონია.

„ვახტანგიანით“ ვახტანგ VI-ს თან ახლდა „ქვემო და ზემო ციციანთ სახლის კაცნი ხუთნი კარგი“ (სტრ. 70), ეს ცნობა ზუსტად ემთხვევა *A* ნუსხის ცნობას, სადაც ვახტანგის ამალის შემადგენლობაში ხუთი ციციშვილი ანუ ციცი არის დასახელებული—ზურაბი, პაპუნა, ფარსადანი, ქაიხოსრო და ამილღაბარი.

---

[1] Описание документов и дел хранящихся в архиве Синода, т. XV, стр. 1026.

[2] ტექსტი გამოცემულია სოლ. ყუბანეიშვილის მიერ (ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, ტ. IV, 1948, გვ. 175—219). ქვემოთ ციტირებულია ამ გამოცემიდან.

ამავე ამალაში „ვახტანგიანის“ ცნობით ყოფილა „მოურავთ შვილის-შვილი, ჯავახიანთ ორი ძმანი“ (სტრ. 73), აღნიშნული პირნი კი, *A* ნუსხის ცნობით, არიან ერასტი და შიოშ ჯავახიშვილები.

პოემით ვახტანგს ხლებია „ორი ძმა თავყელისშვილი, უფლისწულთგან მიჩნეული“ (სტრ. 74), ეს პირები უნდა იყვნენ *A*-ში დასახელებული ზაალ და ზურაბ თავყელიშვილები, იგივე თავყელიძე.

პოემით ვახტანგთან „ერთი ამირეჯიბთ შვილი, ორს მაჩაბელთ აქვს ყოლება“ (სტრ. 78), *A*-შიც ამირეჯიბთაგან მხოლოდ შიოშ არის დასახელებული, *C*-ში კი ბეჟან ამირეჯიბია დასახელებული, რომელიც 1730 წელს გარდაცვლილა. მაჩაბელთა შესახებ ცნობებიც ემთხვევა *AC* ნუსხის ცნობებს, უკანასკნელშიც მხოლოდ ორი მაჩაბელია დასახელებული—გიორგი (იგივე ეგორი), რომელიც ამალას შეუერთდა 1727 წელს და დავითი, რომელიც საქართველოში წასულა 1730 წელს.

ამასთან ერთად „ვახტანგიანი“ დასძენს, რომ ვახტანგ მეფესთან იყვნენ „ორნი ხერხეულიძენი“, რომლებსაც „აქვთ ერთგულობის გონება“ (სტრ. 78). ეს ხერხეულიძენი *AC*-თი არიან ზაალ ზაალის ძე და ზაალ ხოხონას ძე. პირველი ვახუშტის ამალაში იყო, გარდაიცვალა 1728 წელს, მეორე იმყოფებოდა სვიმონ ბატონიშვილის ამალაში.

თავის თავზე პოემის ავტორი ამბობს:

განაყოფი ჩემი ორი, სამსაბურის მონდომებით,
ფავლენიანი იახლენ, სამონით არ მოშორებით (სტრ. 79).

„ძმა ვიყვენით ოთხი“ (სტრ. 84), „ერთი უფროსი და ორი ჩემგანვე უმრწემესია“ (სტრ. 85).

A-შიც დასახელებულია ოთხი ფავლენიშვილი ანუ ფავლენიძე: გიორგი, კაცია პაატას ძე, ოტია და ბერი (ანუ ბერო) დავითის ძე. ეს პირები ღვიძლი ძმები არ ყოფილან. პოემის ავტორის „განაყოფად“ თუ კაციას და ბეროს ვივარაუდებთ, მაშინ ძმებად ოთხის ნაცვლად ორი გამოდის; ასე რომ, პოემა ამ შემთხვევაში ფავლენიშვილების შესახებ უფრო მეტ რიცხვს იძლევა, ვიდრე *A* ნუსხა[1].

---

[1] *C* ნუსხაში აღნიშნულია: Павленов Отиа, რომელიც სვიმონ ბატონიშვილის ამალაშია. ამის გარდა დასახელებულია Панвелов Беро ვახუშტის ამალაში და Панвелов Егор ვახტანგის ამალაში. თუ ეს პირებიც ფავლენიშვილებია, მაშინ, კაციას გამოკლებით, *A* ნუსხის ცნობა ემთხვევა *C* ნუსხას.

სასულიერო პირთა შორის ვახტანგის ამალაში პოემით ყოფილა ონოფრე „საღმთო კაცი, თავის რიგის შესამოსით“ (სტრ. 80). ონოფრე კარის მღვდელი დასახელებულია რუსუდანის ამალაში, *C* ნუსხაში ეს პიროვნება არ იხსენიება.

ვახტანგის ამალაში პოემით ყოფილა ზაალ მეითრისშვილი, „მამითვე თავდადებული“ (სტრ. 81). ეს პირი დასახელებულია *A* ნუსხაშიც, *C*-ში კი არა.

ვახტანგთანო, გადმოგვცემს პოემა, „სადუღ ბეგმან ქნა თანხლება“ (სტრ. 82), ეს პირი უნდა იყოს *A*-ს სადუღა ბოქაულთხუცესი.

„ვახტანგიანით“ მეფეს „მოახსენა ორბელიძემ სახლთ-ხუცესმა ტკბილი ენით“ (სტრ. 99). ეს ორბელიძე *AC* ნუსხებით არის თავადი ორბელიშვილი დემეტრე, რუსუდან დედოფლის სახლთუხუცესი.

„ვახტანგიანის“ ავტორი გადმოგვცემს: რუსეთში გასაგზავნად, „ამზადებენ ამილახორს“, რომელსაც „ჰკუა—რიგი აქვს საყოფი“ (სტრ. 119), მეორე ადგილას აღნიშნავს, რომ „მოვიდა ამილახორი, დიდს ხელმწიფესთან წასულიო“ (სტრ. 126). როგორც აღვნიშნეთ, დასახელებული ამილახვარი არის ვახტანგ ავთანდილის ძე, რომელიც გარდაიცვალა 1728 წელს.

„ვახტანგიანში“ აღნიშნული გოჩაშვილი (სტრ. 74) უნდა იყოს *A*-ს გოჩასძე—ღვთისავარ გიორგის ძე, *C*-ში ამ პირის შესახებ ცნობა არ არის შემონახული.

„ვახტანგიანში“ აღნიშნულია „გურიელისძე ყმაწვილი, ახალ მოზარდე მხნეობით“ (სტრ. 75), ეს უნდა იყოს პაატა გურიული, სხვა არავინ ჩანს *A* ნუსხში.

„ვახტანგიანში“ დასახელებული ჯაფარიძე, რომელიც მეფესთან „არს სამსახურის მხნეობით“ (სტრ. 75), უნდა იყოს *A*-ს გიორგი ჯაფარიძე, რომელიც *C*-ს ცნობით საქართველოში დაბრუნებულა 1731 წელს.

პოემით ვახტანგს ეახლა „რიტიძე ზურაბ ერთგული, თანმხლები ერთის შვილობით“ (სტრ. 72). ეს პირი შეიძლება იყოს თავადი ზურაბ რატიშვილი (გარდაიცვალა 1736 წელს), მეჯინიბეთ უხუცესი, რომელსაც ახლდა შვილი დავითი და რვა მსახური.

ასეთია შემხვედრი ცნობები ვახტანგის ამალის შესახებ პოემა „ვახტანგიანსა“ და *A* ნუსხას შორის. მაგრამ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ „ვახტანგიანის“ სხვა ცნობები და *A* ნუსხის ცნობები ერთმანეთს ყველაფერში ეთანხმებოდნენ. პირიქით, მათ შორის ამა-

ლის რაოდენობის მხრივ მოიპოვება არსებითი სხვაობის შემცველი ცნობები, ასე მაგ., „ვახტანგიანის“ ცნობით ვახტანგ VI-ს რუსეთში გაყვნენ:

თურქისტან, გაბან, საგინან [წოდებულ] თულაშვილობით,
ათერთმეტთა ქნეს საკვდავად თავის დადება წილობით
[სტრ. 72].

დასახელებულ პირთაგან გაბა შეიძლება ვიგულისხმოთ იოთამ გაბაშვილად, საგინან—შესაძლებელია *A*-ში დასახელებული ზურაბ და თამაზ საგინაძეები იყვნენ, თულაშვილებიდან *A*-ში დასახელებული არიან ზაალ, იოთამ, ლუარსაბ და სეხნია თურქისტანი კი შეიძლება იყოს თურქისტანიშვილი. უკანასკნელთაგან A-ში დასახელებულია გოდერძი, ერასტი, ვახტანგი, თურქისტანი, ლუარსაბი და ფრანგისტანი. ზემოთ აღნიშნულ პირთა რაოდენობის ჯამი გამოდის 13, ნაცვლად „ვახტანგიანის“ 11-ისა.

„ვახტანგიანით“ ვახტანგ VI-ს თან ახლდა „შვიდი ძმა და სახლის კაცნი, ორბელიანთ თესლი-გვარი“ (სტრ. 68). ეს ცნობა არ ეთანხმება არც *A* და არც *C* ცნობებს. *A*-ში ორბელიანებიდან (ორბელიშვილი, ორბელიძე) დასახელებულია ოთხი პირი: გივი, დემეტრე, ელიზბარი და მამუკა. ამათგან *C* ცნობით ელიზბარი თავისი მხლებლებით გაბრუნებულა საქართველოში 1730 წელს, ზაალი—1734 წ., მამუკა—1728 წ. *C*-ში დასახელებულია კიდევ ვახტანგ ორბელიანი, რომელიც ვახტანგის ამალას შეერთებია 1735 წელს. გაურკვეველია გივი ორბელიანის მდგომარეობა, რომლის შესახებ *C* ნუსხაში არაფერია ნათქვამი. ასე რომ, შვიდი ორბელიანი არც *A* და არც *C* ნუსხით არ გამოდის.

არც ამილახვართა შესახებ გვაქვს სწორი ცნობები. „ვახტანგიანით“ „ოთხი ამილახვართ შვილი“ (სტრ. 68) ახლდა ვახტანგს. *A*-ში კი ორი ამილხვარია დასახელებული — ავთანდილი და ვახტანგი. ამათგან უკანასკნელი გარდაცვლილა 1728 წელს. ავთანდილის შესახებ კი *C*-ში არაფერია ნათქვამი, ამის ნაცვლად იქ ედიშერ ამილახვარია დასახელებული. მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს, ოთხი ამილახვარი არსაიდან არ გამოდის.

„ვახტანგიანით“ ბარათაშვილებმა ვახტანგ მეფესთან „ბერთ და ერთ თერთმეტთა ქნეს ხლება“ (სტრ. 70). *A*-ში დასახელებულია ექვსი ბარათაშვილი: ბეჟანი, ედიშერი, ზაალი, თომა, იესე და მამუკა, *C*-ში კი—რვა: ბეჟანი, მამუკა, იესე, გივი, ნოდარი, ზაზა, თომა და ზურაბი; ამათგან იესე 1735 წ. შეერთებია ვახტანგის ამალას და შეუძლებელია „ვახტანგიანის“ სიაში მოხვედრილიყო. რაც შეეხება გივისა და ზაზას, ესენი ვახტანგს შეუფრთდნენ 1730 წელს

და საეჭვოა „ვახტანგიანის“ ავტორს ისინიც რომ ყოლოდა მხედველობაში. ასე რომ, თერთმეტი ბარათაშვილი არსებული ცნობების მისედვით არ გამოდის.

ვახტანგსო გადმოგვცემს „ვახტანგიანი“, თან ახლდა „ზედგინიძე ორი კომლი, კართ გამრიგე აზნაური“ (სტრ. 74). ეს ცნობაც არ ეთანხმება *AC* ნუსხებში დაცულ ცნობებს: პირველში (*A*) ხუთი ზედგინიძეა დასახელებული: ბაადური (გარდაიცვალა 1727 წ.), ზედგინ, ზურაბ, შიოშ და ფარსადან. *C* ნუსხაში კი—ზაზა (გარდაიცვალა 1736 წ.), ბაადური, ნიკოლოზი, მერაბი და ფარსადანი. დასახელებულ პირთაგან „ვახტანგიანის“ ნუსხიდან ამოსარიცხავია მერაბი, რომელიც ვახტანგს შეუერთდა 1735 წელს. რაც შეეხება ფარსადანს, ეს პირი იხსენიება *A* ნუსხაშიც. საერთოდ კი „ვახტანგიანის“ ცნობები აქაც არ ეთანხმება *AC* ნუსხებში დაცულ ცნობებს.

„ვახტანგიანით“ მეფის ამალაში „გოჩაშვილი, ჯომარდიძე ექვსნი იქმნენ წამოსული“ (სტრ. 74), *A*-ში დასახელებულია ოთხი ჯომარდიძე: ზაალი, ზურაბი, კაცია და როსეფა, რომელთაგან *C*-ს ცნობით—კაცია, ზაალ და ზურაბ გარდაცვლილან 1727 წელს. როსეფაზე ნათქვამია, რომ ის ვახტანგის ამალას შეუერთდა 1732 წელსო, რაც არაა სწორი, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ეს პირი დასახელებულია *A* ნუსხაშიც. ამას გარდა *C* ნუსხაში დასახელებულია კიდევ ორი ჯომარდიძე — გერასტი და ოთარი, რაც უცნობია *A* ნუსხისთვის (გერასტი გარდაიცვალა 1734 წელს).

„ვახტანგიანში“ დასახელებულია „ტფილელი მდივან გიორგი, იოანე ბერიძობით“ (სტრ. 75). უკანასკნელი პირი ხომ არაა *A*-ში დასახელებული იოვანე მთავარდიაკვანი, რომლის შესახებაც სდუმს *C* ნუსხა? რაც შეეხება „ტფილელ მდივან გიორგის“, ეს პირი არ უნდა იყოს *A*-ში აღნიშნული გიორგი მღვდელი ან გიორგი დეკანოზი. საერთოდ *A* ნუსხაში ბევრი გიორგია დასახელებული, მაგრამ მდივნად არც ერთი არაა აღნიშნული.

პოემით ქართლის მეფეს „იახლა დიდი მთავარი ფალავანდიძე, ბიძაშვილითა და ძმისწულით“ (სტრ. 77). დასახელებული ფალავანდიშვილი უნდა იყოს როსტომ ლუარსაბის ძე ფალავანდიშვილი, უზბაში, რომელიც საქართველოში დაბრუნდა 1730 წელს. რუსეთში მას ახლდა ოთხი აზნაურიშვილი და 5 მსახური. აზნაურებიდან შეიძლება ბიძაშვილიც ერია, მაგრამ არ ჩანს, რომ ძმისწულიც

ხლებოდეს. როსტომის გარდა *C* ნუსხაში დასახელებულია ბარამიც, მაგრამ ამ პირს არ გულისხმობს „ვახტანგიანი“, რადგანაც ბარამი რუსეთში წასულა 1735 წელს.

თურმანიანთ გვარობით სძევთ პატრონთა მოუშორება,
ცხრანი იახლენ საკვდავათ, არა თუ ერთი-ორება (სტრ. 78),

გადმოგვცემს „ვახტანგიანი“. თურმანიანი იგივე თურმანიძეა. ასეთი პირი *AC*-ში ერთია დასახელებული. ამრიგად, „ვახტანგიანის“ ცნობა თურმანიშვილთა რაოდენობის შესახებ *AC*-თი არ დასტურდება.

„ვახტანგიანით“ მეფეს ხლებია „ორი მუსხელაშვილები, ერთგულობის გამოჩენით“ (სტრ. 79). *A*-ში ერთი მუსხელიშვილია დასახელებული—გიორგი, რომელიც *C*-ს ცნობით 1733 წელს მისულა რუსეთში, რაც შეცდომაა. ამას გარდა *C* ნუსხაში დასახელებულია ორი მუსხელიშვილი—ოთარი, რომელიც გარდაიცვალა 1731 წელს და ფიდუა, რომელიც ვახტანგის ამალას შეერთებია 1728 წელს.

„აბაზაძე მურვანიძით, სხვათაც ბევრთ ქნეს რება ლხენით“ (სტრ. 79), გადმოგვცემს „ვახტანგიანის“ ავტორი. *A*-ში ექვსი აბაზაძეა დასახელებული: დავითი, ზურაბი, ამილღაბარი, ზურაბ დავითის ძე (ერთი ზურაბი საქართველოში დაბრუნდა 1727 წ., მეორე 1728 წ.), სეხნია და უთრუთი. *C* ნუსხაშიაც აღნიშნულია ეს პირები, ოღონდ სეხნიას და ამილღაბარის ნაცვლად დასახელებულია ნაზარი. უთრუთი ორივე (*AC*) ნუსხაშია დასახელებული, მაგრამ *C* ნუსხის უთრუთი თითქოს 1734 წელს მისულა რუსეთში.

ამის გარდა, პოემაში ავტორს ისეთ პირთა შესახებ აქვს ცნობები შემოტანილი, რომლებიც 1724 წელს ვახტანგის ამალაში არ ყოფილან, მაგ., პოემით ვახტანგს ახლდა „ხუთნი შალიკაშვილები, მეფეთ მიჩნეულნი ყმანი“ (სტრ. 73), *A* ნუსხაში მხოლოდ ერთი დემეტრე შალიკაშვილია დასახელებული.

„ვახტანგიანით“ ამალის რიცხვში ერია

ჩიქოვანი, შენაზარდი სიყრმითგანვე მეფეთ ძისა,
არ დაზოგის თავი, სადაც მეფემ უყვის სევა მტრისა,
ამხანაგთა ომის დღესა სრულად სჭირდა მობმა მხრისა,
მცხოვანება არა ჰქონდა, წლისა იყო ოზდათისა (სტრ. 75).

ჩიქოვანი *A*-ში დასახელებული არაა. რაც შეეხება *C*-ს, აქ ერთი ჩიქოვანია დასახელებული, სახელდობრ გიორგი [ეგორ],

რომელიც რუსეთში მისულა 1730 წელს, მაშინ როდესაც „ვახტანგიანი“ დაწერილი უნდა ყოფილიყო.

A და *C* ნუსხაში არ მოიპოვება ცნობები „ვახტანგიანის“ ქვემოთ დასახელებულ პირთა შესახებ: „ნაზირი დიდათ ერთგული ოსეფა სახელდებული“ (სტრ. 81) და „ქეთხუდებისშვილები, უფროსი ერთი ხლებული“ (სტრ. 81), მხეიძე, რომელიც „არ[ს] მსახურის მხნეობით“ (სტრ. 75), მურვანიძე, რომელმაც სხვებთან ერთად „ბევრთ [ქნა] რება ლხენანი“ (სტრ. 79). ვახტანგ მეფეს თან ახლდნენ „კარის მღვდლები უშორებათ, წინამძღვარი დეკანოზით, იესეა და გიორგი, სვიმონ, მთქმელნი სულ იკოსით“ (სტრ. 80),—გადმოგვცემს „ვახტანგიანი“.

ამ პირთაგან *A* ნუსხაში აღნიშნულია მხოლოდ ჯვრის მტვირთველი დეკანოზი გიორგი, რომელიც შეიძლება „ვახტანგიანის“ გიორგი იყოს.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ *A* ნუსხის ცნობების დამოკიდებულება *C* ნუსხასთან, რომელთა შესახებ ნაწილობრივ ზემოთ გვქონდა საუბარი.

A ნუსხით ვახტანგის ამალაში დასახელებულია იესე ბარათაშვილი, რომელიც *C* ნუსხით ვახტანგის ამალას შეერთებია 1735 წელს.

ფარსადან ზედგინიძე *A*-თი 1724 წელს ვახტანგის ამალაში ყოფილა, *C*-თი აღნიშნული პირი ვახტანგის ამალაში შესულა 1735 წელს. როსეფ ჯომარდიძე *A* ნუსხით ვახტანგის ამალაში ყოფილა 1724 წელს, *C*-თი ეს პირი ვახტანგის ამალაში 1732 წლიდან ირიცხება. გიორგი მუსხელიშვილი *A*-თი ვახტანგის ამალაში ირიცხებოდა 1724 წლიდან, *C*-თი—1733 წლიდან. უთრუთ აბაზაძე დასახელებულია *A* ნუსხაში, *C*-ს ცნობით კი ეს პირი ვახტანგის ამალას შეერთებია 1734 წელს.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ *C* ნუსხის ცნობები ყველა სანდო არ არის.

ასეთია სურათი ამ სამ ძეგლში დაცული ცნობების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. აღნიშნული მაგალითებიდან ირკვევა, რომ პოემა „ვახტანგიანი“, მართალია, მიზნად ისახავს გადმოგვცეს ცნობები ვახტანგის 1724 წლის ამალის შესახებ, მაგრამ შიგ ისეთ პირთა შესახებაც არის საუბარი, რომლებიც 1724 წლის ამალაში

---

[1] არსებობს „ვახტანგიანის“ ამ სიტყვის ვარიანტული წაკითხვა: „მოურავიანთ ძით“, გვ. 193, შნშ. 5.

არ ირიცხებოდნენ და რომლებიც შემდეგ, პოემის დაწერამდე, შეერთებიან ალბათ ვახტანგის ამალას. ამით უნდა იყოს გამოწვეული ისიც, რომ ამალის წევრთა რაოდენობა „ვახტანგიანში“ ზოგჯერ უფრო მეტი არის ნაჩვენები, ვიდრე *A* ნუსხაშია, მაგ., ამილახვართა რაოდენობა „ვახტანგიანით“ ოთხია (სტრ. 68), *A*—2

ორბელიანთა	7		—4
ბარათაშვილთა	11	(სტრ. 70)	—6
თურმანიძეთა	9	(სტრ. 78)	—5
მუსხელაშვილთა . . .	2		—1 და სხვ.

შეიძლება „ვახტანგიანისა“ და *A* ნუსხის ზემოთ აღნიშნული სხვაობა იმითაც იყოს გამოწვეული, რომ *A* ნუსხის შედგენისა და რუსეთში გაგზავნის შემდეგ ვახტანგის ამალას ახალი წევრები შეემატა. შეიძლება ამის გამო იყოს ისიც, რომ ელიზბარ ორბელიანის ნუსხა[1], რომელიც 1725 წ. უნდა იყოს შედგენილი, ვახტანგის ამალის რიცხვს *A* ნუსხასთან შედარებით 76-ით მეტს უჩვენებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყოველთვის *C* ნუსხაშიაც არაა დაცული ზოგ პირთა შესახებ *A* ნუსხის და „ვახტანგიანის“ ცნობები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ, როგორც აღვნიშნეთ, *C* ნუსხაც ზოგჯერ ღალატობს ჭეშმარიტებას[2].

III

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ ვახტანგ VI-ის მცირე ამალაში შედიოდა სულხან-საბა ორბელიანიც, მაგრამ ეს აზრი სწორი არ არის.

ვახტანგ VI ვახტანგ ამილახვრის პეტერბურგიდან დაბრუნებამდე ვერ გაემგზავრებოდა რუსეთში. უკანასკნელის ასტრახანში დაბრუნება სავარაუდებელია 1725 წ. იანვარ-თებერვალში, რადგანაც 1724 წ. 14 დეკემბერს ვ. ამილახვარი ჯერ კიდევ პეტერბურგში

---

[1] ЦГИАЛ, ფონდი 196, საქ. № 272, ფ. 61.

[2] „ვახტანგიანით“ ვახტანგის ამალაში 1724 წელს იყო „თაქთაქიძე მწვე ერთგული“, რომელსაც „ამხანაგთა სჯირს გაწყობა“ (სტრ. 77). *BC* ნუსხებში დასახელებულია სულხან ელიზბარის ძე თაქთაქიძე, რომელიც გარდაიცვალა 1734 წელს. „ვახტანგიანის“ ავტორი ამ თაქთაქიძეს უნდა გულისხმობდეს, რომლის ნაცვლად *A* ნუსხაში დასახელებულია „სულხან ელიზბარიშვილი თურქისტანისძისა“. ამ შემთხვევაში „ვახტანგიანისა“ და *BC* ნუსხების ცნობა უფრო სანდო ჩანს, ვიდრე *A*-სი.

იმყოფებოდა. ვ. ამილახვრის დაბრუნებისთანავე ვახტანგ VI ვერ წავიდოდა რუსეთში, რადგანაც რამდენიმე ხანს მაინც უნდა დარჩენილიყო მოსამზადებლად. მართლაც, არსებობს დოკუმენტი, რომლის მიხედვით ბრძანებულება გაუციათ, რომ ვახტანგ მეფისათვის სამგზავრო ფურგონები გაემზადებიათ 1725 წ. თებერვალში[1]. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ვახტანგ მეფე თავისი მცირერიცხოვანი ამალით ვერ გაემგზავრებოდა რუსეთში 1725 წ. თებერვალზე ადრე. ამ დროს კი სულხან-საბა ორბელიანი გარდაცვლილი იყო. ამას გარდა, არსებობს დოკუმენტური ცნობა, რომლის მიხედვით მოსკოვში მიმავალი სულხან-საბა ორბელიანი 1724 წ. ოქტომბრის შუა რიცხვებში ცარიცინში იმყოფებოდა[2]. ასე რომ, სულხან-საბა ორბელიანი ვახტანგ მეფეზე ადრეა წასული მოსკოვში.

ასტრახანში ყოფნისას საბასთვის დაუნიშნავთ ულუფად დღეში 5 კაპ., მის მხლებელი არქიმანდრიტისათვის კი — 25 კაპ. ამ განაწილების შესახებ სულხან-საბა ორბელიანს ეტყობა საჩივარი აღუძრავს, მაგრამ საკითხის მოგვარება ასტრახანში მისი იქ ყოფნის დროს ვერ მოხერხებულა. ოქტომბრის შუა რიცხვებში საბას თავისი მხლებლებით ცარიცინამდე მიუღწევია. ამ დროს ასტრახანიდან ცარიცინში მისულა გენერალ-მაიორ კროპოტოვის ცნობა, რომ საბა ორბელიანი ნამდვილად არის ვახტანგ მეფის მეგვარეო („он [Саба] подлинно однофамилец принцу Вахтангу"). ამ ცნობის საფუძველზე საბას დღიურ ულუფად დაუნიშნეს 25 კაპ. გაუსწორეს ძველი ანგარიში და მისცეს ცარიცინიდან მოსკოვამდე 14 დღის კუთვნილი თანხაც[3].

საფიქრებელი არაა, რომ მოხუცი საბა თავისი ნებასურვილით გამოყოფოდა ვახტანგ VI-ის ამალას და წასულიყო მოსკოვში ვახტანგ მეფეზე ადრე, ისიც სუსხიან ზამთარში, როდესაც ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო ამალის მომავალი მდგომარეობა. ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს შემდეგი საბუთიც: 1724 წ. 20 ოქტომბერს ცარიცინიდან პეტერბურგში საგარეო საქმეთა კოლეგიას ატყობინებდნენ საბა ორბელიანისათვის ზემოთ აღნიშნული ულუფის მომატების შესახებ (ეს ცნობა საგარეო საქმეთა კოლეგიამ მიიღო პეტერბურგში 1724 წ. 13 ნოემბერს). დოკუმენტის დასაწყისში საბა ორბელიანის

---

[1] АВПР, ფონდი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა", 1724, საქ. № 2, ფ. 80.

[2] იქვე, ფ. 53.

შესახებ ნათქვამია: „Отправлены по двору их императорского величества от грузинского принца Вахтанга родственник его монах князь Сурхан-Саба Арбелев“ და სხვ. ეს ცნობა ადასტურებს, რომ სულხან-საბა ორბელიანი ვახტანგ მეფის დავალებით არის გაგზავნილი რუსეთში და არა თავისი ნება-სურვილით.

სულხან-საბა ორბელიანი ვახტანგ ამილახვართან ერთად არ არის გამგზავრებული რუსეთში. რომ ეს ასეა, ჩანს შემდეგიდან: 1. როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ ამილახვრის ჯგუფი 10 კაცისაგან შედგებოდა, საბაც რომ მათ რიცხვში ყოფილიყო, მაშინ ულუფის განაწილებისას მასაც მოიხსენიებდნენ; 2. დარეჯან ბატონიშვილისადმი მიწერილ წერილში, რომელშიაც ვახტანგ მეფე აღნიშნავს იმ პირებს, რომლებიც მის მიერ რუსეთში იქნენ გაგზავნილნი, საბას შესახებ არაფერია ნათქვამი. შეუძლებელია ვახტანგს საბაც არ მოეხსენებია; 3. ვახტანგ ამილახვრისა და სულხან-საბა ორბელიანის რუსეთში გამგზავრების თარიღებიც არ ემთხვევიან ერთმანეთს.

პეტრე პირველის ვახტანგ მეფისადმი მიწერილი წერილიდან (1724 წ. 11 დეკემბერი) ჩანს, რომ ვახტანგ მეფეს ორი წერილი გაუგზავნია იმპერატორისათვის. პირველ წერილში აღნიშნული ყოფილა ვახტანგ VI-ის წმ. ჯვრის ციხეში მისვლა. ეს ის წერილია, რომელიც ვახტანგ მეფემ ვ. ამილახვარს გაატანა რუსეთში. ამის შემდეგ, ეტყობა, იმპერატორს კიდევ მიუღია ვახტანგის წერილი, სადაც აღნიშნული ყოფილა ვახტანგის ასტრახანში მისვლა და რომლითაც ვახტანგ VI იმპერატორს თხოვდა ნება დაერთო მცირე ამალით შუა რუსეთში გადასულიყო საცხოვრებლად.

დიმიტრი ორბელიანის სინოდისადმი წარდგენილი მოხსენებიდან და სინოდის არქივში დაცული ვახტანგ VI-ის ამალის ნუსხიდან ჩანს, რომ 1725 წელზე ადრე, სხვებთან ერთად, ასტრახანიდან მოსკოვში მისულან მეფის ნათესავები დედიდან ორი ბერი— საბა და ზოსიმე, რომელთაგან საბა მოსკოვში გარდაცვლილა[1]. შესაძლებელია, საბა ავადმყოფობის გამო ვერც მისულიყო პეტერბურგში და მოსკოვში გაჩერებულიყო არჩილ მეფის ოჯახში დარეჯან ბატონიშვილთან, ამიტომ სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს *A*-75 ხელნაწერის მინაწერი, რომ „საბა მიიცვალა ქრისტეს აქეთ ჩ[ი]კე [1725], იანვარსა კ[ვ][26], მწუხრს, დიდს მოსკოვს, სესენწკას, ბატონის არჩილ მეფის სასახლეში, და იმავ საყდარს დაემარხა ბრძანებითა და მრაველის ხარჯითა და თან-წაყოლითა და

[1] ЦГИАЛ. ფონდი 796, 1725, საქ. № 272, ფ. 59, 123.

დიდის პატივითა ბატონისშვილის დარეჯანისათა"[1]. *A*-75 ხელნაწერი გადაწერილია 1722 წ. იანვრის 12 მოსკოვში. საბას საფლავის მდებარეობის გამორკვევის მიზნით ჩვენ გავსინჯეთ მოსკოვის ოლქის ისტორიული არქივი (1952 წ. VIII). სამწუხაროდ, XVIII საუკუნის მოსკოვის საეკლესიო ჩანაწერები არქივში არ აღმოჩნდა. საბა რომ მოსკოვში გარდაიცვალა, ამას ადასტურებს ვახტანგ VI-ის ცნობაც. „სოფლის ვალი ჩვენთაგან გარდაიხადა და სულხან-საბა აღესრულა მოსკოვსო", წერს ვახტანგ მეფე[2].

IV

ვახტანგ მეექვსემ წინასწარ აცნობა ასტრახანის გუბერნატორს ვოლინსკის, რომ ის თავისი ამალით მიეღო ქალაქში. საქმის ვითარების შესახებ ვოლინსკი შეეკითხა იმპერატორ პეტრე პირველს. უკანასკნელიდან თანხმობის მიღების შემდეგ ვახტანგს ნება დართო გუბერნატორმა თავისი ამალით შესულიყო ასტრახანში[3].

13 ნოემბერს გენერალ-მაიორმა კროპოტოვმა სთხოვა მეფის კაბინეტს და სენატს ეცნობებიათ მისთვის, თუ სად დაესახლებია ახლად მოსული ქართველები. სენატმა გასცა განკარგულება, რათა პირველ ხანებში, ბრძანებულებამდე, ქართველებს მიცემოდათ პროვიანტის და კვების ფული იმ თანხიდან, რომელიც განკუთვნილი იყო ვახტანგის ამალისათვის. ეს თანხა იმპერატორის განკარგულებით გამოყო სენატმა 5 ივნისს 1724 წ. და გადაგზავნა ასტრახანში, წმ. ჯვრის ციხეში. აღნიშნული თანხა თავისი შეხედულების მიხედვით უნდა გაენაწილებია გენერალ-ლეიტენანტ მატუშკინს, ხოლო უკანასკნელის არ ყოფნის დროს გენერალ-მაიორ კროპოტოვს. ქართველების დასასახლებლად გამოყოფილი უნდა ყოფილიყო ვარგისი მიწები წმ. ჯვრის ციხის მახლობლად ანდა სადმე საზღვართან ისეთი, რომ მოსახლეობას ციხის დაცვაში ხელი არ უნდა შეეშალა. ამავე ადგილებში უნდა დაესახლებიათ ის ქართველები, რომლებიც შემდეგში მოვიდოდნენ. დასახლების შემდეგ მათზე ყოველგვარი ფულადი სახსრის გაღება უნდა შეწყვეტილიყო, ისინი უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ ბოძებული მიწებით.

---

[1] აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ფონდი A, № 75, გვ. 492; Джанашвили М., Описание, III, стр. 122.

[2] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 332, 352, 358.

[3] Бутков П. Г., Материалы, стр. 63. 1724 წ. 31 აგვისტოს ვახტანგ VI თავისი ამალით მივიდა წმ. ჯვრის ციხეში.

ვახტანგის ამალის საზღვართან დასახლებით პეტრე პირველს სურდა ქართველები გამოეყენებია საზღვრების დასაცავად. ამიტომ სთხოვდა იმპერატორი ვახტანგს 2 ან 3 ათასი მეომრით რუსეთში გადასახლებას, მაგრამ რაკი ვახტანგი შედარებით მცირერიცხოვანი ამალით წავიდა, რომელთა უმრავლესობა გამოუსადეგარი იყო სამხედრო სამსახურისათვის, ამას გარდა, თვით ვახტანგის ამალის წევრებიც არ იყვნენ კმაყოფილი ბოძებული მიწებით, ამიტომ იმპერატორმა ნება დართო ვახტანგს მცირე ამალით გადასახლებულიყო საცხოვრებლად ცენტრალურ რუსეთში—მოსკოვ-პეტერბურგში და მის მიდამოებში. ამის შემდეგ ამალის წევრთა ნაწილი 1725 წ. მეფესთან ერთად მოსკოვში გადასახლდა, ნაწილი კი ასტრახანში და გილანში დარჩა საცხოვრებლად. 1728 წელს გილანიდანაც მოსკოვში გადასახლდნენ[1].

მოსკოვში ვახტანგის ამალის ჩასვლამდე დაუწყიათ ბინების ძებნა. ვახტანგის ამალის საცხოვრებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო მონასტრებთან არსებული ბინები. მაგრამ, როგორც ჩანს, სენატს ეს აზრი შემდეგ უარუყვია. ამალის ბინის საკითხი ვახტანგის საბოლოოდ მოსკოვში ჩასვლის შემდეგაც დიდხანს მოუგვარებელი დარჩა. სენატს კი ვახტანგისა და მისი ამალისათვის ბინების გამოძებნა 1725 წლიდანვე დაუწყია. განზრახული იყო ვახტანგი და მისი გვარეულობა დაებინავებიათ რიაზანის მონასტრის საცხოვრებელ ბინებში, სხვებისათვის კი გამოძებნილი უნდა ყოფილიყო დამატებითი ბინები სხვა მონასტრებში, გარდა ნოვგოროდისა, ტვერისა და პსკოვის ქვემონასტრებისა. ბინების შეკეთება დაევალებული ჰქონდა მოსკოვის ვიცე-გუბერნატორს. სასულიერო პირთათვის სინოდს უნდა გამოეძებნა საცხოვრებლად ქვემონასტრები. 1725 წ. 20 ოქტომბერს სინოდი ატყობინებდა სენატს, რომ უკეთუ ქართველი მეფე და მისი მხლებელნი მოსკოვში დიდხანს დარჩებიან საცხოვრებლადო, იმ შემთხვევაში მათთვის გამოძებნილი ყოფილიყო საკუთარი სასახლე, მონასტრის ბინები კი გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ სასულიერო პირთა საცხოვრებლადო. მაგრამ, როგორც ჩანს, ვახტანგისათვის და მისი ამალისათვის 19 ნოემბერს გამოუყვიათ ვორონეჟის, სუზდალისა და სმოლენსკის მონასტრის ბინები. აღნიშნული ბინები საკმარისი არ აღმოჩენილა, ამიტომ 1726 წ. 14 თებერვალს სენატს უცნობე-

---

[1] Описание документов и дел хранящихся в архиве Синода, т. V, стр. 416—418 (ქვემოთ დასახელებული იქნება შემოკლებით—Описание документов).

ბია სინოდისათვის, დამატებით მოემზადებიათ ბინები ყოფილი თეოდოსიის (ნიკიტინის ჭუჩაზე) რომანოვის სასახლეში, კიტაიგოროდში და პრესნაში. ამ საკითხზე სინოდმა აცნობა სენატს, რომ აღნიშნული მონასტერი თეოდოსიისა, კი არა, ნეეის არისო, ხოლო, რაც შეეხება რომანოვის სასახლის და კიტაიგოროდის ქვემონასტრებს, ისინი სავსე არიან მონასტრის სხვადასხვა ნივთით და არასგზით არ შეიძლება მათი განთავისუფლება საცხოვრებლადო. ამიტომ სინოდი ურჩევდა სენატს, ვიდრე მოსკოვში ვახტანგისათვის შეძენილი იქნებოდეს სასახლე, მანამდის მისთვის მიეცათ პრესნაზე ბინა და რამდენიმე სხვა ქვემონასტერი. სენატი არ დაეთანხმა სინოდს და მოითხოვა, ვიდრე ქართველი მეფისათვის საკუთარი ბინა იქნებოდეს შეძენილი, მანამდის აღნიშნულ ქვემონასტერში დაბინავებულიყვნენ და დაჟინებით მოითხოვდა მათ განთავისუფლებას და საცხოვრებლად მოგვარებას. სინოდი ამჯერადაც არ დაეთანხმა სენატის მოთხოვნას. თუ როგორ წარიმართა შემდეგში საქმის მსვლელობა, დოკუმენტებიდან არ ჩანს. ერთი კი ცხადია, 1725 წელს ვახტანგი დაბინავებულა მოსკოვში რიაზანის არქიეპის ბინაში[1] (დღევანდელი კიროვის ქ. № 1)[2], მეფის მსახურნი კი მოუთავსებიათ კოლომენის ქვემონასტერში[3]. რიაზანის ბინაში დარჩა ვახტანგი 1730 წლამდე.

1729 წ. 20 დეკემბრის ბრძანებულებით, ვახტანგ მეფეს ებოძა პრესნაზე სასახლე ბაღით, რომელიც, გ. ლეონიძის ცნობით, მდებარეობდა „დღევანდელ გრუზინსკაიას“ მოედანზე სწორედ იქ, სადაც დღეს დგას „ვოქსის“ შენობა[4]. სასახლის შესაკეთებლად მთავრობის მიერ გაღებულ იქნა 10000 მანეთი. ამ სასახლეს და ადგილს პირველად ფლობდა რიაზანის მღვდელმთავარი, უკანასკნელად კი ის ალექსანდროვის მონასტრის კუთვნილებას შეადგენდა. 1730 წ. 15 აგვისტოს ბრძანებულებით კი, ვახტანგ მეფეს არბატზე (ახლანდელი კალინინის ქ., სამხედრო „უნივერმაღის“ პირისპირ)[5] მიეცა თავად ვასილ ლუკას ძე დოლგორუკოვის სახლი. ვახტანგმა დაიგვიანა რიაზანიდან პრესნაში გადასვლა, რის გამოც რიაზანის

---

[1] АВПР, ფონდი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა,“ 1724, საქ. № 2, ფ. 10; Описание документов, т. X, стр. 310.

[2] Ситин П., Прошлое Москвы в названиях улиц, 1948, стр. 80.

[3] Описание документов, т. VII, стр. 264.

[4] გ. ლეონიძე, დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1954, № 31.

[5] იქვე, Описание документов, т. X, стр. 311.

ეპისკოპოსი სთხოვდა სენატს, ვახტანგს გაეთავისუფლებია რიაზანის არქიელის ბინა, ამასთან ერთად მიმართვაში აღნიშნულია ბაღის და ბინის გაპარტახების შესახებ. მართალია ვახტანგ მეფე გადასახლებულა პრესნაზე, მაგრამ რიაზანის ბინა მაინც არ გაუთავისუფლებია. იქ დარჩენილან ვახტანგის მოსამსახურეები, რომლებიც ჩვეულებისამებრ განაგებდნენ სასახლეს და პატრონობდნენ ბაღს. 31 აგვისტოს სინოდმა მეორედ გაგზავნა სენატში მიმართვა და სთხოვა, მიეღო ზომები მეფე ვახტანგის მოსამსახურეთა რიაზანის ბინიდან გამოსახლების შესახებ. 22 დეკემბერს არქიელი გაბრიელი ხელახლად სვამს საკითხს სინოდის წინაშე, რიაზანის ბინების ქართველებისაგან განთავისუფლების შესახებ. 1730 წ. 24 დეკემბერს ვახტანგთან მყოფი ბოქაული პოდპოლკოვნიკი პეტრე აკსაკოვი აცნობებდა სენატს, რომ რიაზანის ბინები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ვახტანგ მეფისათვის, რადგანაც იქ მოთავსებულია მთელი მისი ეკიპაჟი, რაც შეეხება არბატზე დოლგორუკოვის სახლს, ის ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ამის გამო სინოდი აცხადებდა, რომ აღნიშნული ეკიპაჟისათვის საკმარისი იქნება პირველი სართული, ხოლო სხვები უნდა განთავისუფლებულიყო. ქართველებს მაინც არ გაუთავისუფლებიათ რიაზანის ბინები. 1731 წ. 3 დეკემბერს სინოდმა მეოთხედ აცნობა სენატს რიაზანის ბინების განთავისუფლების შესახებ. რა მოხდა ამის შემდეგ, საქმეებიდან არ ჩანს.

ამრიგად, ვახტანგი საბოლოოდ დამკვიდრდა საცხოვრებლად პრესნაზე, სადაც მას, 1735 წ. მაისის 1, სასახლის მახლობლად დამატებით ებოძა მიწები საძოვრებისათვის[1]. სასულიერო პირები კი სხვადასხვა ქვემონასტრებში იქნენ დაბინავებულნი (ვორონეჟის, სუზდალის, სმოლენსკის და სხვ.).

ვახტანგს ამალისათვის 1725 წლის უწყისის მიხედვით მიუღია 18222 მანეთი და 65 კაპ., ხოლო მოწყობისათვის და გზის ხარჯების დასაფარავად—26658 მანეთი პურის გარდა, რომელიც მიიღო სინოდის მამულებიდან[2].

1725 წლის 17 აგვისტოდან ვახტანგის ამალას დაენიშნა ჯამაგირი ყოველწლიურად საპატრიარქო მამულებიდან 24000 მანეთი ფულად, 4000 ჩარეკი პურის ფქვილი ან მის ნაცვლად უნდა მი-

[1] АВПР, ფონდი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა", 1741, საქ. № 2, ფ. 10: Описание документов, т. XVI, стр. 29.

[2] Бутков П. Г., Материалы, т. I, Спб., стр. 65.

ელოთ ფულად 3450 მანეთი, 2000 ჩარექი შვრია, 36000 ფუთი თივა 200 ცხენისათვის და 500 საქენი შეშა[1]. 1726 წ. 12 იანვრის ბრძანებულებით ფულად ჯამაგირად და შეშის შესაძენად ყოველთვიურად უნდა ყოფილიყო გაღებული განსაზღვრული თანხა.

სინოდი, როგორც ბინების საკითხში, ისე ფულადი სახსრებისა, და პროდუქტების გაღებაზეც ცდილობდა თავის არიდებას. 1725 წ. 23 აგვისტოს სინოდმა აცნობა სენატს, რომ მოუსავლიანობის გამო აღნიშნული თანხისა და პროდუქტების გაცემა მას არ შეუძლია[2] და ამიტომ სხვა გზით ყოფილიყო გამოძებნილი ამალისათვის განკუთვნილი პური. სენატმა სინოდის ეს თხოვნა ნაწილობრივ შეიწყნარა და განკარგულება გასცა 4000 ჩარექი პურის ფქვილი ვახტანგ მეფეს მიცემოდა მოსკოვის მაღაზიებიდან, ხოლო 100 ჩარექი შვრია და 36000 ფუთი თივა სინოდის მამულებიდან. ამჯერად სინოდი დათანხმდა სენატის გადაწყვეტილებას, მაგრამ 1727 წელს კატეგორიული უარი განაცხადა თანხებისა და პროდუქტების გაღებაზე, რასაც სინოდი ასაბუთებდა მოუსავლიანობის მიზეზით. ამავე დროს რუსუდან დედოფალი მოითხოვდა, რომ ვახტანგის სასახლისათვის ფულადი ჯამაგირი გაღებულიყო წლის ნახევრის დასაწყისში, პური კი წელიწადში სამ ნაწილად მიცემოდათ. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა სენატის მიერ. უკანასკნელმა დაადგინა, რომ 1727 წლის პირველ მესამედის სურსათ-სანოვაგე აღებული ყოფილიყო ჩუდოვის, ვოზნესენსკის და ნოვოდევიჩის მონასტრებიდან, რაზედაც ეცნობა სინოდს, მაგრამ უკანასკნელმა აღნიშნული მიმართვა უყურადღებოდ დატოვა[2].

V

ვახტანგის ამალის რიცხვი ცვალებადობას განიცდიდა. წლების განმავლობაში ზოგი მათგანი საქართველოში დაბრუნდა და ზოგიც, სამშობლოდან უნებურად გადახვეწილი, მეფის ამალას შეუერთდა რუსეთში. უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა ლეკთა ტყვეობიდან ორჯერ გამოქცეული დიდი ქართველი პოეტი დავით გიორგის ძე გურამიშვილი.

გურამიშვილის წინაპრები ზედგინიძეები იყვნენ. უკანასკნელნი ცხოვრობდნენ შიდა ქართლში, დაახლოებული ყოფილან მეფის სა-

---

[1] Описание документов, т. VII, стр. 558; Полное собрание законов Российской империи, указ № 4818.

[2] Описание документов, т. VII, стр. 125.

სახლეებთან და, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „პატივცემული. მეფეთაგან მთავრობით“. მეფის სასახლეში მათ ამილახვრის, ე. ი. მეჯინიბეთ-უხუცესის თანამდებობაც სჭერიათ[1].

გვარი გურამიშვილი, საფიქრებელია, მომდინარეობდეს ვინმე გურამ ზედგინიძისაგან. უკანასკნელი დასახლებულა ხერკში (ყოფ. ზანავში), რომელსაც ჯერ თეზნის-ხევი, ხოლო შემდეგ საგურამო დარქმევია. ვახუშტის ცნობით საგურამოს საზღვრებია: „აღმოსავლით—მთა ერწოსა და ამას შორისი; სამხრით—მთა ზედაძნისა; ჩრდილოთ—ნიკორწინა-ბოკოწანს შორისი გორანი, ჩამოსული თიანეთის მთიდამ არაგვამდე; დასავლით—არაგვი“[2].

სათანადო საბუთების უქონლობის გამო, არ ხერხდება დავ. გურამიშვილის წინაპრების ვინაობის დადგენა. დღესდღეობით ცნობილია მხოლოდ პოეტის მამის სახელი—გიორგი, უკანასკნელს ჰყოლია ძმა მერაბი და შვილი ქრისტეფორე.

გიორგი გურამიშვილს დავითისა და ქრისტეფორეს გარდა სხვა შვილებიც ჰყავდა, მაგრამ მათ შესახებ ცნობები არ შენახულა.

პოეტის მამა, გიორგი გურამიშვილი, ცხოვრობდა გორის-უბანში სოფ. საგურამოს ზემო ნაწილში (არაგვის მარცხენა ნაპირი, ზედაზნის მთის ძირას). აქ დაიბადა, სიყრმისა და დავაჟკაცების წლები გაატარა დავ. გურამიშვილმა.

ჩვენი პოეტის დაბადების თარიღზე პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. მხოლოდ პოეტის ერთი ლექსიდან ირკვევა, რომ ის დაბადებულა 1705 წელს. „კაცისა და საწურთოს ცილობაში“, საწუთრო ეუბნება კაცს:

დასაბამითგან მოგითხრა რიცხვი ჩემისა ხნისაო:
შვიდ-ათას-ორას-ოთხმოცდა-ორისა მე ვარ წლისაო,
შენ მე საწუთროს მეძახი, წლისა სამოცდა-ცხრისაო.

კაცის სახით ამ ლექსში თვით ავტორი—დავ. გურამიშვილია გამოყვანილი, რომელიც იმ დროს, როდესაც ქვეყნის გაჩენიდან 7282, ხოლო ჩვენი წელთაღრიცხვით 1774 წელი დამდგარა, 69 წლისა ყოფილა. მაშასადამე, დაბადებულა ის 1705 წელს. ამ თარიღს ეწინააღმდეგება დოკუმენტებში დაცული ცნობები, რომელთა მიხედვით დავით გურამიშვილი დაბადებული ჩანს 1706 წელს. მაგ.,

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 24.
[2] იქვე, გვ. 94.

1745 წლის დეკემბრის დოკუმენტში დავ. გურამიშვილი 39 წლისად არის აღნიშნული, 1752 წ. ივლისის 13-ში შედგენილ ორ სხვადასხვა დოკუმენტში—46 წლისად, 1753 წ. 6 ოქტომბრის დოკუმენტში—47, 1754 წ. ივლისის 7—48 წ., 1755 წ. 2 ივლისს—49 წ. საყურადღებოა შენდეგი დოკუმენტიც: იმპერატორის 1781 წ. 16 ნოემბრის მანიფესტის საფუძველზე, 1782 წ. 17 აგვისტოს დავ. გურამიშვილს საკუთარი ხელმოწერით მიუცია ცნობები თავისი ოჯახის წევრთა შემადგენლობაზე და წლოვანებაზე. ამ ცნობაში, რომელიც დავითის სიტყვით შედგენილი ყოფილა „по самой истине“ და „без всякой утайки“, პოეტი 76 წლისად არის აღნიშნული[1].

როგორც ვხედავთ, დავ. გურამიშვილი თავისი დაბადების თარიღის შესახებ ორ სხვადასხვა ცნობას გვაწვდის: „კაცისა და საწუთროსაგან ცილობით“ პოეტი დაბადებულა 1705 წელს, ხოლო 1782 წ. მის მიერ შედგენილ „по самой истине“, და „без всякой утайки“-ს ცნობით—1706 წელს.

თუ უკანასკნელ თარიღს სანდოდ მივიჩნევთ, რომელსაც მხარს უჭერს სხვადასხვა წლებში შედგენილი დოკუმენტების ცნობებიც, მაშინ პოეტი დაბადებულა 1706 წ. და არა 1705-ს.

შესაძლებელია „კაცისა და საწუთროსაგან ცილობაში“ დავ. გურამიშვილს უნებლიედ შეცდომა მოსვლოდა ქვეყნის გაჩენის თარიღის ჩვენებაში: 7283 წლის ნაცვლად ეჩვენებიოს 7282 წელი.

უცნობია პოეტის დაბადების თვე და რიცხვი. ამის შესახებ დავ. გურამიშვილი ცნობას არ გვაწვდის. არც დოკუმენტებში შეგვხვედრია საამისო ცნობა. ამიტომ ეს საყურადღებო საკითხი ჯერჯერობით ამოუცნობი რჩება.

პატარა დავითი დედ-მამას აღსაზრდელად ძიძისათვის მიუბარებია.

ცუდ დროს მოუხდა დავითს სიყრმისა და სიჭაბუკის წლების გატარება. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართლი გამუდმებულ რბე-

---

[1] Косарик Д., Нові біографічні відомості про Давида Гурамішвілі, «Шота Руставелі», 1938, Киев, стр. 207. მართალია 1760 წ. 23 თებერვალს ელისაბედ დედოფლის სახელზე გაგზავნილ თხოვნაში და სამედიცინო კანცელარიისადმი მიცემულ ჩვენებაში დავ. გურამიშვილი თავისთავს 56 წლისად აცხადებს, მაგრამ ამ შემთხვევაში პოეტი, რომელიც სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებისათვის იღწვოდა და ერთ-ერთ საბუთად თავის მოხუცებულობას აცხადებდა, განგებ იმატებს წელს, რომლის შემოწმებას და დაზუსტებას იმ დროს არავინ შეუდგებოდა.

ვას განიცდიდა როგორც ოსმალებისაგან, ისე ლეკთა თავდასხმებისაგან. ქართლის მოსახლეობას ბარში აღარ ეცხოვრებოდა, ლტოლვილნი კლდეებსა და მიუვალ ადგილებს აფარებდნენ თავს. „ქვეყნის წახდენის მიზეზით“ ახალგაზრდა დავითიც იძულებული გამხდარა დაეტოვებია გორისუბანი და ლამისყანაში (ქსნის ხეობა) მოყვრის ოჯახში შეეფარებია თავი. მაგრამ ამ მდგომარეობამაც ვერ უშველა დავითს. ზაფხულის ერთ დღეს, როდესაც ის მუშებს ელოდა ყანაში, წყაროსთან მივიდა გასაგრილებლად. ამ დროს, ირტოზის გორიდან, თავს დაესხა ლეკთა შეიარაღებული 15 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, შეიპყრეს ის, შეუკრეს ხელები და „გადაატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია“. მთებში და კლდეებში რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ დავითი მიიყვანეს დაღესტანში, სოფ. ოსოქოლოში. აქ პოეტს „არც ასვეს და არც აჭამეს, არც ჩააცვეს, არც დახურეს“, მაგრამ ესეც არ აკმარეს, „უსასყიდლოდ მიღებული“ ბოლოს „გასასყიდლად მიაშურეს“. ამ შემზარავი ცნობის გაგების შემდეგ ღონემიხდილმა დავითმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და ტყვეობიდან ქართლში გამოიპარა, მაგრამ მოთარეშე ლეკებმა ისევ შეიპყრეს და „დააპაღურეს“.

დაღონებული პოეტი მოსთქვამდა:

ბნელსა ვხივარ, გეაჯები სასინათლო ამიხვრიტო,
ამოვსძვრე და გამოვიქცე, მოვიდე და შენა გკვრიტო.

ჩანს, დავითი ბნელ ხაროში დაუმწყვდევიათ. ტყვეების ხაროში ჩაგდება ლეკებს წესად ჰქონიათ. ილია ორბელიანი, რომელიც შამილს ჰყავდა ტყვედ, დ. გურამიშვილსავით ბნელ ხაროში მოუთავსებიათ, რომელიც თურმე, სიღრმით ერთი და სიგანით ნახევარი საჟენი იქნებოდა, ხაროში ჰაერი მხოლოდ მაღლიდან ჩადიოდა, ხაროს თავი გადახურული ყოფილა ფარდულით, რის გამოც ტყვეებს ჰაერი უფრო ეხუთებოდათ...არსად მათ არ უშვებდნენ. ადვილად წარმოსადგენია, წერს ილია ორბელიანი, როგორ გავეწამებოდით ამ ბნელ ხაროში, როგორ მოგვეხუთებოდა სული ასეთი აყროლებული ჰაერიდანო. ხაროს სიბნელე და მძორი ჰაერი სულს გვიხუთავდა, გულს გვიკლავდაო. როგორც დავით გურამიშვილს, ისე ილ. ორბელიანს, სასტიკი სიმშილის ატანა უხდებოდა. დღე და ღამეშიო, გადმოგვცემს ილ. ორბელიანი, „ჩვენ გვაძლევდნენ სამ-სამ ხინკალს. ეს იყო მოხარშული სიმინდის ცომი, წონით ნახევარ გირვანქამდე, ყოვლად უგემური, უნაწივრო და იმდენად სამყოფი, რომ კაცი არ მომკვდარიყო... ასე ვცხოვრობდით ჩვენ იმ

ხაროში, მზის შუქს დანატრებულები. ჩვენ არც დილა გაგვაჩნდა და არც საღამო, მხოლოდ მოლას ხმაზე ვიგებდით, რომ გათენდა, ახალი დღე იწყებოდა"[1]... ასეთ მდგომარეობაში აყენებდნენ ტყვეებს ლეკები. უდავოა, ამაზე ცუდს თუ არა, უკეთეს მდგომარეობაში მაინც არ იქნებოდა ჩავარდნილი ჩვენი პოეტი, რომელიც, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, იგონებდა რა თავისი ცხოვრების ამ ეპიზოდს, სასოწარკვეთით აღნიშნავდა:

მარტო ვიყავ, არვინ მყვანდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი,
არცა მაქვნდა საიმედოდ საკურველი სამხედრონიო.

საკვირველია, ამ მდგომარეობაში მყოფმა დავითმა როგორ მოახერხა ღრმა და დახურულ ხაროდან ამოსვლა. ანდა საიდან გაიგო, რომ მას გაყიდვას უპირებდნენ? ალბათ ტყვეობაში მყოფ დავითს, შესაფასებლად წინასწარ დაუწყეს „დაზვერვა", რამაც საფუძველი მისცა პოეტს ეფიქრა მისი გაყიდვის მოახლოების შესახებ. ტყვეთა გაყიდვა რომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო ლეკებში იმ შემთხვევაში, როდესაც უკანასკნელს გამომსყიდველი არავინ უჩნდა,—ესეც არ იქნებოდა დავითისათვის უცნობი. ტყვეებს კი იმ დროს უმთავრესად ყიდდნენ ყირიმის თათრებში. დავ. გურამიშვილი ამ მდგომარეობით სასოწარკვეთილებას არ მიცემია, ბრძოლისათვის ფარხმალი არ დაუყრია. „ხელმეორედ გაიპარა, როცა პოვა ჟამი-დრონი". ახლა პოეტმა რუსეთისაკენ აიღო გეზი. „მიენდო შვიდთა ვარსკვლავთა მას ჩრდილოეთის მხარესა", იმ მხარეს, სადაც ეგულებოდა ვახტანგ ბეფე თავისი მრავალრიცხოვანი ამალით, რომელთა შორის პოეტის ახლობლებიც იმყოფებოდნენ.

დავ. გურამიშვილი მხოლოდ ღამით განაგრძობდა სიარულს. დღისით კი იმალებოდა, რომ მდევარ ლეკებს კვლავ არ ჩავარდნოდა ხელში. მის საზრდოს შეადგენდა მოუწევარი კვინჩხი, მკვახე კოწახური და ტყემალი. დაღესტნის ხრიოკ მთებში 11 დღის სიარულის შემდეგ, მივიდა „წულისა პირსა... უჰალოსა". გასცილდა ამ ჰალასაც და მიუახლოვდა კალოზე მომუშავეებს...დავითი მიხვდა, რომ სამშვიდობოს გასული იყო, რუსეთში რუსებს შორის იმყოფებოდა. აქ პოეტი გულთბილად მიიღეს. მასზე დიდი მამობრივი მზრუნველობა გამოიჩინეს, თვითონ დავითი გადმოგვცემს:

---

[1] გ. ლეონიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო, „ლიტერატურის მატიანე", წიგნი 1—2, გვ. 450—451.

რომ

როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ მამიარაო, ...ი

როცა რომ მყვანდა, მივლიდა მეტს მამაჩემი არაო;

შევბრალდი, გულზედ მიმიქვა, მკოცნა და ცრემლი ღვარაო...

გამოჯანსაღების შემდეგ დავით გურამიშვილი სოლაღში წავიდა, სოლაღიდან—ასტრახანში, და უკანასკნელიდან მოსკოვში, სადაც ის შეუერთდა ვახტანგ VI-ის ამალას.

ჯერ კიდევ დაუზუსტებელია დავით გურამიშვილის დატყვევებისა და მოსკოვში ჩასვლის თარიღები.

დავით გურამიშვილი შეუპყრიათ ყანის მკის დროს, ე. ი. ზაფხულში (საფიქრებელია იელისში). თერგში კი მისულა იმ დროს, როდესაც ბაღები ატმითა და ყურძნით მსხმოიარე იყო, ყოფილა კიტრი და საზამთროც. ყოველივე ამის გამო, თერგში დავითი შემოდგომაზე გვიან ვერ ჩავიდოდა. გ. ლეონიძის აზრით დავით გურამიშვილს ტყვეობაში დაუყვია ორი თუ სამი წელი[1], მაგრამ ეს სწორი არ არის. როგორც პოეტის თხზულებიდან იგრძნობა დავითი ტყვედ დიდხანს არ დარჩენილა. მართლადაც, უსაქმური ტყვის დიდხანს გაჩერება ხელსაყრელი არ იყო „პატრონისათვის“. ამიტომ ორ ან სამ წელს ტყვეობაში დავითს არავინ გააჩერებდა. პოეტის დატყვევება, მისი ორჯერ გაპობარვა და თერგში გადასვლა იმავე წელს არის სავარაუდებელი, რა წელსაც ის დაატყვევეს.

თერგიდან საფიქრებელი არ არის დავით გურამიშვილი მალე წასულიყო. არაქათგამოლეულს, „საწუთროსაგან მწარედ ნატანჯს და დიდად ნასარჯს, ტყვეობისაგან შიშველის ფეხებით აქა-იქ ხეხებით“ ნაწამებ პოეტს, რამდენიმე თვე მაინც უნდა მოესვენა, რომ ენერგია მოეკრიბა და შემდეგ განეგრძო გზა. ამის გამო, საფიქრებელია, ზამთარი პოეტს თერგში გაეტარებიოს. მომდევნო წელს კი დავითს შეეძლო წასულიყო სოლაღ-ასტრახანში და შემდეგ მოსკოვში. სოლაღ-ასტრახანში დავით გურამიშვილს ქართველებს შორის (რომლებიც იმ დროს ბლომად იყვნენ აღნიშნულ მხარეში) რამდენიმე ხანს მაინც მოუხდებოდა შეჩერება, რომ მოსკოვში სამგზავროდ მოწყობილიყო. შესაძლებელია სოლაღში ან ასტრახანში შეხვდა ის თავის საყვარელ მოხუც, ავადმყოფ ბიძას მერაბ გურამიშვილს და ერთად გაემგზავრნენ მოსკოვში! ყოველ შემთხვევაში დავითი და მერაბი ერთ წელს არიან ჩასული მოსკოვში, და ორივენი ვახტანგ მეფის ამალის ჯგუფში ჩარიცხულან (*Ros*—335).

ამრიგად, დავითი მოსკოვში უნდა ჩასულიყო მისი დატყვევების მეორე წელს.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1940, № 187.

ახლა გასარკვევია საკითხი, თუ როდის დაატყვევეს ჩვენი პოეტი.

ამ მხრივ საყურადღებოა ერთი დოკუმენტი, რომელიც შედგენილია 1752 წ. 13 ივლისს და შეიცავს ქართული ჰუსართა პოლკის სახელობით სიას. ამ სიაში დავ. გურამიშვილის საქართველოდან წასვლის თარიღად ნაჩვენებია 1728 წელი[1] (საქართველოდან წასვლის დროდ კი იგულისხმება პოეტის დატყვევების წელი).

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ქართველები, რომლებიც 1724 წლის შემდეგ გადასახლდნენ რუსეთში და ვახტანგის ამალაში ჩაერიცხნენ, სამსახურში შესვლისა და საქართველოდან წასვლის თარიღს, გარკვეული მოსაზრებით, არ უჩვენებდნენ. მხოლოდ თითოოროლას უწერია გამონაკლისის სახით და მათ შორის ზოგს 1724 წელი, რაც მოსალოდნელია გარეშე პირთა მიერ არასწორი ინფორმაციით იყოს გამოწვეული ანდა თვით ამ პირთა გარკვეული ტენდენციით—უჩვენონ თავიანთი თავი ვახტანგ VI-ის ამალის პირველი შემადგენლობის წევრად.

დავით გურამიშვილის შესახებ სახელობით სიებში აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ არის გაცემული, მხოლოდ ორ შემთხვევაშია ნაჩვენები თარიღი: პირველი 1745 წ. სიაში, სადაც შეცდომით 1724 წელი უწერია. მეორე—1752 წ. უწყისში, რომელშიაც ზემოაღნიშნული თარიღი 1728 წლად არის შეცვლილი. პირველ შემთხვევაში მოსალოდნელია ამ საკითხის კარგად არმცოდნე პირს ეჩვენებიოს 1724 წელი, რომელიც ყველასათვის ცნობილი იყო როგორც ქართველების რუსეთში გადასახლების თარიღი, მაგრამ 1728 წლის ჩვენება შეეძლო მხოლოდ თვით დავით გურამიშვილს ანდა ამ საქმის მცოდნე რომელიმე პირს. ამიტომ დავ. გურამიშვილის საქართველოდან წასვლის (იგივე დატყვევების) თარიღად შესაძლებელია მიღებულ იქნეს მხოლოდ 1728 წელი.

როგორც აღვნიშნეთ, დავითი დატყვევების მომდევნო წელს უნდა ჩასულიყო მოსკოვში, რასაც ჩვენი ვარაუდით ადგილი უნდა ჰქონოდა 1729 წელს. მართლადაც, ვახტანგ მეფის 1737 წლის ამალის ნუსხის მიხედვით, დავითი მოსკოვში ჩასულა 1729 წელს. ერთ ლექსში პოეტი წერს:

> ექვსის წლის წინათ ჩემს უწინ ქართლიდამ წაბრძანებულნი,
> რა მიველ მოსკოვს, ვიხილე მეფე და ქართველთ კრებულნი.

[1] ЦГВИА, ფონდი 10, შეკ. 30, საქ. № 1, ფ. 3.

დოკუმენტებისა და პოეტის ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ დავით გურამიშვილს ან სოლაღ-ასტრახანში დაუყვია ერთი წელი და შემდეგ წასულა მოსკოვში (რაც საეჭვოა), ანდა პოეტი იმ დროს ჩასულა მოსკოვში, როდესაც ვახტანგის გადასახლებიდან სრული ექვსი წელი არ ყოფილა გასული.

ამ შემთხვევაში პოეტისა და დოკუმენტებში დაცული ცნობები (1729 წელი) ერთმანეთს ემთხვევა.

ამრიგად ირკვევა, რომ დავით გურამიშვილი დაუტყვევებიათ 1728 წლის ზაფხულში, მოსკოვში კი ჩასულა 1729 წელს.

ვახტანგის ამალაში იყვნენ იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები —პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, პოეტები, ხელოვნების მუშაკები და სხვ. ამ პირებმა რუსეთში გააჩაღეს ქართული კულტურის კერები. ისინი ეწეოდნენ როგორც მხატვრულ-შემოქმედებით მუშაობას, ისე მეცნიერულ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

ვახტანგის ამალის ერთ-ერთი აქტიური წევრი შეიქნა დავით გურამიშვილიც. პოეტური ნიჭით დაჯილდოებული დავითი მონაწილეობას იღებდა ლიტერატურულ პაექრობაში, რომელიც ხშირად იმართებოდა ვახტანგის სასახლეში. ამ პაექრობებიდან დ. გურამიშვილი გამარჯვებული გამოდიოდა, რამაც მას მალე დიდი პოეტის სახელი მოუპოვა მოსკოვის ქართველთა კოლონიაში. ვახტანგ მეფეც მზრუნველობით ეპყრობოდა დავითს, როგორც ნიჭიერ პოეტსა და სათნო პიროვნებას. სამსახურშიც მოაწყო—ჯაბადარბაშად (იარაღის საწყობის გამგედ) დანიშნა.

VI

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის მთავრობა ქართლის მეფეს თავისი მრავალრიცხოვანი ამალით გულუბვად უმასპინძლდებოდა. წლების განმავლობაში მუქთად ინახავდა. შემდეგ კი რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა ისე წარიმართა, რომ მთავრობა ვერ ჩაერია ვახტანგის სამეფო საქმეებში, რისთვისაც ქართლ-კახეთი ისევ გამუდმებულ ძარცვა-რბევას განიცდიდა გარშემორტყმული მტრებისაგან. ამალის წევრთა შორისაც აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა ვახტანგ VI-ის მიერ გადადგმული ნაბიჯის შესახებ, ამიტომ ზოგი მათგანი ისევ სამშობლოში დაბრუნდა.

რუსეთის მთავრობა ამალის წევრებს თანდათან უკლებდა დანიშნულ ულუფას, კუთვნილსაც ვერ აძლევდა დროულად, ხოლო ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ამალის წევრებს ისეთი მდგო-

მარეობა შეექნათ, რომ ისინი ან უნდა დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, ანდა რუსეთის ქვეშევრდომობა უნდა მიეღოთ და სამსახურში შესულიყვნენ.

ამ უკანასკნელთა ჯგუფიდან 87 წევრმა 1738 წელს თხოვნით მიმართა დედოფალ ანას, რომ ისინი მიეღო სამსახურში და მათგან ჩამოეყალიბებინათ ქართული ჰუსართა ასეული. დედოფალმა მათი თხოვნა შეიწყნარა. ჩამოყალიბებულ იქნა ქართული ჰუსართა ასეული, რომელიც სენატმა ბრძანებულებით გააფორმა ვახტანგ მეექვსის გარდაცვალების წლის თავზე, 1738 წ. 25 მარტს.

1738 წ. სენატმა მოსთხოვა ბაქარს წარედგინა იმ პირთა სია, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ ქართულ ჰუსართა ასეულში ჩარიცხულიყვნენ. სიას თან უნდა დართვოდა ცნობები, თუ რამდენს იღებდა თითოეული მათგანი ბოლო დრომდე როგორც ფულად, ისე პურისა, ფურაჟისა და შეშისათვის. სიაში ნაჩვენები უნდა ყოფილიყო აგრეთვე ცნობები მათი შვილების, მათთან მყოფი აზნაურებისა და მსახურთა რაოდენობის შესახებ.

იმავე წლის 17 მაისს ბაქარმა წარუდგინა სენატს შემდეგი სახის ცნობები[1]:

გურიის მთავარი თავადი ქაიხოსრო გურიელი: I—სტეფანე 8 წ., 3—3; 4 I—312 მან., II—83 მან. 10 კაპ., III—395 მან. 10 კაპ., 5—253 მან. 50 კაპ.

ვახტანგ მეფის ნათესავი ქართველი თავადები: მუხრანის მებატონე თავადი გენერალი მამუკა დავითიშვილი 2—4, 3—6. მე-4 გრაფაში უწერია: „Выехал в [1]737 году и жалованья еще не получал и не определено, токмо в пропитание несколько дано от царя Вахтанга", 5—154 მან. 5 კაპ.; თავადი დიმიტრი ორბელიანი: 1—გერასიმე 9 წ., 2—3, 3—3; 4 I—545 მან., II—166 მან. 60 კაპ. III—712 მან. 10 კაპ., 5—450 მან. 52 კაპ.; თავადი ელისე ამილახვარი: 2—2, 3—3; 4 I—250 მან., II—72 მან. 90 კაპ., III—322 მან. 90 კაპ., 5—203 მან. 77 კაპ.; თავადი დავით ერისთავი: 1—ივანე 8 წ., 2—1, 3—1; 4 I—120 მან., II—28 მან. 95 კაპ., III—148 მან 95 კაპ., 5—93 მან. 95 კაპ.; თავადი იესე ციციშვილი 2—1, 3—2. მე-4 გრაფაში უწერია „Жалованье еще не получал, ныне на пропитание токмо несколько дано", 5—58 მან. 70 კაპ.

---

[1] პირობითი ნიშნებისათვის: 1—ყავს შვილი, 2—მასთან იმყოფებიან აზნაურები, 3—მასთან იმყოფებიან მსახურნი, 4—მათი ჯამაგირია: I—ფულადი, II—პურის, ფურაჟისა და შეშის, III—სულ, 5—არ მიუღია 1737 წლის კუთვნილი თანხა.

კახეთის თავადები: თავადი ოთარ ჩოლოყაშვილი: 1—ფილიპე 10 წ., 2—3, 3—4; 4 I—357 მან., II—147 მან. 90 კაპ., III—604 მან. 90 კაპ., 5—380 მან. 23 კაპ.; თავადი მერაბ ანდრონიკაშვილი: 1—არტემონი 16 წ., მათე 14 წ., 2—1, 3—2; 4 I—204 მან. 30 კაპ., II—62 მან. 70 კაპ., III—267 მან., 5—167 მან. 87 1/2 კაპ.; თავადი გერასიმე ანდრონიკაშვილი, ყავს ორი ძმა: ვასილი 7 წ., რომანოზ 13 წ., 2—1, 3—2; 4 I—275 მან. 70 კაპ., II—71 მან. 40 კაპ., III—347 მან. 20 კაპ., 5—217 მან. 72 1/2 კაპ.; თავადი ათანასე ქობულაშვილი: 1—მათე 14 წ., 3—3; 4 I—272 მან., II—94 მან. 5 კაპ., III—366 მან. 5 კაპ., 5—229 მან. 10 კაპ.

დანარჩენი თავადები: თავადი ანდრია ორბელიანი: 3—1; 4 I—42 მან., II—17 მან. 10 კაპ., III—59 მან. 10 კაპ., 5—38 მან. 77 1/8 კაპ.; თავადი ვახტანგ ორბელიანი (ცოლი და შვილები ყავს საქართველოში): 2—1, 3—1; 4 I—115 მან., II—32 მან. 70 კაპ.; III—147 მან. 70 კაპ., 5—93 მან. 60 კაპ.; თავადი სვიმონ ჩოლოყაშვილი: 4 I—97 მან., II—21 მან., III—118 მან., 5—78 მან.; თავადი ოთარ ერისთავი: 1—დავითი 20 წ., ალექსი 6 წ., 3—1; 4 I—120 მან., II—38 მან. 85 კაპ., III—158 მან. 85 კაპ., 5—102 მან. 72 1/2 კაპ.; თავადი ნოდარ ბარათაშვილი: 1—დავითი 20 წ., რევაზი 16 წ., როსტომი 30 წ., 3—3; 4 I—270 მან., II—75 მან. 75 კაპ., III—345 მან. 75 კაპ., 5—222 მან. 22 1/2 კაპ.; თავადი დიმიტრი შალიკაშვილი: 3—2; 4 I—184 მან., II—70 მან. 50 კაპ., III—234 მან. 50 კაპ., 5—170 მან. 65 კაპ.; თავადი გერასიმე ჯავახიშვილი: 2—1, 3—1; 4 I—80 მან., II—22 მან. 20 კაპ., III—102 მან. 20 კაპ., 5—65 მან. 47 კაპ.; თავადი შიოშ ჯავახიშვილი (ქვრივი): 3—2; 4 I—50 მან., II—21 მან. 45 კაპ., III—71 მან. 48 კაპ., 5—46 მან. 72 1/2 კაპ.; თავადი ნიკოლოზ მანველაშვილი: 1—დასახელებულია მხოლოდ წლოვანება 2 წ. სხვა წყაროებით ირკვევა, რომ ივანე რქმეული, 3—1; 4 I—50 მან., II—18 მან. 60 კაპ., III—68 მან. 60 კაპ., 5—45 მან. 67 1/2 კაპ.; თავადი მერაბ გურამიშვილი, მოხუცი და დაჭრილი, სამსახურში შედის მისი ძმისშვილი თავადი დავით გურამიშვილი: 3—1; 4 I—50 მან., II—15 მან. 90 კაპ., III—65 მან. 90 კაპ., 5—41 მან. 10 კაპ.

მცირეწლოვანი ობოლი ბავშვები: თავადი რატიშვილი გიორგი 10 წ., ნიკოლოზი 6 წ., ვასილი 5 წ. ცხოვრობენ დედასთან [გრაფების ციფრები გადასულია ისე, რომ არ იკითხება].

თავადი დავით მაჩაბელი 6 წ. ყავს ბებია ქნეინა თინათინი, 3—2; 4 I—132 მან. 90 კაპ., II—38 მან. 85 კაპ., III—171 მან. 75 კაპ., 5—103 მან. 22 $^1/_2$ კაპ., თავადი გიორგი ანდიანოვი [ანდრონიკაშვილი?]: 3—2; 4 I—155 მან., II—46 მან. 5 კაპ., III—201 მან. 5 კაპ., 5—167 მან. 85 კაპ.[1]

ამის შემდეგ ქართული ჰუსართა ასეულის შემადგენლობის პროექტი სენატმა წარუდგინა მინისტრთა კაბინეტს, უკანასკნელმა კი პროექტი დაამტკიცა.

ქართულ ჰუსართა ასეულში პირველად ირიცხებოდა 70 რიგიანი ჰუსარი, 17 მეთაური და დამხმარე პერსონალი: კაპიტანი 1, პორუჩიკი 2, პრაპორშჩიკი 2, მღვდელი 1, ვახმისტრი 2, კვარტირმეისტერი 2, კაპრალი 3, ასეულის მწერალი 1, დალაქი 1, მედოლე 2.

ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნა 2980 მან. და 63 $^1/_3$ კაპიკის რაოდენობით, შემდეგი სახით[2].

	საშტატო ერთეულები	თითოეულს		სულ	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
კაპიტანი	1	237	86 $^1/_4$	237	86 $^1/_3$
პორუჩიკები	2	162	43 $^1/_8$	324	86 $^1/_3$
პრაპორშჩიკები	2	115	63 $^1/_8$	231	26 $^1/_4$
მღვდელი	1	82	20	82	20
ხელფასი მუნდირის, ამუნიციისა და პროვიანტის ფულის ჩათვლით					
ვახმისტრები	2	32	43 $^1/_8$	64	86 $^1/_3$
კვარტირმეისტრები	2	26	33 $^1/_8$	52	66 $^1/_4$
კაპრალები	3	25	82 $^5/_{12}$	77	47 $^1/_3$
მწერალი	1	25	19 $^5/_{12}$	25	19 $^5/_{12}$
რიგითი ჰუსარები	70	25	82 $^5/_{12}$	1807	69 $^1/_6$
დალაქი	1	25	19 $^5/_{12}$	25	19 $^5/_{12}$
მედოლეები	2	25	69 $^5/_{12}$	51	38 $^5/_6$

ასეულში მყოფ თავადებსა და აზნაურებს ჯამაგირი ეძლეოდათ იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი ნამდვილ სამხედრო სამსახურში ან ომში იქნებოდნენ. სხვა დროს კი ჯამაგირი არ ეძლეოდათ, სამა-

[1] ЦГВИА, ფონდი 10, ანაწ. 109, საქ. № 1, ფ. 465—467.

[2] ЦГВИА, ფონდი 10, საქ. № 1, ფ. 465.

გიეროდ მუდმივ სამფლობელოდ მიეცათ უკრაინაში მამულები თავადებს 30 კომლით, ხოლო ვისაც მცირეწლოვანი ვაჟი ჰყავდა, თითოეულ ვაჟზე დამატებით კიდევ 5 კომლი (ასეულის ჩამოყალიბების შემდეგ დაბადებული ვაჟები ამ პრივილეგიით ვერ სარგებლობდნენ), აზნაურებს კი ყველას ათ-ათი კომლი დაურიგდათ.

თავადებსა და აზნაურებს წინასწარ ჩამოართვეს მეფის რუსეთის ერთგულობის ფიცი, რომ ისინი და მათი ჩამომავლობა სამუდამოდ დარჩებოდნენ რუსეთის ქვეშევრდომები და უპასპორტოდ არ წავიდოდნენ საზღვარგარეთ.

ასეულის წევრების დაბალ ფენას, გლეხობას, რომლებსაც მამულები არ ერგებოდათ, დაენიშნათ მუდმივი ჯამაგირი.

ქართველი ჰუსარები ვალდებული იყვნენ როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს ჰქონოდათ მუნდირები, თოფი და ყოველგვარ საომარ ამუნიციასთან ერთად უნდა ჰყოლოდათ ცხენი საკუთარი ხარჯით.

ომიანობის დროს მამაკაცები ვალდებული იყვნენ გამოცხადებულიყვნენ ომში წასასვლელად. სახლში რჩებოდნენ მხოლოდ ქალები და მოურავები, რომლებიც განაგებდნენ მამულებს[1].

როგორც აღვნიშნეთ, ქართული ჰუსართა ასეული, სენატის მიერ წარდგენილი პროექტის მიხედვით, დამტკიცებულ იქნა მინისტრთა კაბინეტის მიერ 1738 წ. 8 ივნისს შემდეგი სახით: კაპიტანი თავადი მამუკა დავითიშვილი; პორუჩიკები: თავადი ქაიხოსრო გურიელი და თავადი ელისე ამილახვარი; პრაპორშჩიკები: თავადი დიმიტრი ორბელიანი და თავადი დავით ერისთავი; ვახმისტრები: თავადი იესე ციციშვილი და თავადი ოთარ ჩოლოყაშვილი; კვარტირმეისტრები: თავადები მერაბ და გერასიმე ანდრონიკაშვილები; კაპრალები: თავადები ათანასე ქობულაშვილი, ანდრია და ვახტანგ ორბელიანები.

დანარჩენი თავადები და აზნაურები რიგითი ჰუსარები იყვნენ.

ასეულის რუსული ენის მცოდნე ერთი მწერალი, ერთი დალაქი და ორი მედოლე, თუ ქართველებს შორის არ აღმოჩნდებოდნენ, კაპიტან დავითიშვილს უნდა მოეთხოვა სამხედრო კოლეგიისაგან.

შტატით გათვალისწინებული იყო აგრეთვე ერთი მართლმადიდებელი მღვდელი. თუ ქართველებში ასეთი პირი არ აღმოჩნ-

---

[1] Плохинский М.. Поселение грузин в Малороссии, „Русский архив", 1894, X, стр. 233.

დებოდა,—გამოთხოვილი უნდა ყოფილიყო სინოდისაგან[1]. მღვდელს, მწერალს, დალაქს, და მედოლეებს, ისე როგორც გლეხობას, ეძლეოდათ მუდმივი ჯამაგირი.

საცხოვრებელ ადგილად ქართველ ჰუსარებს მიუჩინეს უკრაინა. იქ უნდა დასახლებულიყვნენ ისინი ერთად, საზღვართან ახლოს და უნდა მიცემოდათ მამულები, თავადებს: მამუკა დავითიშვილს, ქაიხოსრო გურიელს, დიმიტრი ორბელიანს, ელისე ამილახვარს, დავით და ოთარ ერისთავებს, იესე ციციშვილს, ოთარ და სვიმონ ჩოლოყაშვილებს, მერაბ და გერასიმე ანდრონიკაშვილებს, ათანასე ქობულაშვილს, ანდრია და ვახტანგ ორბელიანებს, ნოდარ ბარათაშვილს, დიმიტრი შალიკაშვილს, გერასიმე და შიოშ ჯავახიშვილებს, ნიკოლოზ მანველაშვილს და დავით გურამიშვილს ოცდაათ-ოცდაათი კომლი.

ბავშვებს, რომლებიც 16 წლისა და მეტისა იყვნენ, თუ ისინი სამსახურში მაშინვე შევიდოდნენ: არტემოვ ანდრონიკაშვილს, და-

---

[1] ქართულ ჰუსართა პოლკში 1738—1749 წლებში მღვდლად იყო გაბრიელ გარსევანიშვილი. რომელიც ავადმყოფობის გამო განთავისუფლდა 1749 წ., მის ადგილას 1749 წ. 18 სექტემბრიდან 1765 წ. 21 დეკემბრამდე იყო დავით ხარიტონაშვილი. რომელიც მსახურობდა ბაქარის სასახლის ეკლესიაში, მას დავალებული ჰქონდა წიგნების ვაჭრობის ხელმძღვანელობა. პოლკში განწესებისათვის რეკომენდაცია მისცა ბაქარმა და იოსებ სამებელმა. ხარიტონაშვილმა თავი ისახელა შვიდწლიან ომში: 1757 წ. ეგერსდორფთან, 1758 წ. ცორნდორფთან, 1759 წ. პალციგთან, იმავე წლის 1 აგვისტოს ფრანკფურტთან, 1761 წ. კოლბერგის გარემოცვაში და სხე. სამხედრო ოპერაციების დროს. ამის გამო გენერალ პეტრე სვიმონის ძე სალტიკოვმა იშუამდგომლა სინოდის წინაშე, რათა ხარიტონაშვილი დაჯილდოებული ყოფილიყო (ЦГИАЛ, ფონდი 796, № 221, ფ. 1, 47—48). სინოდმა დააჯილდოვა ხარიტონაშვილი ჯერ წლიური ჯამაგირით, შემდეგ (1760 წ. 4. XII.) დეკანოზის ხარისხში აიყვანა და პოლკიდან განთავისუფლებისას დაუნიშნა პენსია წლიური ჯამაგირის რაოდენობით (1765 წ. 16.11). Описание дел и документов хранящихся в архиве Синода, т. XXXIX, стр. 524—526.

ქართულ ჰუსართა პოლკში 1742 წ. 1 ივლისამდე უჯამაგიროდ მსახურობდა გრიგორიანი მღვდელი დავიდოვი, რომელიც მომსახურეობას უწევდა პოლკში მყოფ სომხებს. პოლკის მაიორი ელისე ამილახვარი ცდილობდა დავიდოვის შენარჩუნებას. მაგრამ შტატით მხოლოდ ერთი მართლმადიდებელი მღვდელი იყო დამტკიცებული. ამის გამო ელისე ამილახვარმა 1742 წ. 2 მარტს სთხოვა ფელდმარშალ ლასის, რომ დავიდოვს საარსებოდ ჰუსარის ჯამაგირი მაინც დანიშნოდა. ფელდმარშალ ლასიმ საკითხი დასვა სამხედრო კოლეგიის წინაშე, მაგრამ რადგანაც უკანასკნელის ფუნქციაში ეს საქმე არ შედიოდა, ამიტომ საქმე დასკვნისათვის გადაეცა სინოდს. სინოდმა კი კატეგორიული უარი განაცხადა ე. ამილახვრის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და ბრძანებულება გასცა, რომ დავიდოვი არ დაეშვათ ქართულ ჰუსართა პოლკში.

ვით ერისთავს, როსტომ, დავით და რევაზ ბარათაშვილებს უნდა მიცემოდათ ოცდაათ-ოცდაათი კომლი. ზემოთ აღნიშნულ პირთა მცირეწლოვან შვილებს და ძმებს: სტეფანე გურიელს, გერასიმე ორბელიანს, ივანე ერისთავს, ფილიპე ჩოლოყაშვილს, მათე, რომანოზ და ვასილ ანდრონიკაშვილებს, მათე ქობულაშვილს, ალექსი ერისთავს, ივანე მანველაშვილს აღსაზრდელად დაუმტკიცებდათ ხუთ-ხუთი კომლი.

აზნაურებს: მერაბ ზედგინიძეს, დავით რატიშვილს, სვიმონ ბურდიევს, გოდერძი სტეფანოვს, როსტომ აიტმაზოვს, შილიშინტე კარკალევს, გერასიმე ჩიკონცის, პავლე რუბაკოვს, ივანე და ეგორ ჯახოვებს, თეიმურაზ და ბეჟან ყანჩელებს, ეგორ მურზინს, ნიკოლოზ კლიმხოვს, კაცურ ინასარიძეს, ეგორ გოდერძიშვილს, რომანოზ მიხაილოვს და ონოფრე კარგარეთელს მიეცათ ათ-ათი კომლი[1].

ამ განრიგების პრაქტიკულად განხორციელება დავალებული ჰქონდა უკრაინაში გენერალ-გუბერნატორ რუმიანცევს.

ქართველების უკრაინაში გადასაყვანად პეტერბურგიდან მოსკოვამდე გამოყოფილ იქნა 36 სამგზავრო ფურგონი. მოსკოვიდან გლუხოვამდე, უკეთუ გვარეულობა ერთად წავიდოდა, უნდა გამოყოფილიყო 115 ფურგონი. გადადებულ იქნა გადასაყვანად გარკვეული რაოდენობის თანხაც.

ბართალია, ქართველი ჰუსარები აღნიშნული პირობების შესახებ კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ დედოფლისადმი მირთმეულ თხოვნაში, მაგრამ ეტყობა, ზოგი მათგანი ნამდვილად არ იყო ამ მდგომარეობით კმაყოფილი.

ასეულის შტატის სიმცირე საშუალებას არ იძლეოდა ყველას დაკმაყოფილებას. ამიტომ ზოგი წარჩინებული პირი რიგითად ან შედარებით დაბალი ჩინით მოხვდა ჰუსართა ასეულში. მაგ., ვახტანგ VI-ის ქვისლი, იმერეთის მეფის ნათესავი, ყაბარდოში და მთიულეთში კარგად ცნობილი და გავლენიანი პირი თავადი დიმიტრი ორბელიანი პრაპორშჩიკის ჩინში დაამტკიცეს. რიგით ჰუსარებად დარჩნენ თავადები: ნოდარ ბარათაშვილი, დიმიტრი შალიკაშვილი, გერასიმე და შიოშ ჯავახიშვილები და სხვ.[2] ამ მდგომარეობას

---

[1] ЦГВИА, ფონდი, 10, საქ. № 1, ფ. 460—462; Полное собрание законов, т. X, стр. 534—535. გამოქვეყნებულ ბრძანებულებასა და არქივში დაცულ დოკუმენტს შორის აზნაურთა რაოდენობა და დასახელება განსხვავდება.

[2] დ. კ ო ს ა რ ი კ ს შეცდომით აქვს აღნიშნული, ვითომც გერასიმე ჯავახიშვილი ასეულის ჩამოყალიბების დროს კვარტირმეისტრად იყო დანიშნული („დავით გურამიშვილი უკრაინაში", თბილისი, 1949. გვ. 36).

უხერხულობა გამოუწვევია ასეულის წევრთა შორის, რისთვისაც იმავე წლის, ე. ი. 1733 წ. 21 აპრილს ქართველმა ჰუსარებმა თხოვნით მიმართეს ანა დედოფალს, რომ ზემოთ აღნიშნული რიგითი ჰუსარები აყვანილი ყოფილიყვნენ იმავე ასეულში ოფიცრის ჩინში ანდა, უკრაინაში მიწების მიღების შემდეგ, გაეგზავნათ გენერალ-ფელდმარშალ გრაფ მინიხთან სამსახურში განსაწესებლად თავისი შეხედულების მიხედვით. ეტყობა საქმე ვერ მოგვარებულა, ამიტომ დ. ორბელიანმა, ნ. ბარათაშვილმა და გერასიმე ჯავახიშვილმა დასტოვეს ჰუსართა ასეული და ითხოვეს სამსახურში განწესება ყიზლარში, სადაც იმ დროს ქართველები მსჭხურობდნენ. აღნიშნული პირები პირდებოდნენ მთავრობას, რომ გარდა პირდაპირი მოვალეობისა, ისინი სახელმწიფოს სარგებლობისათვის სხვა საქმიანობასაც შეუდგებოდნენ, მაგ. აბრეშუმისა და ღვინის ქარხნის გახსნას, აგრეთვე ბამბის ქაღალდისა და საღებავების დამზადებას. შემოსავლიდან ისინი დააკმაყოფილებდნენ ყიზლარში მყოფ როგორც ქართველთა ჯარს, რომელიც ამ დროს 500 კაცამდე აღწევდა, ისე სომხებისას. დახმარებას გაუწევდნენ აგრეთვე კაზაკებისა და გარნიზონის ნაწილებსაც. ამასთან ერთად თხოულობდნენ, რომ მათ დანიშვნოდათ მუდმივი ჯამაგირი და შერჩენოდათ უკრაინაში მიღებული მიწები.

სენატმა არ გაანთავისუფლა დ. ორბელიანი (გარდაიცვალა 1739 წ. 6 თებერვალს) იმ მოტივით, რომ სხვებიც მიბაძავენ მას და ასეული დაიშლებაო, დანარჩენთა თხოვნა დააკმაყოფილა და ანა დედოფალს უმტკიცებდა, რომ აღნიშნული პირები და, აგრეთვე, სხვა ქართველები, რომლებიც შემდეგში სამსახურს მოისურვებდნენ, უმჯობესია დასახლდნენ ყიზლარში, სადაც ქათ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ სახელმწიფოსათვის. დაიცავენ სახელმწიფო საზღვრებს იქაური მთიელი ხალხის თავდასხმებისაგანო (ბრძ. 7614). მაგრამ ანა დედოფალმა უარი განაცხადა და უმჯობესად სცნო აღნიშნული პირების უკრაინაში დასახლება[1].

---

[1] 1742 წელს მეფის რუსეთის მთავრობამ განიზრახა ორენბურგში დაესახლებია უკრაინელები და ვოლოხოველები. მაგრამ სენატმა უმჯობესად სცნო უკრაინელები ადგილზე დაეტოვებიათ შემდეგი მოსაზრებით: 1731 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით უკრაინაში ყოველწლივ იდგა 6 დრაგუნის პოლკი. ამას ზედ ერთვოდა გენერალიტეტი, მთავარი საველე აფთიაქი და გლუხოვის გარნიზონის პოლკი. სურსათ-სანოვაგეს და ფურაჟს აღნიშნულ სამხედრო ნაწილებისათვის წლის განმავლობაში იღებდნენ უფასოდ უკრაინელებისაგან. ორენბურგში გადასახლების შემთხვევაში გადასახლებულები თავისუფლდებოდნენ ამ მძიმე ტვირთისა-

უდავოა, უკმაყოფილოთა რიცხვი ბლომად იქნებოდა ახლად ჩამოყალიბებულ ასეულში და მათ ჴორის დავ. გურამიშვილიც, რომელიც რიგით ჰუსარად იქნა მიღებული მაშინ, როდესაც ვახტანგ მეექვსისაგან მან დიდი პატივისცემა და ყურადღება დაიმსახურა და საპატიო თანამდებობაც ეკავა. მიუხედავად ამისა, დავ. გურამიშვილი არასდროს არ გაქცევია ჰუსართა ასეულს და სანამ ჯანმრთელობა ხელს უწყობდა, მის რიგებში იმყოფებოდა[1].

გან და სხვა შეღავათებიც ეძლეოდათ. ამიტომ გადასახლების მსურველთა რიცხვი ბევრი აღმოჩნდა, დაახლოებით 1000 კომლამდე იყრიდა თავს. მათი გადასახლებით ფერხდებოდა უკრაინაში მყოფი სამხედრო ნაწილებისათვის სურსათ-სანოვაგისა და ფურაჟის აკრეფა. ამიტომ სენატმა იშუამდგომლა დედოფლის წინაშე, რათა უკრაინელები არ გადაესახლებიათ ორენბურგში. დედოფალმა ელისაბედ პეტრეს ასულმა სენატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბრძანა, უკრაინელების ნაცვლად ორენბურგში გაეგზავნათ ვოლხოველები, დაუსახლებელი ქართველები და აგრეთვე უკრაინაში ახლად დასახლებული ქართველებიც გადაეყვანათ ორენბურგში, მაგრამ, ეტყობა, ეს გადაწყვეტილება (№ 8616), არ ყოფილა სისრულეში მოყვანილი (სამხედრო კოლეგიაში ამის შესახებ ბრძანებულება არ მიუღიათ). ქართველები ისევ უკრაინაში დარჩნენ სამუდამოდ საცხოვრებლად. მ. პლოხინსკის ცნობით, ქართველების გადასახლების საკითხი კვლავ დასმულა 1743 წელს, მაგრამ არა ორენბურგში, არამედ „ველიკოროსიაში". საქმე გაჭიანურებულა და 1750 წელს თვით ქართველებს უთხოვნიათ გეტმან რაზუმოვსკისათვის, რომ ეშუამდგომლათ ქართველების „ველიკოროსიაში" გადასახლების შესახებ, მაგრამ როგორც პროექტი ისე თხოვნაც უყურადღებოდ დარჩენილა და ქართველებს შემდეგშიაც უკრაინაში ასახლებდნენ (Плохинский М., Поселение грузин в Малороссии, Русский архив, 1894, X, стр. 229).

[1] პირველ წლებში ქართულ ჰუსართა ასეულში ვახტანგის ამალის ყველა წევრს არ შეეძლო თავისუფლად ჩარიცხვა: საამისოდ შემსვლელს უნდა წარედგინა ბატონიშვილისაგან წერილობითი თანხმობა. მაგ., თავადი ხერხეულიძე, აზნაური იაკობ ნინიევი და სვ. ბატონიშვილის 10 მსახური არ იქნენ ასეულში მიღებული იმიტომ, რომ სვიმონ ბატონიშვილმა მათზე აცილება შეიტანა: ხერხეულიძე ბატონიშვილს ესაჭიროებოდა როგორც თარჯიმანი. აზნაურ ნინიევს კი ასი მანეთი ემართა და ამიტომ არ მისცა ნება სამსახურში შესვლისა. სენატმა დააკმაყოფილა სვიმონ ბატონიშვილის საჩივარი (ბრძ. 7628).

ასეთი შემთხვევა ხშირი ყოფილა, რის გამოც დედოფალი ანა იძულებული გამხდარა სპეციალური ბრძანებულება გამოეცა (№ 8221), რომელიც ზემოთ მოყვანილი სენატის გადაწყვეტილების დაკანონებას შეიცავს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანა დედოფლის 1738 წ. 25 მარტის ბრძანებულება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ვინც ქართველთაგან თვითონ ან მათი შვილები მოისურვებენ რეგულიარულ სამხედრო სამსახურში შესვლას, მიღებულ იქნან და განწესდნენ ღირსებისდა მიხედვითო, განაპირველეს მხოლოდ ვახტანგის ამალის წევრებზე და არა სხვებზე. ამიტომ 1760 წელს დავით ბარათაშვილს უარი უთხრეს სამხედრო სამსახურში უფროს ოფიცერთა შემადგენლობაში მიღების შესახებ და შეაძლიეს უბრალო ჯარისკაცობა და ისიც უმამულოდ (ბრძ. 11112).

ერთ თავის ლექსში დავით გურამიშვილი ამბობს:

მას ჴეშურნესა პირველად არა აქვნდა-რა ძალები,
გამოაჩინა ბოლო დროს ფარული, დანაკრძალები:
გვიმტყუნა, ხორცი თვით ჰამა, ჩვენ მოგვიყარა ძვალები,
ხე ვარჯოვანი დაგვახმო, აყოვა ნაკურძალები.

ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ სტროფში დავ. გურამიშვილი გამოხატავს თავის უკმაყოფილებას სამხედრო სამსახურისადმი (თ. ჟორდანია, „ივერია“, 1882, № 1, გვ. 54; ალ. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 298), სადაც ის რიგითი ჰუსარად მოხვდაო. მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. დავ. გურამიშვილს აღნიშნული აქვს, რომ მეშურნემ დიდებული გვარის ჩამომავალნი („ხე ვარჯოვანი“) „დაგვახმო“ და სამაგიეროდ განადიდა და ააყვავა „ნაკუნძალები“, ე. ი. უგვარონიო. ქართულ ჰუსართა პოლკში ასეთ რასეს ადგილი არ ჰქონია, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში მაინც[1]. დავ. გურამიშვილის საყვედური მიმართული უნდა იყოს მამულების განაწილების საქმისადმი. ანა დედოფლის ბრძანებულების მიხედვით, ქართველ თავადებს უნდა მიცემოდათ ოცდაათ-ოცდაათი კომლი. საამისოდ „მალოროსიულ“ კოლეგიაში გენერალ რუმიანცევს წინასწარ გაუგზავნეს თავისუფალი მიწების სია, რომელზედაც უნდა დაესახლებიათ ქართველები. რუმიანცევს სიის მიღებისთანავე უნდა გაეწყობინა მიწები ისე, რომ ასეული გლუხოვთან მისვლის დროს შეუჩერებლივ უნდა განწესებულიყო დანიშნულ ადგილებში, მაგრამ როგორც ჩანს, საქმე ასე არ წარმართულა. გლუხოვში მისულ ქართველებს გულცივად შეხვდნენ და მათ არა თუ დანაწილებული დახვდათ მიწები, არამედ მთელი თვეების მანძილზე უსახლკაროდ და უბინაოდ ეყარნენ.

ალბათ, ასეთმა არანორმალურმა მდგომარეობამ აიძულა ზოგი ქართველი, რომ უარი განეცხადებია როგორც სამსახურში დარ-

[1] როგორც ვახტანგის 1737 წლის ამალის ნუსხიდან ჩანს (Ros-335), ბევრი ქართველი არ შესულა სამხედრო სამსახურში, ისინი ალბათ სამოქალაქო სამსახურში შევიდნენ. ამ გარემოებამ და ქართველი ასეულის სიმცირემ აიძულა დედოფალი ელისაბედი, რომ 1741 წელს სპეციალური ბრძანებულება გამოეცა, ქართველები სამხედრო სამსახურს გარდა არსად ყოფილიყვნენ მიღებული, გამონაკლისის დაშვება შეიძლებოდა მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღოდათ მეცნიერების წინაშე. ყოველივე ზემოთქმული იმის დამადასტურებელია, რომ ქართული ჰუსართა ასეულის ჩამოყალიბებისას, ვახტანგის ამალის ყველა წევრი, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, არ შესულა სამხედრო სამსახურში, როგორც დ. კოსარიჯს ჰგონია (გვ. 26).

ჩენაზე, ისე მიწების მიღებაზე. ასე მაგ., 1744—1745 წწ. უწყისების მიხედვით, მამულების მიღებაზე უარი განუცხადებიათ და სამშობლოში დაბრუნებულან ქართული ჰუსართა პოლკის შემდეგი პირები[1]: მერაბ, გერასიმე, ოტია, არტემონ და მამუკა ანდრონიკაშვილები, ოთარ ჩოლოყაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, მერაბ, შიო, არდაშერ და გიორგი ზედგინიძეები.

ბრძანებულების თანახმად, ქართველები „მალოროსიის“ განაპირა მხარეს უნდა დასახლებულიყვნენ ერთად, ფაქტიურად კი ოთხ სხვადასხვა ადგილას დაასახლეს: პოლტავის, მირგოროდის, ლუბნისა და პირიატინის (პრილუცკის) პოლკებში[2]. კომლთა დასარიგებლად შექმნილ იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც ეწოდებოდა „Раздаточная грузинам дворов комиссия“. კომისიის წევრები კომლთა დარიგებას აწარმოებდნენ რიგრიგობით პოლკების მიხედვით, საამისოდ ისინი ხელმძღვანელობდნენ მთავრობის მიერ შემუშავებული ინსტრუქციით. კომლის მიღება შეიძლებოდა მინდობილობითაც მიღების დროს კომლის მეპატრონეს ეძლეოდა სათანადო მოწმობა.

კომლთა დარიგებას ქართველებზე პირველად აწარმოებდა გლუხოვის გარნიზონის კაპიტანი პროტოპოპოვი, რომლის მიერ დარიგებულ კომლთა სიაში უმეტეს შემთხვევაში მარტო ქალები ირიცხებოდა. ეს კი მეპატრონეებისათვის არ იყო ხელსაყრელი, ამიტომ ქართველებმა თხოვნით მიმართეს ზემდგომ ორგანოებს, რომ პროტოპოპოვი გადაეყენებიათ. საქმის გამოძიებამ კანონიერად ჩათვალა ქართველთა მოთხოვნა. პროტოპოპოვი შეცვლილ იქნა სხვა მოხელით, მაგრამ მდგომარეობა მაინც არ შეცვლილა.

ქართველებზე მამულების დარიგება დაიწყო 1739 წ. მიწურულში. ამ დროს მამულები დარიგდა მხოლოდ ძველსა და ახალ სანჟაროვში. 1740 წ. კი ბელიკში, კობელიანკაში, სოკოლკაში და დიდ ბუდიშჩეში. ეტყობა, ქართველების დასახლება ამ დაბებში ყოფილა განზრახული, მაგრამ უკანასკნელებს უარი განუცხადებიათ.

---

[1] 1741 წ. უწყისის ცნობით, მამულის მიღებაზე უარი განუცხადებია მამუკა დავითიშვილთან ერთად ელისე ამილახვარსაც.

[2] 1743 წ. სექტემბრის მიხედვით, პოლტავის პოლკში დარიგებულა 1070 კომლი, მირგოროდის—540, ლუბნის—490, პრილუცკის (პირიატინის)—205, სულ ოთხივე პოლში 1744 წლამდე დარიგებულა 2305 კომლი. საერთოდ, პლოხინსკის ცნობით, 1764 წლამდე დარიგებულა 5000 კომლზე მეტი (Сборник Харьковского историко-филологического общества, т. V, в. 1, 1893, стр. 6—7).

პეტერბურგში მყოფმა ქართული ჰუსართა პოლკის ოფიცრებმა 1740 წ. სენატს მოახსენეს, რომ მათთვის განკუთვნილი მამულები არ შეიძლება კმაყოფილებით იქნეს მიღებული, რადგანაც კომლთა შემადგენლობა ისეთია, რომლებსაც მამულები არ გააჩნიათო; ამას გარდა მათ შორის მოიპოვებიან ბრმები, ყრუები, ღატაკნი, ობლები და ღრმა მოხუცებულები, რომლებსაც გარდა ერთი ქოხისა არაფერი გააჩნიათ და ზოგს ესეც არ აქვსო. ამას ზედ ერთოდა ისიც, რომ კომლები დანაწილებული იყო სხვადასხვა ადგილას ერთიმეორისაგან 60 — 100 კმ დაშორებით. ერთად კი ორ ან სამზე მეტი კომლი არ მოიპოვება, რომელთა შორის ჩასახლება შეუძლებელიაო.

სენატმა შეიწყნარა ქართველ ჰუსართა ოფიცრების თხოვნა და საკითხი აღძრა იმპერატორის კაბინეტის წინაშე, სადაც აღნიშნულია, რომ ქართველები მიცემული მამულებით არ შეიძლება კმაყოფილი დარჩენილიყვნენ, ვინაიდან აღნიშნული ადგილები გაპარტახებულია ოსმალების თავდასხმებისაგან და გადამდები სენიც მძვინვარებსო[1].

ამიტომ სენატი შუამდგომლობდა კაბინეტის წინაშე, რათა ქართველებს მიცემოდათ კუთვნილი კომლები სხვა პოლკებში და იქვე გადაცემოდათ საკარმიდამო მიწები. დასახლებამდის კი ყველასათვის მიეცათ ერთი წლის ჯამაგირი.

სენატის აღნიშნულ საკითხზე კაბინეტმა განკარგულება გასცა, რათა შესწავლილიყო როგორი მდგომარეობაშია ის კომლები, რომლებიც ქართველებს მიეცათ, რა მანძილით იყვნენ ისინი ერთიმეორისაგან დაშორებული და შემოწმებულიყო მათი მოწყობილობა. თუ სოფლები მართლა გაპარტახებული და ერთიმეორისაგან დაშორებული აღმოჩნდებოდა, იმ შემთხვევაში გამოძებნილი უნდა ყოფილიყო დასასახლებლად კარგი და მოხერხებული ადგილები, რის შესახებაც სენატიდან მალაროსიაში გენერალ კეიტს გაეგზავნა ბრძანებულება 1740 წ. 16 სექტემბერს. მაგრამ გენერალ კეიტს თავი არ შეუწუხებია, რისთვისაც იმავე წლის 30 დეკემბერს მას ხელახლა უბრძანეს შემოწმებულიყო ქართველებისადმი მიცემული კომლები. პირადად კეიტს ევალებოდა გაეგზავნა ადგილზე სანდო პირები და ქართველთა წარმომადგენლის თანდასწრებით შეემოწმებია მამულები. იმ შემთხვევაში თუ კომლები მართლა უვარგისი და დარბეული აღმოჩნდებოდა, მაშინ უნდა მიცემოდათ მამულები სხვაგან, უკეთეს ადგილებში.

---

[1] უკანასკნელის შესახებ იხ. ЦГАДА. ფონდი 177, საქ. №№ 144—145.

აღნიშნული ბრძანებულება მიიღეს პეტერბურგში მყოფმა ქართველმა ოფიცრებმა, მაგრამ ამ ბრძანებულებამ ისინი ვერ დააკმაყოფილა, ამიტომ უკრაინაში არ გამგზავრებულან.

ამის შემდეგ 1741 წ. 10 ივნისს სენატმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის ძალით ასზე მეტმა ქართველმა, რომლებსაც მამულები არ ჰქონდათ მიღებული, მიიღეს ერთი წლის ჯამაგირი.

ქართველთა გულის მოსაგებად ჯამაგირი უნდა გაცემულიყო უმაღლესი განაკვეთის მიხედვით, მეფე ვახტანგ VI-ის მიერ დაწესებული თანხის რაოდენობით ან ჰუსართა პოლკის საშტატო ერთეულის მიხედვით.

დავ. გურამიშვილს ამ დროს მამული მიღებული არ ჰქონია, ვინაიდან ფულის მიმღებთა სიაში ისიც ირიცხებოდა. პოეტი იმჟამად ვახმისტრი იყო და განაკვეთით ერგებოდა 32 მ.ნ. 43 $^{1}/_{8}$ კაპ., ვახტანგ VI-ის დროს კი 70 მანეთი და 30 კაპ. ჰქონია და ამიტომ უკანასკნელი განაკვეთით მიიღო ახლაც[1].

1741 წ. დეკემბრის უწყისით ქართველებს, ზემოთ აღნიშნული ადგილების გარდა, მიწები მიუღიათ შემდეგ დაბებში: კიშინკაში, კალებერდში, გოლტვაში, ოსტაპში, ბელოცერკოვკაში, სოფ. ბორკაში, ბოგაჩკაში, უსტივიცაში, იარესკაში, სოფ. ბარანოვკაში, ხოროლში, მირგოროდში და სოფ. ზუბოვკაში.

გასარკვევია საკითხი, თუ როდის უნდა მიეღო დავ. გურამიშვილს მამულები.

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ქართველებზე მამულების დარიგება დაწყებულა 1739 წელს. ამ წლის ოქტომბრის უწყისის მიხედვით ახალ და ძველ სანჟაროში ოცდაათ-ოცდაათი კომლი მიუციათ შემდეგი თავადებისათვის, ძველ სანჟაროში: ელისე ციციშვილის, ათანასე ქობულაშვილის, ოთარ ერისთავის, სამსახურში მყოფი მათი შვილების—დავ. ერისთავისა და მათე ქობულაშვილისათვის. მცირეწლოვანი ბავშვების—ალექსი ერისთავისა და ვასილ რატიშვილისათვის—ხუთ-ხუთი კომლი, აზნაურ ნიკოლოზ კლიმიაშვილს კი მიუღია 10 კომლი. ახალ სანჟაროში თავადმა ელისე ქობულაშვილმა მიიღო 30 კომლი, ხოლო აზნაურებმა: ოტია, გიორგი და ბორის პაველიაშვილებმა (Павлишов), დიმიტრი და სპირიდონ რეევიშვილებმა, გიორგი ეგნატა-

[1] ЦГВИА, ფონდი 10, ანაწ. 109, საქ. № 2, ფ. 76—100. ბაქარის მიერ წარდგენილი ნუსხის მიხედვით დავ. გურამიშვილი ვახტანგ მეფის დროს ღებულობდა 65 მან. და 90 კაპ. (იხ. აქვე გვ. 39).

შვილმა, ქაიხოსრო შახანდოროვმა—ათ-ათი კომლი, მცირეწლოვან თავადებს—გიორგი და ნიკოლოზ რატიშვილებს აღსაზრდელად მიეცათ ხუთ-ხუთი კომლი.

ვინაიდან აღნიშნული პირები მალოროსიაში ჯერ კიდევ არ იყვნენ მისულნი, ამიტომ მამულები ღროებით ჩაიბარა ათანასე ქობულაშვილმა[1].

1740 წ. 30 აპრილის ნუსხის მიხედვით მამულები დარიგებულა ძველ და ახალ სანჟაროს გარდა შემდეგ დაბებში: ბელიკში 120 კომლი, კობელიანკაში—120, სოკოლკაში—50, დიდ ბუდიშჩეში—125. ამას თუ ძველ და ახალ სანჟაროვში დარიგებულ მამულებს დავუმატებთ (ძველ სანჟაროვში დარიგებული იყო 190, ხოლო ახალში—150 კომლი), სულ ამ დროს ქართველებზე დარიგებული გამოდის 755 კომლი. 199 კომლის მიღებაზე (ძველ სანჟაროვში 29, ახალ სანჟაროვში 26, ბელიკში 33, კობელიანკაში 34, სოკოლკაში 28 და დიდ ბუდიშჩეში 49)[2] კი ქართველებმა, ნათქვამი მიზეზების გამო (იხ. გვ. 48), უარი განაცხადეს.

ზემოთ აღნიშნული კომლების მიმღებთა სიაში დავ. გურამიშვილი არ ჩანს. ეტყობა, ამ დროს მას მამულები მიღებული არ ჰქონია. პირველი ცნობა დავ. გურამიშვილის მამულების მიღების შესახებ ჩვენ გვხვდება 1741 წ. დეკემბრის ნუსხაში. ამ ნუსხის მიხედვით დავ. გურამიშვილს ქ. მირგოროდში მიუღია 20 კომლი (ტექსტში შეცდომით წერია 40), ხოლო ზუბოვკაში (მირგოროდიდან 8 კილომეტრით დაშორებული) 10 კომლი. დავ. გურამიშვილთან ერთად ქ. მირგოროდში ათ-ათი კომლი მიუღიათ შემდეგ აზნაურებს: პაპუნა ბეჟანიშვილს, იაკობ ოდიშელიძეს, დავით ხარაძეს, ნიკოლოზ ხაჭაპურიძეს, აბრამ კობიაშვილს და კაცური ინასარიძეს.

ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: 1741 წ. 24 ივლისს რუსეთსა და შვეციას შორის ოფიციალურად გამოცხადდა ომი. ქართული ჰუსართა პოლკი ომში მონაწილეობის მისაღებად უკრაინიდან დაიძრა 1741 წ. 24 აპრილს. ამ ომში მონაწილეობას იღებდა დავ. გურამიშვილიც, რომელიც 1742 წლის ბოლომდე არ დაბრუნებულა უკრაინაში. ყოველივე ამის გამო შეიძლება გეფიქრა, რომ დავ. გურამიშვილს მამულები უნდა მიეღო 1740 წლის მაისიდან 1741 წ. 24 აპრილამდე, მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება შემდეგი გარემოება: როგორც აღვნიშნეთ, 1741 წ. 10

---

[1] ЦГАДА, ფონდი „სენატი", წიგ. № 1663, ფ. 373.

[2] იქვე, ფ. 660—661.

ივნისის ბრძანებულებით, ქართველებს, რომლებსაც მამულები არ ჰქონდათ მიღებული, მიეცათ წლიური ჯამაგირი. ამ ბრძანებულების საფუძველზე ჯამაგირი მიიღო დავ. გურამიშვილმაც. მაშასადამე, დავ. გურამიშვილს მამულები უნდა მიეღო 1741 წ. 10 ივნისის შემდეგ. ამ დროს კი პოეტი უკრაინაში არ იმყოფებოდა. მართალია, მინდობილობითაც შეიძლებოდა მამულების მიღება, მაგრამ ამ შემთხვევაში საფიქრებელი არაა რომ დავ. გურამიშვილის მამულები, ისიც სხვადასხვა ადგილას, ვინმეს მიეღო, თუგინდ მის საყვარელ მოხუც ბიძას მერაბ გურამიშვილს.

საქმე შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: შვედებთან ომში მონაწილეობის მისაღებად გაწვეული ქართული ჰუსართა პოლკიდან უკან იქნა დაბრუნებული რამდენიმე კაცი სხვადასხვა დროს. ზოგი მათგანი ავადმყოფობის გამო გამოჯანსაღებამდე დატოვეს მოსკოვში, ზოგს კანონით არ ეკუთვნოდა ომში გაწვევა და მცენსკიდან უკრაინაში დააბრუნეს, ზოგიც კიდევ დროებით დააბრუნეს იმის გამო, რომ უკრაინაში მამულები უნდა მიეღოთ[1]. უნდა ვიფიქროთ, რომ დავ. გურამიშვილიც მოსკოვიდან ან მცენსკიდან უკრაინაში იქნა დაბრუნებული მამულების მისაღებად. 1741 წ. დეკემბერში კი დავ. გურამიშვილი ისევ ქართულ ჰუსართა პოლკში იმყოფება და იცავს ოლონეცის ქარხანას[2]. ეს ფაქტი იმაზე მიგვითითებს, რომ უკრაინაში მამულების მიღების შემდეგ პოეტი, წესის თანახმად, კვლავ სამხედრო ნაწილში დაბრუნებულა.

ყოველივე ზემოთქმულის მისედვით დავ. გურამიშვილს მამულები უნდა მიეღო 1741 წლის ივნისის შუა რიცხვებიდან ნოემბრის ბოლო რიცხვებამდე.

---

[1] ზემოთ აღნიშნული მიზეზებისა გამო, 1741—1742 წ. მაისამდე ქართული ჰუსართა პოლკიდან შვებულებაში წასულ პირთაგან 58 კაცს დაგვიანებია ნაწილში გამოცხადება, მათ შორის 19 უკრაინაში ყოფილა გაგზავნილი მამულების მისაღებად. ესენია, თავადები: სერგო ბარათაშვილი და ხოსია მხეიძე, აზნაურები: არტემონ ბაქრაძე, კაცურ ინასარიძე, ღვთისავარ აბულაძე (Абулаев), ხოსია წენგელია (Шенгелидзев), პანა კარჩანოვი, დავით თუხარელი, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, როსტომ ასლანიშვილი (Асланов), პაპუნა ბეჟანიშვილი, დავით რატიშვილი, პავლე თუმანოვი, ზაზა და ლუარსაბ ლოლაძეები, დავით ჩხარიზოვი (Харизов), იაკობ ოდიშელიძე, აბრამ კობიაშვილი, ოთარ თულაშვილი და ლუარსაბ ასიფანეევი (ЦГВИА, ფონდი 10, ანაწ. 109, არქ. № 2, ფ. 168—169).

[2] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე. დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი", 1954, № 34.

კომლთა განაწილებამ დიდხანს გასტანა. 1741 წლის მიწურულში 60 კაცს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული მამულები[1].

კომლთა განაწილების დროს ქართველთა შორის თავი იჩინა შეხლა-შემოხლამ, შურიანობამ და ქიშპობამ. მოხელეთა შორის კი გახშირდა მექრთამეობა, რაც ისე გაძლიერდა, რომ თავადი ორბელიანი და მასთან ერთად ათი სხვა ქართველი იძულებული გახდნენ კომლთა განმანაწილებელ ვესპერტინსკის და პეტრაშევიჩის მექრთამეობის შესახებ საჩივარი აღეძრათ ზემდგომ ორგანოებში. ვესპერტინსკის დაუმტკიცდა მექრთამეობა და ის მოხსნილ იქნა თანამდებობიდან[2], მაგრამ საქმეს ამითაც არა ეშველა რა. ბოლოს მდგომარეობა ისე წარიმართა, რომ ზოგ თავადს 30 კომლის ნაცვლად ოცი მიეცა. ამის შესახებ დავ. გურამიშვილი წერს:

---

[1] ЦГАДА, ფონდი „სენატი", წიგნი 1664, ფ. 1961. დავ. გურამიშვილის მიერ კომლთა მიღების შესახებ დ. კოსარიკი წერს: დავ. გურამიშვილს „ბოროტმოქმედებისა და მეზობელ მემამულეთა ინტერესების შედეგად მიუღია არა 30 კომლი როგორც ეს ერგებოდათ ბრძანებულების მიხედვით პორუჩიკის ჩინის მქონე ოფიცრებს,—არამედ მხოლოდ 20 კომლი" (დაყოფა ჩვენია—ს. ყ.) (გვ. 73). ეს ცნობა არაა სწორი: ანა დედოფლის ბრძანებულებით ქართველებს კომლთა რაოდენობა დაურიგდათ არა სამხედრო ჩინის, არამედ სოციალური წარმოშობის მიხედვით, თანაც იმ დროს, როდესაც უკრაინაში კომლთა დარიგებას ჰქონდა ადგილი. დავ. გურამიშვილი პორუჩიკი არ ყოფილა. პორუჩიკობა დავ. გურამიშვილმა მიიღო 1760 წელს, როდესაც მას მამულები უკვე დიდი ხნის მიღებული ჰქონდა.

1753 წლის ცნობის მიხედვით დავ. გურამიშვილს მ ი რ გ ო რ ო დ შ ი 18 კომლი ჰყოლია, ესენია: თედორე ბაბენკო—ძმით სიმონით, ორი ოჯახი. ლავრინ სიდორენკო, კობუი. დანილო კრასილენკო, ანდრია შარჩენკო, თევდორე პედინა, გრიგოლ კავუნი, გერასიმე ჩუხრაი, პავლო ოვსიენკო—ძმით პეტრეთი და შვილით კარპეხით, თედორე სვიდოვი—სიძით ტერეშკო ოვსიენკოთი, დემიან დენისენკო—ძმით გრიგოლით, ლუკა დოვბიში, ოლექსი ევჩენკო—ძმით ივანეთი, დანილო კირიჩენკო, ხიმკო ოვსიენკოს ქვრივი—სიძით, მარკო პლუშნიკი, ივანე ჩერკასკი და თევდორე ლინნიკი. ამათგან, პირველი ხუთის გარდა, ყველანი უღარიბესად არიან წარმოდგენილნი.

ზ უ ბ ო ვ კ ა შ ი ჰყოლია 11 კომლი: იაკიმ გულიაევი—ძმით კირილეთი, დმიტრენკო—ძმებით მარკოზით და ევდოკიმეთი, პანას რაზუნენკო—რძლით ჰანნათი, ულას პრაჩ—შვილებით ალექსით, ანდრიათი და გერასიმეთი, ფილიპ ჩუბატენკო—ძმებით ვასილითა და მიტრით, ხომა კოზაჩენკო—ძმით კირილეთი, დავით კოზაჩენკო—ძმით კირილეთი, ლევკო ნადარჩერეტნი—ძმით ტერენტით, გერასიმე ბლიზნიუჩენკო—ძმით იაკობით, გრიც რეზუნენკო და თევდორე პალამარი, ქვრივი. შვილით—ტიმოშით (დ. კოსარიკი, დავით გურამიშვილი უკრაინაში, გვ. 94—95).

[2] Плохинский М., Поселение грузин в Малороссии „Русский Архив", 1891, X, стр. 229.

შურსა რა ესმა სისწორე, ერთობა მან იწყინაო,
რკინა რბილი და ფრლადი, თქვა, განასწორა ვინაო?
მართებელთანა დაგვჩხუბა, ავ რიგად შეგვასმინაო,
ათ-ათი ისევ მოგვიჭრეს, სხვა კი მოგვიგდეს წინაო.

მართალია, დავ. გურამიშვილი აღნიშნავს, რომ ათ-ათი კომლი ჩამოგვაკლესო, მაგრამ ეს ჩამოკლება მას არ შეხებია. როგორც აღვნიშნეთ, დავით გურამიშვილს კუთვნილებისამებრ ოცდაათი კომლი მიუღია[1], ოღონდ მიღებული მიწები უვარგისი—უნაყოფო და ჭაობიანი ყოფილა. კომლებიც ულარიბესი აღმოჩენილან.

პოეტს საცხოვრებელ ადგილად მირგოროდი ჰქონდა მიჩნეული, მაგრამ შექმნილი მდგომარეობისა გამო, მას ხშირად უხდებოდა სიარული და ყოფნა ზუბოვკაშიც. ყოველივე ზემოთქმულის გამო, დავ. გურამიშვილი არ შეიძლება კმაყოფილი ყოფილიყო მიღებული მამულებით და ჩვენ ვფიქრობთ, პოეტის ზემოთ მოყვანილი სამღურავი სწორედ ამ ამბებს ეხება და არა სამხედრო სამსახურში თანამდებობის დანაწილებას.

თ. ყორდანია ფიქრობდა, რომ დავ. გურამიშვილის აღნიშნული ჩივილი ეხება სამხედრო სამსახურიდან მისი უკმაყოფილოდ დაბრუნების ეპიზოდსო („ივერია“, 1882, № 1, გვ. 54). მართალია დავ. გურამიშვილი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ისე გაანთავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან, რომ არ შეიძლება კმაყოფილი დარჩენილიყო, მაგრამ ზემოთ მოყვანილ ცნობაში პოეტი არ გულისხმობს აღნიშნულ ეპიზოდს. დავ. გურამიშვილს აღნიშნული ცნობა ჩართული აქვს იმ ამბებში, რომლებიც ქართველების უკრაინაში დასახლებას ეხება. პოეტი უკმაყოფილოა ვიღაც ქართველის, რომელსაც დანდობია ის. ამ ქართველს თავისთვის უზრუნველია, პოეტი კი „ხნარცვზე“ დაუტოვებია. ყოველივე ეს მოსალოდნელია მომხდარიყო მიწების დანაწილების დროს და არა პოეტის სამხედრო სამსახურიდან გამოსვლისას, ვინაიდან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დავითის სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების დროს ქართველები ბრძოლის ველზე იყვნენ და დავ. გურამიშვილის საქმე მათ სრულებით არ ეკითხებოდათ.

---

[1] როგორც 1745 წ. 7 სექტემბრის უწყისიდან ჩანს, დავ. გურამიშვილს 30 კომლიდან გაკლებია ერთი. იმ დროს მამულები მიღებული ჰქონია 89 ქართველს, მათ შორის 16-ს—არ გაკლებია კომლი, 13-ს—გაკლებია თითო, დანარჩენებს კი—ორიდან ცამეტამდე (ЦГВИА, ფონდი 10, შეკ. 6, ფ. 364).

ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, ვახტანგ VI-ის ამალის წევრებიდან ქართულ ჰუსართა პოლკში იმყოფებოდნენ პოეტები თომა ბარათაშვილი[1], დიმ. ორბელიანი და გვირგვინი XVIII საუკუნის პოეზიისა დავით გურამიშვილი. ამჟამად ჩვენ შევეხებით უკანასკნელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას აღნიშნულ პოლკში[2].

როგორც აღვნიშნეთ, დავ. გურამიშვილი ქართული ჰუსართა ასეულის დაარსებიდანვე ირიცხებოდა უბრალო რიგით ჰუსარად. დიდხანს არ დასცალდა მას თავისუფლად ყოფნა. 1739 წელს ქართული ჰუსართა ასეული გაიწვიეს ყირიმის ომში ოსმალების წინააღმდეგ.

VII

სამხრეთ რუსეთი ყირიმის ხანებისაგან მუდმივ რბევას განიცდიდა. ამ რბევას რომ ბოლო მოეღებოდა, 1733 წ. ანა დედოფალმა ყირიმის დაპყრობა განიზრახა, საამისოდ მას მაშინდელი საერთაშორისო მდგომარეობაც უწყობდა ხელს. ამ დროს სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ომი სწარმოებდა. რუსეთი ცდილობდა, რომ მათ შორის ზავი არ ჩამოვარდნილიყო, რისთვისაც ანა დედოფალმა საგანგებო ხელშეკრულება დაუდო სპარსეთს, რომლის ძალით უკანასკნელი ვალდებულებას კისრულობდა არ შეეწყვიტა ომი ოსმალებთან. ამის შემდეგ რუსეთმა დაიწყო საომარი მზადება.

ყირიმის ომის დაჩქარებას ცდილობდა როგორც დედოფალი ანა, ისე მთავარსარდალი ფელდმარშალი ქრისტეფორე მინიხი

---

[1] ვახტანგის ამალაში ცნობილია კიდევ პოეტი მამუკა ბარათაშვილი, რომელიც, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ქართულ ჰუსართა პოლკში არ შესულა. 1724 წლის ამალის ქართულ და რუსულ სიებში მამუკა, ზაალი და თომა ბარათაშვილები ავთანდილის ძედ იხსენიებიან. თუ ავთანდილი სამივე ადგილას ერთი და იგივე პირია, იმ შემთხვევაში თომა, ზაალი და მამუკა ძმები ყოფილან.

[2] დავ. გურამიშვილის ცნობით, ვახტანგ VI-ის ამალაში ყოფილა პოეტი ვიღაც ჯავახიშვილი. რომელთანაც გაუჯიბრებიათ ის. თ. ჟორდანიამ პირველად გამოთქვა აზრი, რომ ეს ჯავახიშვილი უნდა იყოს შიო ჯავახიშვილიო („ივერია", 1882, № 1, გვ. 40). ეს აზრი შემდეგ გაიზიარეს სხვებმაც, მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ დავ. გურამიშვილის მოპაექრე პოეტი ჯავახიშვილი იყო შიო. ის გარემოება, რომ სახელი შიო პოეტურად ჟღერს, ამის საბუთად არ გამოდგება. დავ. გურამიშვილისა და ჯავახიშვილის „გალექსებას" ადგილი უნდა ჰქონოდა ვახტანგ VI-ის მოსკოვში ყოფნის დროს, ე. ი. 1734 წლამდე. ამ დროს ცნობილია ორი ჯავახიშვილი: შიო და ესტატე. უდავოა, ერთ-ერთი ამათგანი არის პოეტი, მაგრამ რომელი, ამის თქმა ჯერჯერობით გადაჭრით ძნელია

(1683—1767 წ.), რომელიც ამ კამპანიიდან დიდ სახელს და პირად სარგებლობას მოელოდა[1].

1736 წ. აპრილიდან დაიწყო საომარი მოქმედება, რომელმაც გასტანა 1739 წლის 7 სექტემბრამდე.

1739 წ. ამ ომში მონაწილეობის მისაღებად გაიწვიეს ახალი ჩამოყალიბებული ქართული ჰუსართა ასეულიც.

აღნიშნული წლის გაზაფხულზე მინიხი შეუდგა საომარი მოქმედების სამზადისს. 3 მარტს მან გასცა ბრძანება, რათა არმია საზღვართან მზადყოფნაში ყოფილიყო. მარტის ბოლო რიცხვებში მინიხი ჩავიდა კიევში, სადაც თავმოყრილი იყო სამხედრო ნაწილები, რომელთა რიცხვში ერია ქართული ჰუსართა ასეული და მათ შორის დავ. გურამიშვილიც.

როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს ქართული ასეული ახალი ჩამოყალიბებული იყო, ამიტომ ის არ იყო საომრად მოწყობილი. საქმეს ყველაზე უფრო აბრკოლებდა ცხენების სიმცირე, რომელთა შეძენა იმ დროს მალოროსიაში შეუძლებელი შეიქნა. ამის გამო ასეულის კაპიტანს მამუკა დავითიშვილს ნება დართეს, რათა მას საჭირო რაოდენობის ცხენები დრაგუნის პოლკისთვის განკუთვნილი ოდენობიდან შეეძინა, რისთვისაც თითოეული ცხენისათვის უნდა გაეღო 8—18 მანეთი. იარაღი კი ტულის ქარხანაში უნდა ეყიდა (ბაიოვი)[2].

მინიხს განზრახული ჰქონდა საოპარი მოქმედება აპრილის ბოლო რიცხვებში დაეწყო, მაგრამ ცუდი ამინდისა და გზების უვარგისობის გამო, სამხედრო ნაწილების კიევიდან დაძვრა მაისის შუა რიცხვებამდე ვერ მოხერხდა.

პირველად მინიხმა მთელი არმია ოთხ დივიზიად და სამ დამოუკიდებელ ბრიგადად გაყო. ქართული ჰუსართა ასეული შედიოდა გენერალ-მაიორ კეიზერლინგის ბრიგადაში. შემდეგ (3 მაისს) რუსეთის არმია სამ დივიზიად იქნა გადაფორმირებული. ქართული ასეული მესამე დივიზიაში მოხვდა, რომელსაც მეთაურობდა გენერალ-ანშეფი რუმიანცევი. მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო რუსეთის არმია 14 მაისს ისევ 4 დივიზიად გადაკეთდა. ამ დროს ქართული ასეული მეორე დივიზიაში მოხვდა, რომლის მეთაური იყო

---

[1] Об исторических записях сержанта, после подпоручика, Черниговского пехотного полка Саввы Порхомова с 1735 по 1744. Кострама, 1895, стр. 7.

[2] 1739 წ. ცხენების შესაძენად საქართველოში გაგზავნილ იქნა დიმიტრი თუმანიშვილი, მაგრამ ეტყობა მის გაგზავნას სასურველი შედეგი არ მოყოლია.

კარლ ბირონი[1]. ჯარის ნაწილები მომარაგებულ იქნენ რამდენიმე თვის სურსათით. ქართულ ასეულს კი, მინიხის განკარგულებით, მიეცა ოთხი თვის ორცხობილას (სუხარი) მარაგი.

დნეპრზე გადასვლის შემდეგ რუსეთის არმია დაბანაკდა მდ. ლიბედოს შესართავთან, ხოლო კოიალოვკასთან გადასვლისას— ტრეპოლის მახლობლად. 17 მაისს მეორე, მესამე და მეოთხე დივიზია გადავიდა ახალ ბანაკში, ტრეპოლიდან 25 კმ დაშორებით, დაბა ლევახში. შემდეგ კი არმიამ თავი მოიყარა ვასილკოვოში[2], საიდანაც დაიწყო შეტევა ხოთინის მიმართულებით. დივიზიები სხვადასხვა გზით მიიწევდნენ წინ. მეორე დივიზია, რომელშიაც დავ. გურამიშვილი იმყოფებოდა, 25 მაისს გადავიდა მდ. სტუგნაზე და მოექცა მის მარჯვენა მხარეზე. აქედან ტუროვკამდე დავ. გურამიშვილს მოუხდა 363 კილომეტრის გავლა. ამ მანძილზე მან გაიარა და ინახულა სოფლები, დაბები, მდინარეები, მთები და ველები. ის იყო დაბა კოპაჩევოში, შემდეგ პინჩუკში, პოლოვეცკოეში, გადავიდა მდ. კამენკაზე და შევიდა ჩოვოლოჩში. მდ. როსტივიცას მარცხენა ნაპირის გაყოლებით ჩავიდა რუჟინში, მარჯვნივ მოიტოვა კარლოვი და კარაპჩეევი. რუჟინიდან შევიდა მახარინცაში, ჩაუარა გლინსკს, პიკოვს, ბუტკოვსკიეს, კუმანოვცკის, ნოვოსინიავას, რის შემდეგ გაყვა მდ. ბუგის მარცხენა მხარეზე. 23 ივნისს ნოვოკონსტანტინოვაში გადავიდა მდ. ბუგზე, გაყვა მის მარჯვენა ნაპირს, შევიდა კოპიჩინცში და დაბანაკდა ლეტიჩევთან. 25 ივნისს გავიდა ბანაკიდან და გაყვა მდ. ბუგს მარჯვნივ, ტარნორუდისაკენ.

---

[1] Банов А., Русская армия в царствовании императрицы Анны Ивановны. Война России с Турцией в 1736—1739 г., Кампания 1739, Спб., 1906, გვ. 141.

[2] მარშრუტის, გეოგრაფიული სახელწოდებებისა და მანძილთათვის გამოყენებულია ბაიოვის მიერ საარქივო დოკუმენტების მიხედვით შედგენილი რუკა— „Пути движения армии Миниха в 1739", რომელიც დართული აქვს იმავე ავტორის ზემოთ დასახელებულ ნაშრომს, აგრეთვე „Военные действия Российской императорской армии в 1739 году под Хотин" (ШГВИА, ფონ. ВУА, საქ. № 1565, ფ. 4—5). სხვა ცნობებისათვის ძირითად წყაროდ გამოყენებული გვაქვს: Масловский Д., Стаучанский поход, документы, 1739 г., Спб., 1892; Кочубинский А., Граф Андрей Иванович Остерман и раздел Турции. Из истории восточного вопроса. Война пяти лет (1735—1739), Одесса, 1899 და ვ. ბაიოვის დისერტაცია: Русская армия в царствовании императрицы Анны Ивановны. Война России с Турцией в 1736—1739, Кампания 1739 г., Спб., 1906.

პიკოვიდან დაწყებული ტარნორუდამდე პირველი და მეორე დივიზია ერთმანეთის პარალელურად მიდიოდა. გოლოჩინეცში მათ მიუახლოვდა მეოთხე დივიზია, რომელმაც გაიარა მეჟიბუჟიე და 30 ივნისს გადავიდა მდ. ბუგის მარჯვენა ნაპირზე. აქედან გეზი აიღო კაპუსტინციასა და პროსკუროვისაკენ. მეორე დივიზიამ ფელშტინიდან მიმართულება აიღო დანიუკისაკენ. დანიუკში დარჩა ორი დღე. 6 ივლისს გავიდა მდ. ბოვანეცის სათავედან და შეჩერდა ზბრუჩის მახლობლად, ტარნორუდაში.

მდ. ბუგიდან მდ. ზბრუჩამდე 88 კილომეტრის გავლა დავ. გურამიშვილს მოუხდა 23 ივნისიდან 6 ივლისამდე. ტარნორუდაში შეერთდნენ მხოლოდ პირველი, მეორე და მეოთხე დივიზიები. 8 ივლისს კი, ტუროვკაში ყველა დივიზიამ მოიყარა თავი და შეერთებული ძალით, მინიხის საერთო მეთაურობით[1], დაიძრნენ ხოთინისაკენ.

დავ. გურამიშვილს მოუხდა ნედებორგის მთების გადალახვა დაბა გრიმალოვთან და მდ. ზბრუჩის შენაკადის გადალახვით 11 ივლისს შევიდა კლიუვინცეში. 13 ივლისს კი დავ. გურამიშვილი იყო დაბა უვისლაში მდ. გნილაიასთან. ხოლო აქედან, მინიხის ჯართან ერთად, 15 ივლისს შეჩერდა დაბა კოციუბინცში.

16 ივლისს მინიხმა გასცა ბრძანება, რათა ჯარი საომრად მზად ყოფილიყო და სამხედრო ნაწილებს (მათ შორის ქართულ ჰუსართა ასეულსაც) 10 დღის მარაგი მისცემოდათ. შემდეგში ქართველ ჰუსარებს და მათ შორის დავ. გურამიშვილს სიარული უხდებოდათ მდ. ნიგლავას მარჯვენა მხარეზე. კოციუბინციდან დავითმა მარცხნივ დასტოვა პრობოჟნა და 17 ივლისს ზელინცე, ხოლო მარჯვნივ ჩერტკოვა და რაიგოროდოკი, რომლის მახლობლად გადალახა მდ. ნიგლავას შენაკადი. გვერდით მოიტოვა სოფ. ზალესიე და შევიდა დაბა კოროლიუვკაში.

ნიგლავიდან დნესტრამდე 30 კმ მანძილი იყო გრძელი, ვიწრო და საშიში ხეობიანი. ეს გზა რუსეთის ჯარმა სწრაფად გაირა და 18 ივლისს 5 საათზე დნესტრის ნაპირას სინკოვიცთან მივიდნენ, მაგრამ მტერი არსად ჩანდა. რადგან მდინარე იმ დროს პატარა იყო, ამიტომ დავ. გურამიშვილი და სხვა ცხენოსნები ადვილად გავიდნენ მასზე. ღამე კი აღდგენილ იქნა ხიდ-

---

[1] 9 ივლისს კანევკასთან მეორე დივიზია მდ. ზბრუჩზე გადავიდა.

[2] მანამდის მინიხი დროგამოშვებით იმყოფებოდა სხვადასხვა დივიზიასთან და მეთაურობდა მათ. მეორე დივიზიაში მინიხი იყო 12—18 ივნისს.

ები და 19 ივლისს მინიხის მთელი ჯარი გადავიდა მდ. დნესტრზე და მიმართულება აიღო დოროშევცინისაკენ.

დნეპრიდან დნესტრამდე დავ. გურამიშვილმა ისე გაიარა 454 კილომეტრი, რომ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა არსად არ შეხვედრია. პირველი ბრძოლა მინიხის არმიას ოსმალების წინააღმდეგ მოუხდა 22 ივლისს სოფ. სინკოვცისთან. მინიხმა ადრევე გაიგო, რომ მტერი ემზადებოდა თავდასასხმელად მარცხენა ფრთაზე, სადაც დონის კაზაკები და ქართული ჰუსართა ასეული იდგა. მთავარსარდალმა ბრძანება გასცა, რათა მტრის მოძრაობის სათვალთვალოდ გამოყოფილიყო სპეციალური რაზმი. მართლადაც 3 საათზე ოსმალები თავს დაესხნენ რუსეთის ჯარის მარცხენა ფრთას, სადაც. როგორც აღვნიშნეთ. ქართული ჰუსართა ასეული იდგა და მათ შორის დავ. გურამიშვილიც. ქართველებს დონის კაზაკებთან ერთად მოუხდათ მძიმე ომის წარმოება, მაგრამ მათ მიეშველათ არტილერია პოდპოლკოვნიკ თავად გ. დადიანის მეთაურობით, რის შემდეგ მტერი დიდი დანაკლისით უკუგდებულ იქნა. ამ ომში მამაცურად იბრძოდნენ ქართველი ჰუსარები მამუკა დავითიშვილის მეთაურობით, რის შედეგადაც მათ სარდლობისაგან დიდი სახელი და პატივისცემა დაიმსახურეს[1].

ამის შემდეგ დაიწყო წვიმები. ადიდდა დნესტრი, რამაც გამოიწვია რუმიანცევის სამხედრო ნაწილის დნესტრის მარცხენა ნაპირზე დარჩენა. მინიხს უნდოდა, არმიის ძირითად ნაწილს, რუმიანცევის სამხედრო ნაწილიც შეერთებოდა, რათა შეერთებული ძალით განეგრძო წინსვლა. ამიტომ იგი დროებით შეჩერდა ჩერნოვიცსა და ოკუტს შორის[2]. 1 აგვისტოს როგორც იქნა მოხერხდა რუმიანცევის სამხედრო ნაწილის დნესტრზე გადასვლა და მინიხის არმიასთან შეერთება.

დოროშევცში შესვლის შემდეგ მინიხმა ზასტავნასაკენ აიღო მიმართულება, სადაც 2 აგვისტოს მიაღწია. ამავე დღეს დნესტრზე ყველა ხიდი აღებულ იქნა. ზასტავნაში შესვლის წინა დღეს კი, რუსეთის არმიას შეტაკება მოუხდა ოსმალებთან, რომლებიც ამჯერადაც სასტიკად იქნენ დამარცხებულნი. ზასტავნაში რუსეთის არმია განტვირთულ იქნა. სამხედრო ნაწილებს საზიდავად მიეცათ მხო-

[1] ЦГВИА, ფონდი 20, ანაწერი 1/47, შეკ. 2, საქ. № 59; „Санктпетербургские Ведомости", 1739, стр. 524—525.

[2] Кочубинский А., Граф Андрей Иванович Остерман и раздел Турции. Из истории восточного вопроса. Война пяти лет (1735—1739), Одесса, 1899, стр. 473.

ლოდ უსაჭიროესი ნივთები და 3 აგვისტოს წინ წაიწიეს. 5 აგვისტოს დავ. გურამიშვილმა მიაღწია მდ. შუბრანეცისა და მდ. ჟუჩკას შესართავს, რომლებიც მდ. პრუტს ერთვიან. შერნოუციდან სოფ. რარანციმდე დავ. გურამიშვილმა, სხვებთან ერთად, გადალახა ბუკოვიცის ტყიანი მთები. 7 აგვისტოს გადავიდა მდ. სტანიგორზე და შევიდა დაბა სტანიგორში, სტანიგორიდან მინიხმა მიმართულება აიღო კალინკოვციისაკენ. 8 აგვისტოს სოფ. რარანცისა და მდ. დოლგოის შუა სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა. მტერი ცდილობდა რუსეთის არმიას არ გადაელახა მდ. დოლგოი. რუსეთის სამხედრო ნაწილებმა თავი შეაფარეს მაბლობელ ტყეს, მოწინააღმდეგე კი მაღლობ ადგილზე იყო დაბანაკებული და იქიდან უთვალთვალებდა მინიხის არმიის მოძრაობას. მინიხის განკარგულებით ჯარი დაიძრა ტყიდან, იერიში მიიტანა ოსმალებზე და კიდევაც დაამარცხა ისინი. ამ ბრძოლაში დაიჭრა ქართული ჰუსართა პოლკის კაპრალი თავადი ათანასე ქობულაშვილი.

სოფ. რაკიტნასა და კალინკოვცს შორის 11 აგვისტოს რუსეთის ჯარმა გამოიცვალა ბანაკი, 13 აგვისტოს კი სოფ. კალინკოვცში შევიდა. 14 აგვისტოს ჰუსარებს და არარეგულარულ ნაწილებს მთავარსარდლისაგან ებრძანათ მტრის დაზვერვა და მიღებული ცნობები სასწრაფოდ ეცნობებიათ მისთვის. ალბათ, ქართველი ჰუსარებიც იღებდნენ ამ დავალების შესრულებაში მონაწილეობას. ასეთივე ბრძანებულებანი გაცემულ იქნა მინიხის მიერ აგვისტოს 15, 20, 21, 22 და 23 რიცხვებშიც[1].

სოფ. კალინკოვციდან მინიხის არმია დაიძრა სოფ. სენკოვცისაკენ. ამ დროს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა მოუხდა მინიხის არმიის მარცხენა ფრთას. მტერი აქაც დამარცხდა. რუსეთის არმიამ ხელთ იგდო დიდძალი დავლა. ძლიერი ბრძოლა მოუხდათ რუსებს სოფ. შუროვციდან მდ. შულანეცამდე, სადაც მტერი დიდი დანაკლისით იქნა უკუგდებული.

16 აგვისტოს ოსმალები ყიჟინით დაეცნენ თავს რუსეთის არმიას, მაგრამ ახლაც დამარცხებული აღმოჩნდნენ. მდ. შულანეცის გადალახვის შემდეგ სასტიკი ბრძოლები დაიწყო, მაგრამ მტერი ყოველთვის დამარცხებული რჩებოდა. უკანასკნელი მხოლოდ იმის ცდაში იყო, როგორმე თავი გადაერჩინა. გენერალური ბრძოლა მოხდა 17 აგვისტოს სოფ. სტავუჩანთან.

---

[1] Маслонский Д., Стаучанский поход, документы 1739 г., Спб., 1892, стр. 93—94, 100, 103.

სტავუჩანი მაგარი ციხე-სიმაგრე იყო. ის ამავე დროს წარმოადგენდა მეორე ციხე-სიმაგრის, ხოთინისაკენ გასასვლელ გზას. ოსმალების მთავარსარდალმა ველი-ფაშამ გენერალური ბრძოლის წარმოება გადაწყვიტა სტავუჩანთან და ის საგანგებოდ გაამაგრა. ამავე დროს ამ ციხეს ბუნებრივი მდგომარეობაც ხელს უწყობდა თავდაცვისათვის. ველი-ფაშა სტავუჩანზე დიდ იმედებს ამყარებდა. აქ გადმოისროლა მან თავისი არმიის მთავარი ძალები, ხოლო რუსების წინსვლის შესაფერხებლად და დროის მოსაგებად მცირე ნაწილი დაუპირისპირა მინიხს.

17 აგვისტოს ველი-ფაშა ყოველმხრივ მზად იყო სტავუჩანთან საომრად, სადაც მას გამოყვანილი ყავდა ხოთინის გარნიზონიც. აქვე იყვნენ აგრეთვე მისი არმიის გამოჩენილი სარდლებიც. პოზიცია ხუთი კილომეტრის მანძილზე იყო გაშლილი. ველი-ფაშას აბრკოლებდა მხოლოდ ის, რომ არ იცოდა რომელი მხრიდან შეუტევდა მინიხი, ამიტომ აღნიშნული პოზიციის მთელი ხაზი თანაბრად ჰქონდა გამაგრებული, უფრო სიძლიერით მაინც ხოთინის გზა გაამაგრა, რომელიც ისედაც გამაგრებული იყო ბუნებრივი სიმაგრით.

16 აგვისტოს მინიხი მიადგა მდ. შულანეცის ნაპირს. ამავე დღესვე შეისწავლა მოწინააღმდეგის მდგომარეობა და ადგილმყოფელობა. ყოველივე ამის შემდეგ გადაწყვიტა საომარი მოქმედება დაეწყო მეორე დღეს. ამ ბრძოლაში მას შეეძლო გამოეყვანა მხოლოდ 48 ათასი მეომარი, მოწინააღმდეგეს კი საომარ მზადყოფნაში ყავდა 90 ათასი შეიარაღებული ჯარისკაცი. სტავუჩანიც ისეთი გამაგრებული აღმოჩნდა, რომ მარცხენა მხრიდან თუ მოხერხდებოდა მისი აღება, თორემ სხვა მხრივ შეუძლებელი იყო. მაგრამ აღნიშნული მხარეც ისე იყო გამაგრებული, რომ მისი დაძლევა რუსეთის არმიისათვის სიძნელეს წარმოადგენდა. ამ მდგომარეობისა გამო, მინიხმა გადაწყვიტა: მტრის მოსატყუებლად საომარი დემონსტრაცია დაეწყო მარჯვნივ, ხოლო ნამდვილი ბრძოლა გაემართა მარცხნივ. ამ მიზნით, გუსტავ ბირონის მეთაურობით, მან 9 ათასი ჯარისკაცი და არტილერია, რომელსაც ლევენდალი მეთაურობდა, გაგზავნა სტავუჩანის მარჯვნივ.

17 აგვისტოს დილით გუსტავ ბირონის რაზმმა სწრაფად გადალახა მდ. შულანეცი, დაიკავა ბაღალი ადგილი და ბომბარდირება დაუწყო მოწინააღმდეგის სიმაგრეს. შუადღემდის სწარმოებდა ორივე მხრიდან სროლა, მაგრამ ამ ოპერაციას რუსებისათვის ზიანი არ მოუტანია. ბაიოვის ცნობით, მტრის მიერ გასროლილმა ასმა ყუმბარამ რუსებს მხოლოდ ერთი ცხენი მოუკლა.

მინიხის არმიის ძირითადი ნაწილი, რომელთა შორის დავ. გურამიშვილიც იმყოფებოდა, ამ დროს საომარ მზადყოფნაში იყო და ელოდა განკარგულებას. მინიხმა მიზანს მიაღწია. ველი-ფაშა შეცდომაში შეიყვანა. უკანასკნელმა იფიქრა, რომ გუსტავ ბირონის წარმოებული ოპერაცია ეს არის რუსეთის ჯარის მთავარი საომარი ადგილი და ძალაო, ამიტომ თავისი არმიის მთავარი ძალა ბირონის წინააღმდეგ გამოიყვანა. ამ გარემოებით ისარგებლა მინიხმა და 17 აგვისტოს შუადღისას განკარგულება გასცა, არმია სოფ. დოლინასაკენ დაძრულიყო. ამავე დროს გუსტავ ბირონის რაზმმაც დაიწყო უკან დახევა შულანეცისაკენ. გუსტავ ბირონის უკან დახევა ველი-ფაშამ რუსების დამარცხებად ჩათვალა და ხოთინში გამარჯვების ცნობა გაგზავნა.

რუსებმან დაიწყეს მდ. შულანეცზე გადასვლა, მათ ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა ოსმალეთის ცხენოსანთა რაზმი გენჯალი-ფაშას მეთაურობით, მაგრამ რუსეთის არტილერიის მამაცური მოქმედებით, რომლის მეთაური იყო პოდპოლკოვნიკი თავადი გ. დადიანი, მინიხმა შეძლო მდ. შულანეცის გადალახვა. წინ მიდიოდა კარლ ბირონი, რომელსაც ექვემდებარებოდა ქართული ჰუსართა ასეული და მათ შორის დავ. გურამიშვილიც. ბირონის ნაწილს იცავდა გ. დადიანის არტილერია. შულანეცზე გაშენებულ იქნა 27 ხიდი, რომლითაც რუსეთის არმია მშვიდობით გავიდა მდინარის მეორე მხარეზე. ოსმალებმა რამდენჯერმე შეუტიეს კარლ ბირონის დივიზიას, განსაკუთრებით მის მარჯვენა ფრთას, სადაც ჰუსარები მოქმედებდნენ. ყველაზე ძლიერი შეტევა მტრისაგან იყო 3 საათზე, მაგრამ, რუსების არტილერიის მამაცური მოქმედებით, მტერი უკუგდებულ იქნა. ველი-ფაშამ სცადა მარცხენა ფლანგის, მაღლობის დაკავება, მაგრამ რუსების არტილერიამ ამის საშუალება არ მისცა.

კარლ ბირონის წინააღმდეგ მიპყრობილი იყო ველი-ფაშას მთელი ყურადღება და ძალები. ამან კი საშუალება მისცა რუსეთის არმიის სხვა ნაწილებს გადასულიყვნენ მდ. შულანეცზე და საომარი მოქმედება დაეწყოთ. მარჯვენე მოქმედებდა გუსტავ ბირონი, მარცხნივ კი ლევენდალი. 4 საათისათვის მთელი არმია მდ. შულანეცის მარცხენა ბაარეზე იყო. 5 საათზე, როდესაც რუსებმა სოფ. სტავუჩანი გაიარეს, ოსმალებმა მათ გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართეს, მაგრამ მინიხის არმიის დარტყმებს ვერ გაუძლეს და იძულებული, გახდნენ დიდი დანაკლისით ბრძოლის ველიდან გაქცეულიყვნენ. ველი-ფაშა ხოთინისაკენ გაიქცა. 7 საათზე რუსეთის არმიამ დაი-

კავა მტრის ბანაკი. მოწინააღმდეგის ნაწილი ხოთინის გარნიზონით გაიქცა ბენდერში, ნაწილი კი ბუდჟაკაში. სამხედრო ისტორიკოსების ცნობით, სტავუჩანისთანა სასტიკი ბრძოლა არ მომხდარა არა შარტო 1739 წ. კამპანიაში, არამედ ყირიმის ომის ოთხი წლის განმავლობაში.

მინიხი არ დაედევნა მტერს. მან ჯარი დაასვენა. სერიოზულ ბრძოლას ის მოელოდა ხოთინთან. 17 აგვისტოს მან მთელი არმია ორ ჯგუფად გაყო. პირველ ჯგუფს, მინიხის მეთაურობით, უნდა აეღო ხოთინი[1], მეორეს კი, რუმიანცევის მეთაურობით, უნდა დაეცვა რუსეთის არმიის ტვირთსაზიდავები, რომლებიც თან მიყვებოდა პირველ ჯგუფს. პირველი ჯგუფი სამ ნაწილად იქნა გაყოფილი, რომელთა მეთაურებად დანიშნულ იქნენ: კარლ ბირონი, ლევენდელი და გუსტავ ბირონი. ქართული ასეული კარლ ბირონის ნაწილში მოხვდა. 18 აგვისტოს მინიხმა დაათვალიერა დაპყრობილი ოსმალთა ბანაკი, დაიძრა პირდაპირ ხოთინისაკენ და შეჩერდა სოფ. დაშკოვცში, რომელიც ხოთინს 4—6 კმ იყო დაშორებული.

19 აგვისტოს დილით რუსეთის არმია დაიძრა ხოთინისაკენ. გზაზე მინიხმა გაიგო, რომ ხოთინში იმყოფებოდა მხოლოდ კოლჩაკ-ფაშა მცირერიცხოვანი ჯარით. 10 საათზე მინიხი თავისი არმიით მიადგა ხოთინს და მოთხოვა კოლჩაკ-ფაშას დანებებულიყო. უკანასკნელმა ითხოვა მინიხს მიეცა მისთვის რამდენიმე საათის დრო, რომ მოეთათბირა ხოთინის კომენდანტთან და მასთან მყოფ ოფიცრებთან, ამავე დროს მოითხოვდა, რომ მთელ მის გარნიზონს ნება დართოდა გასულიყო დუნაისაკენ. მინიხი არ დათანხმდა და უბრძანა არმიას დაეწყო შეტევა[2]. ამ ოპერაციაში ქართულ ჰუ-

---

[1] ხოთინი ბესარაბიის რაიონის ცენტრია, მდებარეობს მდ. დნესტრის მარჯვენა მხარეს, მაღლობ ადგილზე. ქალაქის მახლობლად მდ. დნესტრზე გაშენებული იყო ხოთინის ციხე-სიმაგრე, რომელსაც ჰქონდა ოთხი ალაყაფის კარი და შვიდი ვიწრო ბასტიონი. ციხე წარმოადგენდა გრძელ ოთხკუთხიან ფორმას, სიგრძით 600 საჟ. და განით კი 125. გარშემოვლებული იყო ქვის კედლებით, რომელთა სიგანე შეიცავდა 3 საჟ., ხოლო სიმაღლე—5. ციხის ერთი გრძელი კედელი ებჯინებოდა მდ. დნესტრს, მეორე კი გამაგრებული იყო ნაღმებითა და სხვადასხვა ხელოვნური თავდაცვის საშუალებებით (ВЭЛ., ч. 33, Спб., 1849, стр. 557).

[2] Банов А., Русская армия в царствовании императрицы Анны Ивановны. Война России с Турцией в 1736—1739 гг. Кампания 1739 г., Спб., 1906, 234—237, Масловский Д. Стауданский поход, документы 1739 г., Спб., 1892, стр. 95—96.

სართა ასეულს მონაწილეობა არ მიუღია. ბაიოვის ცნობით, მინიხის აღნიშნული ბრძანებულების შესრულება მთავარსარდლის მიერ დაევალა მხოლოდ გვარდიას გუსტავ ბირონის მეთაურობით და სამ ქვეით ბატალიონს გენერალ-მაიორ შიპოვის მეთაურობით (გვ. 235). აღნიშნულმა სამხედრო ნაწილებმა დაიწყეს მოქმედება. შეშინებული კოლჩაკ-ფაშა 2 საათზე უომრად დანებდა მინიხს და გადასცა ხოთინის გასაღები. 3 საათზე ხოთინის თავზე აღიმართა რუსეთის დროშა. ამავე დღესვე განთავისუფლებულ იქნენ რუსეთის არმიის ტყვეები. 20 აგვისტოს განთავისუფლებულ იქნა ტყვედ ჩავარდნილი ოსმალთა სამხედრო გარნიზონი, ხოლო 22 აგვისტოს ხოთინის ციხეში შევიდა რუსების გარნიზონი, სადაც, ბაიოვის ცნობით, შევიდნენ 7 ქვეითი ბატალიონი და კუმინგოვის ჰუსართა პოლკი, სულ 3632 კაცი და 200 მალოროსიის კაზაკი. ამრიგად, დავ. გურამიშვილი, რომელიც ხოთინის ბრძოლაში მარჯვენა ფრთაზე მოქმედებდა, ხოთინის ციხე-სიმაგრეში არ შესულა ისე, როგორც რუსების დანარჩენი ჯარისკაცები და მეთაურები. ისინი დაბანაკებული იყვნენ ქალაქ გარეთ.

ხოთინის ობერ-კომენდანტად დანიშნულ იქნა გენერალ-მაიორი მ. ხრუშჩოვი, თანაშემწედ კი თავადი გ. დადიანი, რომელმაც ამ ბრძოლაში დიდი სიმამაცე გამოიჩინა, რის გამოც 20 აგვისტოს მინიხმა მორიგ პოლკოვნიკის ჩინზე წარადგინა. გ. დადიანი დამტკიცებულ იქნა არტილერიის პოლკოვნიკის ჩინით და დაენიშნა ხელფასი. სარდლობის დავალებით გ. დადიანმა ჩაიბარა ხოთინის ციხე-სიმაგრე[1].

21 აგვისტოს მოეწყო გაბარჯვების აღსანიშნავი პარადი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რუსეთის არმიის ყველა ნაწილმა. პარადი დამთავრდა სალიუტით, რის შემდეგ ჯარისკაცებს დაურიგდათ თითო ფიალა ღვინო, რომელიც, ალბათ, მიიღო დავით გურამიშვილმაც[2].

---

[1] როგორც აღვნიშნეთ, 1724 წ. გრიგოლ დადიანმა (1683—1765) რუსულიდან ქართულად თარგმნა იმპერატორ პეტრე პირველის წერილი ვახტანგ მეექვსისადმი მიწერილი. 1734 წ. გ. დადიანი არტილერიის მაიორი იყო და იმყოფებოდა პოლონეთში. ამავე წლის 11 მაისს ანა დედოფლის ბრძანებულებით მიელინებულ იქნა სპარსეთში სახელმწიფო საქმეების გამო ვახტანგ VI-სთან და ბაქართან ერთად (ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიის შესახებ [მე-18 საუკ.], მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. II, 1940, გვ. 94). დასაფლავებულია დონის მონასტერში.

[2] Баиов А., დასახელებული ნაშრომი, გვ. 235—237.

დავ. გურამიშვილმა მდ. დნესტრიდან ხოთინამდე 542 კილომეტრი გაიარა. ვინ იცის რამდენი წვალება და დაბრკოლების გადატანა მოუხდა პოეტს აღნიშნულ მანძილზე, მაგრამ პატრიოტულმა გრძნობამ ყველაფერი აატანინა მას. ამ შემთხვევაში დავ. გურამიშვილი ებრძოდა იმათ, რომელთა შორის, ბედის უკუღმართობისა გამო, პოეტის არა ერთი და ორი თანამემამულე იყო გაყიდული. უდავოა, ყირიმის ომის დროს, თათრების მიერ ნაყიდი რამდენიმე ქართველი ტყვე მაინც იქნებოდა განთავისუფლებული. ჩვენი პოეტი ამ ბრძოლას რამდენიმე ათეული ხნის შემდეგაც სიამაყით იგონებდა: „ათას შვიდას ოცდაცხრამეტს ხოთინის კარს ვთხლიშეთ კეტიო“, ხოლო რუსეთის დიდმა მოაზროვნემ მ. ვ. ლომონოსოვმა(1711—1765) ხოთინის ბრძოლას საგანგებო ოდა უძღვნა[1].

24 აგვისტოს ხოთინიდან რუსეთის არმია დაიძრა იასისაკენ. ხოთინში ავადმყოფობის გამო დატოვეს ოფიცრები, რიგითი ჯარისკაცები და მათი მომვლელები, სულ 1526 კაცი და სამუშაოდ მალოროსიის პოლკებიდან 200 კაზაკი[2]. მდ. პრუტამდე დავ. გურამიშვილმა განვლო დაშკოვცი და ტურბურინი. წმ. იოანეს ჯვარსა და დაშკოვეცს შორის 28 და 29 აგვისტოს აღდგენილ იქნა მდ. პრუტზე ხიდები, რის შემდეგ მდ. პრუტის მარჯვენა მხრით დავ. გურამიშვილს მოუხდა იასისაკენ დაძვრა. რუსეთის არმია 40 კილომეტრით იყო იასიდან დაშორებული, როდესაც მინიხმა სურსათ-სანოვაგის შესაძენად გაგზავნა ატამანი ფლოროვი დონის, ჩუგუევის კაზაკებითა და ქართველ ჰუსართა შემადგენლობით[3]. 1 სექტემბერს მინიხი იასაში შევიდა. იაშკოვეციდან იასამდე დავ. გურამიშვილმა მარჯვნივ დასტოვა რა პერერიტოე, შჩერბაკი და ვოლოვიცი, შევი და შემდეგ დაბებში: სტეფანეცკში, ტაბურაში, გადავიდა მდ. ჟიჟიაზე და შევიდა ქ. იასაში.

ვიდრე მინიხი იასაში შევიდოდა, ქალაქიდან ორი კმ დაშორებით, მას შემოეგება მოლდავეთის ხელისუფალთა საერო და სასულიერო პირთაგან შემდგარი წარმომადგენლები. მინიხი მივიდა მათთან გენერლებით, ცხენოსან გრენადირთა, ქართველებისა და ჩუგუევის კაზაკების თანხლებით. მოლდავეთის ჯარმა და-

---

[1] Ломоносов М. В., Избранные произведения, 1949, стр. 59—66, „Ода на взятие Хотина 1939 г.“

[2] Масловский Д., Стауганский поход, документы 1739 г., Спб., 1892, стр. 210.

[3] იქვე, გვ. 191.



ფელდმარშალი ქ. ა. მ ი ნ ი ხ ი
რუსეთის არმიის მთავარსარდალი ყირიმის ომში. დააწინაურა
დავით გურამიშვილი ჰუსარიდან ვახმისტრის ჩინამდე

ხარა დროშები და დაიწყო პარაკლისი. სიტყვა წარმოსთქვა მიტროპოლიტმა ანტონმა, რომელმაც მთელი მოლდავეთის სახელით მადლობა გადაუხადა მინიხს განთავისუფლებისათვის. ამის შემდეგ მინიხი ზეიმით შევიდა დედაქალაქში. ყოველივე ამის მნახველი და მონაწილე იყო დავ. გურამიშვილი. მეორე დღეს მინიხმა სადილი გაუმართა მოლდავეთის წარმომადგენლებს. 5 სექტემბერს კი დაუდო ხელშეკრულება[1].

ბევრი ქალაქი და სოფელი დარჩა ოსმალებისაგან გაუთავისუფლებელი. ასეთი სოფლებისა და ქალაქების განსათავისუფლებლად მინიხმა გამოყო კაზაკებისა და ჰუსარების რაზმი და პოლკოვნიკ ივანე ვასილის ძე ფროლოვის მეთაურობით გაგზავნა ისინი ჩრდილო-სამხრეთ ვალახიის საზღვრებზე.

3 სექტემბერს მინიხმა პეტერბურგში გაგზავნა გენერალ-მაიორი აპრაკსინი, რომლის მეშვეობით დედოფალს აცნობა, რომ რუსეთის არმიამ სრული გამარჯვება მოიპოვა ოსმალებზე: ციხე-ქალაქი ხოთინი დაგვნებდა და შიგ მყოფი კოლჩაკ-ფაშა მთელი გარნიზონით ტყვედ ჩაგვბარდაო[2].

11 სექტემბერს მინიხი გადავიდა მდ. პრუტზე და უნდოდა შესულიყო ბუდჟაკში, მაგრამ 7 სექტემბერს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბელგრადის დროებითი ზავის დადების გამო, აღარ წასულა[3]. 23 სექტემბერს მინიხმა მიიღო ბრძანებულება, რომ დაეტოვებიათ მოლდავეთი და სამხედრო ნაწილები უკრაინაში დაებანაკებიათ. ამის შემდეგ ოქტომბრის დასაწყისში რუსეთის ჯარმა დაიწყო მდ. პრუტზე გადასვლა. ა. კ ო ჩ უ ბ ი ნ ს კ ი ს ცნობით, ჯარი ძველი გზით გაემგზავრა უკრაინაში.

იასიდან დაბრუნებულმა რუსეთის არმიამ ლაბოდასთან გადალახა მდ. პრუტი და მარცხნივ, პრუტის ქვემოთ, ჩავიდა ჩუჩაკის პერევოზამდე. აქედან დნესტრის შენაკადის სათავის გვერდის ავლით შევიდა კაინარში, აყვა მდ. პრუტის სათავისაკენ, გაიარა რეციპენი, პრიკოუნი, კრემნიცი, ბელოვანეცი და შევიდა კოტუშანში. აქ რუსეთის არმია ორ ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი წავიდა რუბლევკას მიმართულებით (მდ. დნესტრის მარჯვენა მხარე),

---

[1] К о ч у б и н с к и й А., Граф Андрей Иванович Остерман и раздел Турции, 1899, стр. 484.

[2] Примечание на ведомости в Санктпетербурге, 1740, стр. 566.

[3] საბოლოო ზავი დაიდო 1740 წ. 15 თებერვალს. მინიხთან ერთად მდ. პრუტზე გადასულა 65 ქართველი ჰუსარი, იხ. Масловский Д., Очаковский поход, документы 1739 г., Спб., 1892, стр. 208—209.

მეორე—კამენეც-პოდოლსკის (მდ. სმოტრიჩის მარცხენა მხარე) მიმართულებით.

როგორც აღვნიშნეთ, იასიდან რუსეთის არმია უკან დაბრუნდა ძველი გზით, ე. ი. იმ მიმართულებით, რომლითაც ისინი პირველად წავიდნენ. ამ ცნობისა და ბაიოვის მიერ საარქივო დოკუმენტების მიხედვით შედგენილი რუქიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ კოტუშანიდან პირველი და მეორე დივიზია რუბლევკის მიმართულებით წავიდა, მესამე და ბეოთხე დივიზია კი კამენეც-პოდოლსაის, მდ. სმოტრიჩის მარცხენა მხარის მიმართულებით. მდ. დნესტრის მარცხენა მხარეზე გადასვლის შემდეგ, დივიზიებმა სხვადასხვა მიმართულებით განაგრძეს სვლა. თუ რომელი გზით დაბრუნდა მეორე დივიზია, რომელშიაც დავ. ჯურამიშვილი იმყოფებოდა, დანამდვილებით არ ვიცით. ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით კი საფიქრებელია, მეორე დივიზია რუბლევკიდან უკან დაბრუნებულიყო სტანისლავჩიკისა და ვოროშილოვკას მიმართულებით და ამ გზით შესულიყო ვასილკოვოში, ე. ი. იმ ადგილას, საიდანაც ის ბრძოლის დაწყებისას დაიძრა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველად, როგორც აღვნიშნეთ, მეორე დივიზიამ ვასილკოვოდან კროპაჩევისა და პინჩუკის მიმართულებით გაიარა წრისებური ხაზი, ახლა კი პინჩუკიდან პირდაპირ ვასილკოვოში შევიდა.

თუ ჩვენ მიერ მოხაზული მარშრუტი სწორი გამოდგა, მაშინ უკან დაბრუნებისას დავ. გურამიშვილს მდ. დნესტრის შემდეგ უნდა გამოევლო ვრუბლევკა, სტანისლავიჩი, ახლო გაევლო ვოროშილოვკასათვის, გადმოელახა მდ. ბუგი და შესულიყო ვორონოვიცში, გვერდი აევლო ლიპოვეცისა და ჟიტომირისათვის, გაევლო ტეტიევი, ვოლოდარკა და მდ. როსის გადალახვით შესულიყო ბელაია-ცერკოვში, აქედან პინჩუკის გვერდის ავლით გადასულიყო ვასილკოვოში.

ქართველ ჰუსართა ასეულმა, როგორც აღვნიშნეთ, ყირიმის ომში დიდი მამაცობა გამოიჩინა. ამ ომში ქართველი ჰუსარებიდან ბრძოლის ველზე დაიღუპნენ დიმიტრი რევაზიშვილი, ომან მოურავიშვილი, ზაალ სერხეულიძე და დავით ერისთავი. ტყვედ ჩავარდა ალექსი ლომიძე[1].

ყირიმის ომში ქართველ ჰუსართა ასეულის მამაცობის შესახებ სამხედრო კოლეგიისადმი წარდგენილ მოხსენებაში არმიის მთავარსარდალი ფელდმარშალი ქრისტეფორე მინიხი წერდა:

[1] ЦГВИА, ფონდი 10, საქ. № 5, ფ. 316—324.

„ქართული ჰუსართა ასეული მთელი კამპანიის პერიოდში იმყოფებოდა [ბრძოლაში]. ამ ასეულის ოფიცრები და რიგითი ჰუსარები მტრის წინააღმდეგ ისე მოქმედებდნენ, როგორც შეშვენის ძლიერ მამაც და სანდო ხალხს, რომელთა საჭიროება არმიაში დიდიაო[1]".

ყირიმის ომში, სხვა ქართველებთან ერთად, თავი ისახელა დავ. გურამიშვილმაც, რისთვისაც არმიის მთავარსარდლის ფელდმარშალ მინიხის მიერ რიგითი ჰუსარიდან ჯერ 1739 წლის 5 აგვისტოს კაპრალად იქნა დაწინაურებული, ხოლო იმავე წლის 16 დეკემბერს ასეულის კვარტირმეისტრად.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ ასეულმა დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება.

სამხედრო კოლეგია და ასეულის ხელმძღვანელები შეუდგნენ ქართული ჰუსართა ასეულის გაზრდისათვის ზრუნვას. ისინი სპეციალურად აგზავნიდნენ წამომადგენლებს ყიზლარში, ასტრახანში და სხვ. ადგილებში, რომ შეეგროვებიათ მამაკაცები ასეულის რი-

---

[1] „Пред выступлением оной в кампанию прислана Грузинская гусарская рота, которая чрез всю ту кампанию находилась, и той роты офицеры и рядовыя противу неприятеля поступали так, как надлежит весьма храбрым и надежным людям, каковыя при армии весьма быть потребны" (ЦГВИА, ფონდი, 10, საქ. № 2, ფ. 76—77).

ყირიმის ომში დავ. გურამიშვილთან ერთად მონაწილეობას იღებდა მისი მოხუცი ბიძა მერაბ გურამიშვილი. უკანასკნელი, როგორც მოხუცი და დაჭრილი, ჰუსართა ასეულში არ მიიღეს, არც მამულები მისცეს და ვახტანგ VI-ის დროს დანიშნული ულუფაც მოუხსნეს. ყოველივე ამის გამო, 1739 წ. იანვარში, მერაბმა სთხოვა სენატს, რომ მისთვის, სხვა თავადებსავით, მიეცათ უკრაინაში მამულები ანდა საცხოვრებლად სხვა რაიმე წყაროდ გამოენახათ. ამ დროს ყირიმის ომში გაიწვიეს ქართული ჰუსართა ასეული, რომელშიაც ირიცხებოდა მერაბის ძმისშვილი დავით გურამიშვილი. მართალია, მერაბს ომში წასვლა არ ევალებოდა, მაგრამ მან თავისი სურვილით აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ომში.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ სენატი შეუდგა მერაბ გურამიშვილის საქმის გარჩევას. მის თხოვნას გამოესარჩლა ქართული ჰუსართა ასეულის მაიორი მამუკა დავითიშვილი. უკანასკნელი 1740 წ. მაისში შუამდგომლობდა სენატის წინაშე, რომ მერაბ გურამიშვილს მისცემოდა უკრაინაში 30 კომლი ისე, როგორც სხვა თავადებმა მიიღეს. სენატმა შეისწავლა საქმის ვითარება და მამულების მიცემაზე მერაბს უარი განუცხადა, მაგრამ, რადგანაც მას რუსეთის ქვეშევრდომობა და ფიცი ჰქონდა მიღებული, ამას გარდა, მონაწილეობას იღებდა ყირიმის ომში, ამიტომ საცხოვრებლად დაუნიშნეს რიგითი ჰუსარის ხელფასი 25 მანეთისა და 82 1/2 კაპ. რაოდენობით.

მერაბ გურამიშვილი ცხოვრობდა ძმისშვილთან დავითთან. გარდაიცვალა 1742 წ. შემდეგ.

გითი შემადგენლობის გასაძლიერებლად. ამ მიზნით სხვადასხვა დროს გაგზავნილი იყვნენ სიმონ ჯიქიძე, იესე ციციშვილი, კაპჩიევი და სხვ[1].

VIII

ჯერ კიდევ ყირიმის ომის დაწყების წინ ფელდმარშალ მინიხის მიერ ყიზლარში და ასტრახანში გაგზავნილ იქნა აზნაური ბორის ეგორაშვილი ქართული ჰუსართა ასეულისათვის ქართველების შესაგროვებლად. ბ. ეგორაშვილს შეუგროვებია 150 კაცი და მოუყვანია უკრაინაში.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, 1740 წ. 5 თებერვალს, სამხედრო კოლეგიას ფელდმარშალი მინიხი წერდა: „ქართული ჰუსართა ასეული ისე გაიზარდა, რომ არსებული შტატის მიხედვით ის დღეს სამ ასეულზე ბეტს ითვლის 38 კაცსო“[2]. ამიტომ მინიხი სთხოვდა დედოფალს, რათა დაემტკიცებია ქართული ჰუსართა სამი ასეული თავისი შტატით[3]. მინიხის მიერ წარდგენილი პროექტის მიხედვით

[1] როდესაც იმპერატორი პეტრე დიდი სპარსეთთან ომს აწარმოებდა (ამ ომში მოხალისედ წავიდა ყიზლარში მყოფი ზოგი ქართველი) ასტრახანში მყოფ გენერალიტეტს უბრძანა გამოეთხოვა სპარსეთიდან რუსეთში სამსახურისათვის ქართველები, სომხები და მათგან შეედგინა ორი ესკადრონი. უკანასკნელის დასაყოფილებლად ხარჯს ახდევინებდნენ სპარსეთში დაპყრობილ პროვინციებს. ომის დამთავრების შემდეგ. 1735 წელს, ეს ესკადრონები თითქმის დაიშალა, მაგრამ 1736 წ. ისევ აღდგენილ იქნა და იმყოფებოდა სამოქალაქო შემოსავალთა ხარჯზე. რა თქმა უნდა, პირველთან შედარებით ძალიან შემცირებულ ჯამაგირზე. 1742 წელს მათ დაუმტკიცეს ის ჯამაგირი, რაც 1736 წლამდე ეძლეოდათ. შტატით იყო: შტაბის ოფიცერი—4, უფროსი, ოფიცერი—25, უმცროსი ოფიცერი—16, ჯარისკაცი—5. აღნიშნული პირები მუქთად იღებდნენ ჯამაგირს. ამიტომ სამხედრო კოლეგიამ 1764 წ. შუამდგომლობა აღძრა დედოფალ ეკატერინეს წინაშე, რომ გაეუქმებიათ ეს ესკადრონები და ვინც სამსახურს მოისურვებდა, განეწესებიათ ადგილობრივ საგარნიზონო ბატალიონში ანდა ქართულ ჰუსართა პოლკში, მით უმეტეს—ასაბუთებდა სამხედრო კოლეგია—ამჟამად ქართული პოლკი ახალი შტატით უნდა შეივსოს, როგორც ქართველთა, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლებისგანაც (ბრძ. 12152). ეკატერინე დედოფალმა სენატის ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ გატარდა თუ არა ეს ბრძანებულება ცხოვრებაში, არ ვიცით.

[2] შემდეგში ეს 38 კაცი თანაბრად იქნა განაწილებული სამ ასეულში.

[3] ქართული ჰუსართა სამი ასეულის შექმნასთან დაკავშირებით გაიზარდა დამხმარე პერსონალთა საშტატო ერთეულებიც. მათ შორის ოფიცრებისა და კაპრალების ნაწილი მინიხის მიერ, ვიდრე ანა დედოფალი აღნიშნულ ასეულებს დაამტკიცებდა, მანამდის იქნა გაფორმებული. უკანასკნელთა რიცხვში შედიოდა დავით გურამიშვილი, რომელიც 1740 წ. 7 იანვრიდან აყვანილ იქნა ვახმისტრის ჩინში. ასე რომ, ქართულ ჰუსართა სამი ასეულის გაფორმება საფიქრებელია დაწყებულიყო 1740 წ. იანვრიდან (ყოველ შემთხვევაში 1739 წ. დეკემბერზე ადრე არაა მოსალოდნელი).

სამი ასეულისათვის საჭირო იყო დამატებით 4 ვახმისტრი, 2 კვარტირმეისტერი, 3 კაპრალი, 2 ასეულის მწერალი, 2 პარიკმახერი და 4 მედოლე. უფროს ოფიცერთა შემადგენლობა კი ისევ ძველი რაოდენობის რჩებოდა.

ანა დედოფალმა 14 აპრილს დაამტკიცა წარმოდგენილი პროექტი და ამავე დროს განკარგულება გასცა, რათა ჰუსართა რაოდენობა გაზრდილიყო ას კაცამდე (ნაცვლად სამოცდაათისა), დამატებით შეეგროვებიათ სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი ქართველები და ამ გზით ქართული ჰუსართა ასეული გაეზარდათ 10 ასეულამდე მაინც[1].

ამ განკარგულების სისრულეში მოყვანა ძალიან გაძნელდა ხალხის უყოლობის გამო. მართალია, 1741 წ. ელისაბედ დედოფალმა სპეციალური ბრძანებულება გასცა, რომ ქართველები სამხედრო სამსახურს გარდა არსად მიეღოთ, მაგრამ საქმეს ამანაც ვერ უშველა. 1741 წ. დაემატა მხოლოდ ერთი ასეული და შეიქმნა ქართული ჰუსართა პოლკი.

ქართული ჰუსართა ასეულის პოლკად გადაკეთებამ გამოიწვია მეთაურთა საშტატო ერთეულების გაზრდაც. შემდეგი ჩინი დავ. გურამიშვილისათვის იყო ჩინი ვახმისტრისა. 1740 წლამდე ქართულ ჰუსართა ასეულში ორი ვახმისტრი იყო. ახლა კი საჭირო შეიქნა ოთხი დამატებითი ვახმისტრი, რომლის ერთ-ერთი კანდიდატი დავ. გურამიშვილი იყო. 1740 წ. 7 იანვრიდან დავ. გურამიშვილი პოლკის ვახმისტრი გახდა.

სამხედრო კოლეგია ენერგიულად ზრუნავდა ჰუსართა პოლკების, და მათ შორის ქართულის, გასაძლიერებლად. ხალხის შესაგროვებლად კი მიჩნეულ იქნა მხოლოდ ყიზლარი და ასტრახანი, სადაც გაგზავნილ იქნა სანდო პირები. პოლკში მიღება ამ დროს შეიძლებოდა პასპორტის მქონე იმ პირთა, რომელთა წლოვანება 40 წელზე მეტს არ აღემატებოდა. სენატი ავალდებულებდა გენერალიტეტს, რათა ამ მხრივ განსაკუთრებული სიფხიზლე გამოეჩინა.

ქართული ჰუსართა პოლკის გადიდება იწვევდა დამხმარე პერსონალის გადიდებასაც. ამიტომ ქართველი თავადი ჰუსარები ყოველგვარ ზომას მიმართავდნენ პოლკის გაძლიერებისათვის. მაგრამ საჭირო რაოდენობის ქართველები ვერ შეკრიბეს და არც არავითარი იმედი მომავალში ამ მხრივ არ იყო. ამის გამო ქართველმა ოფიცრებმა 1752 წ. 3 მარტს, პოდპოლკოვნიკ ელისე ამილახვრის

[1] ЦГВИА, ფონდი 10, საქ. № 13, ფ. 541—542, 534—533.

ნეშვეობით, სამხედრო კოლეგიას სთხოვეს, რათა ქართულ პოლკში ქართველებს გარდა მიღებული ყოფილიყვნენ სპარსელები, რომლებსაც მართლმადიდებლური სარწმუნოება ექნებოდათ მიღებული, აგრეთვე ბერიები და სომხები, რომლებიც საქართველოში დაბადებულნი და აღზრდილნი იყვნენ, რომ ამ გზით ჯერჯერობით შეგროვებულიყო 600 კაცამდე და პოლკი ექვს ასეულამდე მაინც გაზრდილიყო.

ქართველ ჰუსართა ოფიცრების თხოვნა სამხედრო კოლეგიამ დააკმაყოფილა იმავე წლის 20 ივნისს, მაგრამ პოლკის გაზრდა ამჯერად მოხერხდა მხოლოდ 500 კაცამდე. ხალხის შეგროვება კი გრძელდებოდა. სპარსელების, ბერძნებისა და სომხების გარდა, ქართულ პოლკში სხვა ეროვნების ხალხსაც დაუწყეს მიღება. მაგრამ 1753 წლამდე მაინც ვერ მოხერხდა 10 ასეულამდე ქართული ჰუსართა პოლკის გაზრდა. 1753 წ. შეგროვებულ იქნა 185 კაცი, მათ შორის 58 ქართველი იყო, რომელიც განაწილებულ იქნა 10 ასეულში შემდეგი სახით: I ასეულში—2, II—7, III—7, IV—9, V—5, VI—7, VII—?, VIII—4, IX—10 და X—4. დანარჩენი იყვნენ სპარსელები, ოსმალები (ზოგ მათგანზე სიაში აღნიშნულია, რომ ახლად მონათლულიაო), სერბიელები, ბულგარელები, სომხები და სხვა ეროვნების ხალხი. უკანასკნელთა შორის ყველაზე მეტი ბერძნები იყვნენ. 1754 წელს ამას დაემატა ქართული 4 ასეული და, ამრიგად, პოლკი 460 კაცისაგან შედგებოდა, აქედან 13 მოსამსახურე პერსონალს შეადგენდა, ხოლო 447 რიგითი ჰუსარს, რომლებიც განაწილებული იქნენ ასეულებში შემდეგი სახით: I ასეულში—45, II—44, III—44, IV—48, V—44, VI—43, VII—47, VIII—46, IX—42, X—44. 1755 წ. ქართულ 10 ასეულში ირიცხებოდა 600 კაცი; ასე რომ, სრული კომპლექტი ამ დროსაც არ ყოფილა. ანა დედოფლის ბრძანებულებით თითოეულ ასეულში, როგორც აღვნიშნეთ, 100 კაცი უნდა ყოფილიყო, აქ კი 100 კაცს ორი ასეულიც ვერ ადგენდა. ამას გარდა, რიცხობრივად ქართულ პოლკში ძალზე გადაჭარბებული აღმოჩნდნენ არაქართველები, რომელთა უმრავლესობა შეიძლებოდა ნაციონალურ ჰუსართა პოლკებში მოთავსებულიყვნენ, მით უმეტეს ამ უკანასკნელ პოლკებშიც ხალხთა სიმცირე ძალზე იგრძნობოდა. ამის გამო 1756 წ. სენატმა მიიღო გადაწყვეტილება, რათა ქართული პოლკისათვის დამატებით შეგროვებულიყო 493 ქართველი. ამ ხალხის ყიზლარში შეგროვება იკისრა საგარეო საქმეთა კოლეგიის დიპლომატ-შიკრიკმა კაპიტანმა თავად თომა ათანასეს ძე

ბარათაშვილმა. საამისოდ მან გარკვეული პირობები წარუდგინა სამხედრო კოლეგიას.

თ. ბარათაშვილის განცხადების შესახებ სამხედრო კოლეგიამ 1756 წ. 15 ივლისს გამოიწვია ქართული ჰუსართა პოლკის პოლკოვნიკი თავადი ელისე ამილახვარი და თვით თ. ბარათაშვილი. პოლკოვნიკმა ე. ამილახვარმა სხდომაზე განაცხადა, რომ თ. ბარათაშვილის თხოვნას შეიძლება ვენდოთო. თ. ბარათაშვილმა კი კოლეგიას მოახსენა, თუ მას საგარეო საქმეთა კოლეგიის კაბინეტიდან გაანთავისუფლებდნენ, იმ შემთხვევაში აღნიშნულ ქართველთა რაოდენობის შეგროვებას ის შეძლებდა.

სამხედრო კოლეგია ვერ დაარწმუნა ე. ამილახვრისა და თ. ბარათაშვილის განცხადებებმა და რომ საბოლოოდ დარწმუნებულიყო თ. ბარათაშვილის განცხადების სისრულეში მოყვანის საკითხში, 1756 წ. 22 ივლისს საგარეო საქმეთა კოლეგიას აცნობა, რომ უკანასკნელს განეხილა და ეცნობებია სამხედრო კოლეგიისათვის: შეძლებდა თუ არა თავადი თ. ბარათაშვილი ყიზლარში ქართული ჰუსართა პოლკისათვის ვარგისი თავისუფალი ქართველებისა შეგროვებას და შეიძლებოდა თუ არა საამისოდ გაღებულიყო საჭირო რაოდენობის თანხა. თუ შესაძლებელი იქნებოდა, რომ საგარეო საქმეთა კოლეგიისაგან დროებით განთავისუფლებულიყო თ. ბარათაშვილი. ამასთან ერთად სამხედრო კოლეგია ეკითხებოდა საგარეო საქმეთა კოლეგიას—ხალხის შესაგროვებლად და წამოსაყვანად რაიმე დაბრკოლებას ან პრეტენზიას ხომ არ ექნება ადგილი მოსაზღვრე ქვეყნებიდანო.

საგარეო საქმეთა კოლეგია, ეტყობა, ამ საქმეს ყოყმანით შეხვედრია. მართალია, მას საამისოდ უარსაყოფი საბუთები არ ჰქონია, მაგრამ არც დადებითი აღმოჩენია. 1756 წ. 3 აგვისტოს გაცემულ პასუხში საგარეო საქმეთა კოლეგია ატყობინებდა სახელმწიფო სამხედრო კოლეგიას: შესაძლებელი იქნება თუ არა თ. ბარათაშვილისათვის ყიზლარში თავისუფალი ქართველების შეგროვება, ჩვენთვის უცნობია, რადგან წარმოუდგენელია, რომ ყიზლარის მთიელთა შორის მოიპოვებოდნენ თავისუფალი ქართველები, გარდა ტყვეებისა, რომლებიც გატაცებული არიან საქართველოდანო. მთიელები თავს ესხმიან ქართველებს, იტაცებენ მათ და ყიდიან თურქეთის ოლქში. განა შეუძლია მას, ბარათაშვილს, ყიზლარში მისული ქართველებისაგან რამდენიმე მაინც შეაგროვოს ანდა საამისოდ სპეციალურად გაემგზავროს საქართველოში? მაგრამ ისიც უცნობია, ნებადართული იქნება კი საქართველოს მმარ-

თველებისაგან სალხის შეგროვება, როდესაც თვითონ ისინი საჭიროებენ მთიელი თავდამსხმელებისაგან დაცვას, რომლებიც მათ არბევენ და არ ასვენებენ? ისინი არათუ არ საჭიროებენ ხალხს, არამედ მფარველობას ითხოვენ თავდაცვისათვის რუსეთის იმპერიისაგან, რომლის აღმოჩენა მათთვის, უხერხულობის გამო, შეუძლებელია. რაც შეეხება იმ საკითხს, შეუძლია თუ არა კაპიტან თ. ბარათაშვილზე ქართველების შესაგროვებლად საჭირო თანხის გაცემის ნდობას, საგარეო საქმეთა კოლეგიას თუმცა დაეჭვების საბუთი არ აქვს, მაგრამ პირდაპირი დასტურის მიცემაც არ შეუძლიაო, რადგანაც კოლეგიისაგან მას არავითარი დავალება არ ჰქონია, გარდა სპარსეთში კურიერად გაგზავნისა, ამაში ის ძალიან უნარიანია. განთავისუფლება მისი საგარეო საქმეთა კოლეგიისაგან შეიძლება, ის ეხლაც მისი იმპერატორობის უმაღლესობის კაბინეტის განკარგულებაში იმყოფებაო.

ასეთი ცნობის მიღების შემდეგ ეს საქმე სამხედრო კოლეგიამ შეაჩერა, მაგრამ ქართული ჰუსართა პოლკის პოლკოვნიკი ე. ამილახვარი ამ საქმეს არ ეშვებოდა. ამილახვარს საკითხი დაუსვამს ლეიბგვარდიის ფელდმარშალ პოლკოვნიკ სტეფანე აპრაკსინის წინაშე და მოუთხოვია თ. ბარათაშვილის საქმეს მსვლელობა მიცემოდა. იმავე წლის 9 ოქტომბერს აპრაკსინი სამხედრო კოლეგიას პატაკით ატყობინებდა: ქართული ჰუსართა პოლკის პოლკოვნიკი თავადი ამილახვარი აცხადებს, რომ კაპიტანი თავადი თომა ბარათაშვილი კისრულობს რამდენიმე ქართველის შეგროვებას ქართული ჰუსართა პოლკისათვის, ამის შესახებ სამხედრო კოლეგიაში საქმე უკვე არსებობს, რის გამო მეც, აღნიშნული წარდგინების ძალით, სამხედრო კოლეგიას მოვახსენებ, რათა მასზე განოტანილ იქნეს ჯეროვანი გადაწყვეტილებაო.

1756 წ. 4 დეკემბერს სამხედრო კოლეგიამ საგარეო საქმეთა კოლეგიისაგან მოითხოვა ცნობა, რომ კაპიტანი თომა ბარათაშვილი იმპერატორის კაბინეტთან იმყოფება, თუ განთავისუფლებულია და ხომ არ იმყოფება საგარეო საქმეთა კოლეგიასთანო. უკანასკნელის ცნობით კი კაპიტანი თომა ბარათაშვილი 1756 წ. 13 სექტემბრიდან, თანახმად მისი (თ. ბარათაშვილის) თხოვნისა, გადაყვანილი ყოფილა იმპერატორის კაბინეტიდან საგარეო საქმეთა კოლეგიაში, სადაც ის ამჟამადაც იმყოფებაო.

ამის შემდეგ წავიდა თუ არა თ. ბარათაშვილი ყიზლარში ქართველების შესაგროვებლად, საქმეებიდან არ ჩანს. დოკუმენტებიდან კი ირკვევა, რომ თომა ბარათაშვილი 1757 წელს საქართ-

ველოში ყოფილა მხოლოდ ცხენების საყიდლად. ამრიგად, ეს წამოწყებული საქმე ვერ დაგვირგვინებულა.

1757 წელს ყიზლარის ესკადრონის კაპიტანმა ბოგდან ასლანოვმა თხოვნით მიმართა ფელდცეხმეისტერ და კავალერ გრაფ-პეტრე ივანეს ძე შუვალოვს. ამ თხოვნაში ასლანოვი კისრულობდა, ჰუსართა პოლკებისათვის შეეგროვებია პეტერბურგში და მოსკოვში ბერძნები, ვოლოხოველები, ქართველები და სპარსელები 30 კაცამდე. ამავე ეროვნებისა: ასტრახანში, ყიზლარში და მახლობელ საგუბერნიო ქალაქებში ასამდე. კიევში, ნეჟინში, გლუხოვში, ბახმუტში და მალოროსიის სხვა ქალაქებში—ასორმოცდაათამდე. ამას გარდა, გათვალისწინებული ჰქონდა გილანში, რეშტში, მეზიდრონში და იქაურ მახლობელ ადგილებში შეეგროვებია ორასამდე კაცი. ამის შემდეგ ასლანოვს განზრახვა ჰქონდა გამგზავრებულიყო საქართველოში და იქაც შეეგროვებია პოლკისათვის ვარგისი პირები.

სამხედრო კოლეგია დათანხმდა ასლანოვის წინადადებას და საკითხი აღძრა საგარეო საქმეთა კოლეგიაში. უკანასკნელმა შესაძლებლად სცნო, ასლანოვს ხალხი შეეგროვებია მხოლოდ შუა რუსეთში. რაც შეეხება საზღვარგარეთ, კასპიის ზღვის მახლობლად მდებარე და ყიზლარის ციხის იქით, აგრეთვე საქართველოში გამგზავრებაზ. ამაზე საგარეო საქმეთა კოლეგიამ ეხლაც იგივე აზრი გამოთქვა, რაც თომა ბარათაშვილის ანალოგიური თხოვნის შესახებ ჰქონდა ნათქვამი 1756 წ. აგვისტოში. შეუძლებლად იქნა ცნობილი აგრეთვე ჰუსართა პოლკებისათვის ხალხის შეგროვება სპარსეთშიც. ყოველივე ამის გამო სამხედრო კოლეგიამ ნება დართო კაპიტან ასლანოვს ხალხის შეგროვება ეწარმოებია მხოლოდ პეტერბურგში, მოსკოვში, ასტრახანში, ყიზლარში და მის მახლობელ გუბერნიებში, აგრეთვე კიევში, ნეჟინში, გლუხოვში და სხვა ქალაქებში, გარდა ბახმუტისა, რომლის მახლობლად დასახელებული იყო სლავურ-სერბული მოსახლეობა. ამ საქმისათვის ერთი წლით გაანთავისუფლეს ასლანოვი ესკადრონიდან. ასლანოვმა დაიწყო ხალხის შეგროვება, მაგრამ მის მიერ შეგროვებულ ხალხთა შორის ბლომად აღმოჩნდა ჰუსართა პოლკებისათვის უვარგისი პირები, რისთვისაც მას მალე (1758 წ. 18 აგვისტოს) აუკრძალეს დაწყებული საქმის გაგრძელება.

ამრიგად, ვერც ახლა მოხერხდა ქართული ჰუსართა პოლკისათვის ხალხის შეგროვება და, როგორც აღვნიშნეთ, მომავალშიაც ამ მიმართულებით პერსპექტივები არ ჩანდა. ამის გამო ქართული ჰუსართა პოლკი ათი ასეულიდან ისევ ოთხ ასეულამდე იქნა ჩა-

მოყვანილი, თუმცა სხვა ეროვნების ხალხი ახლაც ბლომად იქნა დატოვებული.

1763 წ. 10 მაისს ქართული და უნგრული ჰუსართა პოლკები შევსებული იქნენ ახლად რეორგანიზებული ყვითელი ჰუსართა პოლკიდან (დაარსდა 1760 წ. დეკემბერში).

ქართულმა ჰუსართა პოლკმა დამოუკიდებელი სახე შეინარჩუნა 1769 წლამდე.

აღნიშნული წლის 3 ოქტომბერს ქართული ჰუსართა პოლკი შეუერთდა მოსკოვის ლეგიონს. 1775 წ. 22 თებერვალს მოსკოვისა და პეტერბურგის ლეგიონებიდან ჩამოყალიბდა ბელორუსიის პოლკი, რომელიც 1796 წლიდან ცნობილია ვორონეჟის პოლკის სახელწოდებით [1].

IX

1741 წელს სამხედრო კოლეგიამ მიიღო დადგენილება, რათა ჰუსართა პოლკები ერთიან ფორმაში ყოლოდა. ამიტომ იმავე წელს გენერალ-მაიორმა კინდერმანმა აცნობა ქართული ჰუსართა პოლკის პოდპოლკოვნიკ ქაიხოსრო გურიელს, რომ პოლკს ნაციონალური ფორმის ნაცვლად ხმარებაში შემოეღო ჰუსართა პოლკისათვის დაკანონებული ფორმა. ამასთან ერთად კინდერმანი მოითხოვდა, რომ სასწრაფოდ ეცნობებიათ მისთვის, თუ რამდენი მუნდირი, თოფი და ამუნიცია იქნებოდა საჭირო.

ქართული ჰუსართა პოლკის შემადგენლობა, რომელიც შეზრდილიყო ნაციონალურ ფორმას, კმაყოფილებით ვერ შეხვდა ამ მოთხოვნას. ამიტომ აღნიშნული პოლკის მეთაურები შეეცადნენ, რომ ქართული ჰუსართა პოლკი ისევ ნაციონალურ ფორმაში დარჩენილიყო. ამ მიზნით 1741 წ. 30 დეკემბერს ქართული პოლკის მაიორმა ელისე ამილახვარმა და კაპიტანმა პაპუნა ციციშვილმა (1698—1742) სახელმწიფო სამხედრო კოლეგიას მიმართეს თხოვნით. ამ თხოვნაში ისინი სწერდნენ, რომ თქვენმა განკარგულებამ ჩვენში გაკვირვება გამოიწვიაო, რატომაა ჩვენი მუნდირი გამოუსადეგარი და იმდენად უვარგისი, რომ შეუძლებელია მისი გამოყენებაო. თავიანთ თხოვნაში ავტორები ყოველნაირად ცდილობდნენ დაერწმუნებიათ სამხედრო კოლეგია ქართული ფორმის სხვა ფორმებზე უპირატესობის შესახებ. ამილახვარი და ციციშვილი სწერდნენ, რომ ჩვენი მუნდირი და ამუნიცია უძველეს დროიდან, ალექ-

[1] Хроника Российской императорской армии, ч. V, Спб., 1852, стр. 112.

სანდრე მაკედონელის მიერ არის შემოღებული იმ სახით, როგორიც ჩვენს დრომდის არსებობსო. ისინი იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ქართველი ხალხი მტერთან წარმოებულ ბრძოლებში ამ ფორმით ხალისიანად და მარჯვედ იბრძოდნენ, უცხო მუნდირებში კი ყოველივე ამას მოკლებული იქნებიანო. ამას გარდა სამხედრო კოლეგიას იმასაც აგონებდნენ, რომ რადგანაც საქართველოს სამეფო იწერება მისი უმაღლესობის იმპერატორის ტიტულში და ასევე იწოდება რუსეთის იმპერიაში ქართული პოლკიც, ამიტომ უფრო მიზანშეწონილია, რომ ქართული ჰუსართა პოლკი თავიანთ ნაციონალურ ფორმაში იმყოფებოდესო. როდესაც ქართული პოლკი ჩამოყალიბდაო, სწერდნენ ამილახვარი და ციციშვილი, იმ დროს სენატის მიერ განკარგულება იყო, რომ ჩვენ უსათუოდ ჩვენს მუნდირსა და ამუნიციაში ვყოფილიყავით ყოველთვისო. ყოველივე ზემოთქმულის გამო, მაიორი ე. ამილახვარი და კაპიტანი პ. ციციშვილი მოითხოვდნენ საკითხი ხელახლა დასმულიყო სამხედრო კოლეგიის წინაშე და სთხოვდნენ: ქართული პოლკის გაზრდისათვის და მტერთა წინააღმდეგ მამაცური მოქმედების შენარჩუნების მიზნით (რის შესახებაც წარმოდგენილი იყო მოხსენება სამხედრო კოლეგიაში მიმდინარე 1741 წ. 14 მაისს)[1], ნება დაგვერთოს ძველებურად დავრჩეთ ქართულ მუნდირსა და ამუნიციაში ყოველგვარი ცვლილების შეტანის გარეშეო. დასასრულ, აღნიშნული პირები სწერდნენ, რომ ამ ჩვენს თხოვნაზე გამოტანილ იქნეს მოწყალებრივი გადაწყვეტილებაო[2].

ამ დროს რუსეთი ომს აწარმოებდა შვედებთან, ამ ომში ქართული პოლკიც იღებდა მონაწილეობას. ამიტომ სამხედრო კოლეგიის მიერ ამ საკითხს მსვლელობა არ ჰიცემია. შვედებთან ომის დამთავრების შემდეგ კი, როდესაც ქართული პოლკი მშვიდობიან ცხოვრებაზე გადავიდა, სამხედრო კოლეგიამ განიხილა ამილახვარისა და ციციშვილის თხოვნა და 1743 წ. 31 მაისს დაადგინა, რომ აღნიშნულ პოლკში, როგორც მუნდირი ისე ამუნიცია ყოველგვარ უგულებელყოფის გარეშე შემოღებული ყოფილიყო ჰუსართა პოლკებისათვის დამტკიცებული ფორმის ნიხედვით. ამავე დროს პოლკის მოსამსახურენი რომ წესიერად ყოფილიყვნენ ჩაცმულ-დახურულნი, ნაწილში უნდა დაწესებულიყო მკაცრი მეთვალყურეობა.

---

[1] მხედველობაში უნდა ჰქონდეთ ფელდმარშალ მინიხის მოხსენება (აქვე, გვ. 68). თუ ეს ასეა, მაშინ თარიღებში შეცდომაა: მინიხმა აღნიშნული მოხსენება წარადგინა 1740 წ. 17 თებერვალს (ЦГВИА, ანაწ. 2/109, წიგნი 1, ფ. 534).

[2] ЦГВИА, ფონდი 10, შეკ.1, საქ. № 24, ფ. 596.

ამის შემდეგ ქართულ ჰუსართა პოლკში დაწესდა ჰუსართა ფორმა.

ჰუსართა პოლკებში ერთიანი ფორმა იყო შემოღებული, განსხვავებას მხოლოდ ფერები ქმნიდა.

ვისკოვატოვის ცნობით[1] ქართული ჰუსართა პოლკის განსაკუთრებული ფერი იყო შემდეგი:

მენტიკი (კურტაკი): ყვითელი, ბეწვშემოვლებული, სპილენძის ღილებით, წითელი მაუდის გრეხილი ზონრითა და სირმით.

დულამი (ანუ დოლომანი): ყვითელი, სპილენძის ღილებით, წითელი მაუდის გრეხილი ზონრითა და სირმით.

შარვალი: წითელი, ყვითელი ზონრითა და სარტყლით.

კივერი (ქუდი): შავი, ზონარი და ქუდის ცა—წითელი.

ყელსახვევი: შავი.

ჩექმები: შავი, ზედ უძრავად დამაგრებული რკინის დეზებით.

ჭამარი: შავი, ყვითელი ბალთებით.

მოსასხამი: ცისფერი.

ხმალი: ფოლადის ან რკინის ტარით და რკინით მოჭედილი შავი ტყავის ქარქაშით.

ხმლის ჩამოსაკიდი: შავი ტყავისა, რგოლითა და ბალთით ქარქაშზე დამაგრებული, ქარქაშის ბოლო სპილენძისა.

ჩანთა: შავი ტყავისა, ყვითელი მაუდშემოკერილი, კიდეები შავი ზონრით შემოვლებული. შუაში—წითელი, ბრტყელი შალის ზონრით, გამოსახული იმპერატორის ვენზელით.

კარაბინი: რკინის ხიშტითა და შომპოლით, სპილენძის ჭორთულობით, შავი, ხამი ტყავის ღვედითა და საფარით.

პანტალერი, სავაზნე და საკიდი: სამივე შავი, ხამი ტყავისა.

ცხენოსან მწყობრში ყოფნისას ჰუსარებს უნდა ჰქონოდათ წყვილი დამბაჩა.

უმცროს ოფიცრებს, ე. ი. კვარტირმეისტრებსა და ვახმისტრებს ისეთივე ჩაცმულობა ჰქონდათ, როგორიც რიგით ჰუსარებს, ოღონდ მათ ტანსაცმელზე ბაუდის ზონარი შეცვლილი იყო ოქროს სირმით (საყელოს ბოლოებში ერთ რიგად, მკლავებზე—კვარტირმეისტრებს ერთ, ხოლო ვახმისტრებს ორ რიგად). ქუდის ზონრები ოქროს ფერი. ამას გარდა რიგითი ჰუსარებისათვის განკუთვნილი იარაღიდან და საამუნიციო ნივთებიდან უმცროს ოფიცრებს უნდა ჰქონოდათ: ხმალი, ჩანთა (დამბაჩის სავაზნის ნაცვლად) და წყვილი დამბაჩა.

---

[1] Висковатов, Историческое описание одежды и вооружения Российских войск, Спб., 1842, стр. 93—96.

ოფიცრებს – შენტიკი ბეწვშემოვლებული ნაცრისფერი კარაკულით. დულამი, შარვალი, ქამარი, ქუდი და ჩანთა ისეთივე ფერის, როგორიც ჰქონდათ რიგით ჰუსარებს, ხოლო ზონრები და სირმები მაუდის ნაცვლად ოქროსი იყო. ჩექმები: ყვითელი, მოოქრული სპილენძის დეზებით.

ოფიცრების შეიარაღებას შეადგენდა აგრეთვე ხმალი, სპილენძის მოოქრული ტარით და ასეთივე მორთული ქარქაშით. ცხენოსან რიგში ყოფნისას უნდა ჰქონოდათ წყვილი დამბაჩა.

ამ სახის მუნდირი და ამუნიცია არსებობდა ქართულ ჰუსართა პოლკში დავ. გურამიშვილის დროს[1], ე. ი. 1761 წლამდე. შემდეგ ფორმებში თანდათან შეჰქონდათ ცვლილებები.

დამახასიათებელი ნიშანი იმდროინდელი ჰუსარებისა ისიც იყო, რომ ისინი ატარებდნენ პარიკებს: გრძელ ულვაშებსა და გვერდებზე თითო ნაწნავ თმას.

არ შენახულა ცნობები ცხენების მოკაზმულობისა და დროშის შესახებ.

X

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ დავ. გურამიშვილს დიდხანს არ დასცალდა მშვიდობიანი ცხოვრება. მალე ის რუსეთ-შვეციის ომში გაიწვიეს.

შვეციას უნდოდა ხელთ ჩაეგდო ბალტიისპირეთის ის ნაწილი, რომელიც რუსეთს ეპირა, უკიდურეს შემთხვევაში კი კმაყოფილდებოდა მხოლოდ 1700 წლამდე არსებული რუსეთ-შვეციის საზღვრების აღდგენით.

მუდმივმა ომიანობამ, მოსახლეობაზე უმძიმესი გადასახადების გაწერამ და სასახლის გადატრიალებებმა, რუსეთის მდგომარეობა ამ დროს ძალზე გაართულეს. ამ გარემოებით ისარგებლა შვეციამ და 1741 წ. რუსეთის წინააღმდეგ დაიწყო ომი.

1741 წ. ივლისში რუსეთის არმიამ თავის მოყრა დაიწყო ვიბორგთან. 13 აგვისტოს გამოცხადდა მანიფესტი ომის დაწყების შესახებ. მთავარსარდლად დანიშნულ იქნა გენერალ-ფელდმარშალი გრაფი პეტრე პეტრეს ძე ლასი (1678—1751).

შვედებთან ომში მონაწილეობის მისაღებად გაიწვიეს ქართველი ჰუსარები და მათ შორის დავით გურამიშვილიც. ქართული ჰუსართა ჰოლკი, რომელიც 279 ჰუსარისაგან შედგებოდა, უკრაი-

[1] ლექსში „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და პჭობა, ერთმანერთის ძვირის ხსენებაში“ კაცი, იგივე ავტორი, საწუთროს ეუბნება:

მაკვეხებ ფერად საცმელთა, ოქროსა, ვერცხლის ღილებსა,
აწ დაგდგომია თვალები, შეუპამია მღილებსა.

ავტორს აქ მხედველობაში აქვს ქართული ჰუსართა პოლკის ფორმა, რომელსაც ატარებდა დავ. გურამიშვილი სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს (შდრ. თ. ყორდანია, დავით გურამიშვილი და მისი დრო, „იერია“ 1882, № 2, გვ. 5).

ნიდან დაიძრა 1741 წლის 24 აპრილს, ბრიგადირ სტოიანოვის მეთაურობით. პირველად პოლკი შეჩერდა მცენსკში (რაიონული ცენტრი, ორიოლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 50 კმ დაშორებული) და ელოდა განკარგულებას გამგზავრების შესახებ. უკანასკნელის მიღების შემდეგ ქართული ჰუსართა პოლკი წავიდა მოსკოვში.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, 1741 წ. ქართველ ჰუსარებს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ისინი მხოლოდ ფორპოსტებსა და სხვადასხვა სამხედრო ობიექტებს იცავდნენ. არსებობს დოკუმენტი, რომლიდანაც ირკვევა, რომ 1741 წლის დეკემბერში ქართველი ჰუსარები და, მათ შორის დავ. გურამიშვილიც, იცავდნენ ოლონეცის ქარხანას [1].

1741 წ. განმავლობაში ღირსშესანიშნავი სამხედრო კამპანია არ წარმოებულა, გარდა იმისა, რომ რუსებმა იერიშით აიღეს, 23 აგვისტოს საღამოს 7 საათზე, ძლიერი ციხე-სიმაგრე ვილმანსტრანტი და გაანადგურეს კაპიტან ბრანდის რაზმი, რომელიც 270 მეომრისაგან შედგებოდა. ამ ოპერაციების შემდეგ რუსეთსა და შვეციას შორის დაიდო დროებითი ზავი და დაიწყო მოლაპარაკება. მაგრამ ეს მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. 1742 წ. 28 თებერვლიდან განახლდა ომი.

რუსეთის არმიას პირველ მარტს უნდა დაეწყო საომარი მოქმედება, მაგრამ ცუდი ამინდების გამო მოქმედებდა მხოლოდ ცალკეული რაზმები და მათ შორის ქართული ჰუსართა პოლკიც. მაგ., 16 მარტს ქართველ ჰუსარებს მონაწილეობა მიუღიათ ტოგმოზერის კამპანიაში, სადაც დიდი ბრძოლის შემდეგ დაუკავებიათ 96 სოფელი, თანაც დიდძალი ტყვე და ნადავლი ჩაუგდიათ ხელთ. სხვა ჰუსარებთან ერთად, საფიქრებელია, ქართველებსაც მიეღოთ მონაწილეობა სოფ. ურპალიდან 20 კმ მოშორებით წარმოებულ კამპანიაში, სადაც მოწინააღმდეგის 11 სოფელი იქნა აღებული [2], აგრეთვე ვიბორგიდან ვედერლაკამდე არსებული ადგილების დაპყრობაში, სოფ. ლიტტილის მიდამოებთან წარმოებულ ბრძოლებში და სხვ.

სიცივეების გამო რუსებმა ბრძოლა დაიწყეს მხოლოდ ივნისის დასაწყისში. 11 ივნისიდან 21 ივნისამდე რუსეთის არმიამ მიაღწია კიპინს და გაეშურა ფრიდრიხსჰამისაკენ. სამხედრო ბანაკი

---

[1] გ. ლეონიძე, დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან, „ლიტერატურული გაზეთი", 1954, № 34.

[2] ЦГВИА, ფონდი 20, ანაწ. 1/47, შეკ. 28, ფ. 15, Примечании к Санктпетербургским Ведомостям, 1742, ч. 30 по 32, стр. 126.

ჯერ იდგა რავიოკში, ხოლო 24 ივნისს ჰუსართა და დრაგუნის პოლკები და ცხენოსანთა გრენადერი დაბანაკდნენ იარვინკულში, 25 ივნისს კი ლასის არმია მენდოლახში იყო.

შვედებმა გაიგეს, რომ ფრიდრიხსჰამისაკენ რუსეთის დიდძალი არმია მიიწევდა. ამ ცნობამ მათ შორის გამოიწვია შეშფოთება. ამიტომ შვეციის სარდლობამ მოიწვია სამხედრო თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ: დაეცვათ საგანგებოდ გამაგრებული ფრიდრიხსჰამი თუ უომრად დაეტოვებიათ ის. გადაწყდა ქალაქის უომრად დატოვება. 28 ივნისს შვედებმა დატოვეს ფრიდრიხსჰამი. ქალაქში დარჩა მხოლოდ გენერალ-მაიორი ბოსკეტი და 500 ფინელი ჯარისკაცი, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ქალაქის ევაკუაცია.

26 ივნისს რუსეთის არმია მიადგა ფრიდრიხსჰამს და დაიწყო სამარი მზადება. ბოსკეტის სამხედრო ნაწილები კი შეუდგნენ ციხე-სიმაგრისა და მაღაზიების დაწვას. ლასის ეგონა, რომ შვედები მხოლოდ ქალაქის მისადგომებს სწვავდნენ. ვერ წარმოედგინა, რომ მოწინააღმდეგე ასე ძლიერად გამაგრებულ ქალაქს უომრად დატოვებდა. მთავარსარდალმა გაგზავნა ჰუსართა რაზმები მზვერავებად, რომელთა საშუალებით გაიგო, რომ ფრიდრიხსჰამი დატოვებული იყო და იწვოდა ქალაქი. ისეთი სისწრაფით მოხდა შვედების მიერ ფრიდრიხსჰამის სამხედრო ევაკუაცია, რომ ესტერბოტნის პოლკს დროშის წაღებაც კი დაავიწყდა[1]. ამრიგად, რუსებმა ეს ქალაქი უომრად დაიკავეს.

ფრიდრიხსჰამიდან შვედები წავიდნენ ჰელსინგფორსის გზით მდ. კიმისის მიმართულებით, რომლებსაც დაედევნენ დონის კაზაკები, ჰუსარები და იგდეს ხელთ ბევრი ტყვე.

29 ივნისს გენერალ-მაიორი ბოსკეტი შეუერთდა ფინეთის სამხედრო ნაწილებს და გამაგრდა კიუმენეგორდში, საიდანაც დაბრკოლებებს უქმნიდა რუსეთის არმიას მდ. კიუმენზე გადასასვლელად[2]. 30 ივნისს რუსეთის არმიამ დაიკავა ბორდო.

2 ივლისს ლასიმ მიიღო ბრძანებულება ომის დამთავრების შესახებ. მას უნდა აეძულა შვედები გადასულიყვნენ მდ. კიუმენის გაღმა და ეს მდინარე გაეხადა საზღვრად. საკითხის შესახებ ლასიმ მოიწვია სამხედრო თათბირი, რომელზედაც გადაწყდა, რომ

---

[1] Шилевской Н., Описание войны между Россиею и Швециею в Финляндии в. 1741—1743 годах, Спб., 1859, стр. 138—140.

[2] იქვე, გვ. 151—152.

ბრძოლა დამთავრებულიყო ჰელსინგფორსის დაკავების შემდეგ[1]. 10 ივლისს ლასიმ გაგზავნა ჰუსართა რაზმი თავად კანტენირის მეთაურობით აბერ-ფორსს, სადაც მათ მოუხდათ ბრძოლა შვედებთან. დამარცხებულმა შვედებმა უკან დაიხიეს ჰელსინგფორსის მიმართულებით, მათ დაედევნენ ჰუსარები და კაზაკები. ივლისის შუა რიცხვებში რუსეთის არმიამ დაიკავა სტაფანსბი. 24 ივლისამდე ლასის არმია იდგა პერნოში და სარვო-ლაკში. 5 აგვისტოს რუსეთის არმია დაბანაკდა ჰელსინგფორსის მიმართულებით ვეკოსკში, 6 აგვისტოს დილით კი განაგრძეს წინსვლა. 12 კილომეტრის გავლის შემდეგ დაბანაკდნენ სიბოში. აქ გაიგეს, რომ შვედების არმია იდგა ჰელსინგფორსიდან 7 კილომეტრის დაშორებით. 7 აგვისტოს ლასიმ უომრად დაიკავა ნეიშლოტი. 8 აგვისტოს რუსეთის არმიამ წინ წაიწია 7½ კილომეტრით და ბანაკად გაჩერდა ბორგოში. აქედან ლასიმ მტრის ბანაკის დასაზვერავად წაიყვანა გენერალი კეიტი და გრაფი ლევენდალი ჰუსარებით, კაზაკებით და ცხენოსანთა გრენადერის ორი ასეულით. მივიდნენ მტრის ფორპოსტებზე, დიდი ბრძოლის შემდეგ მტერი აქაც დამარცხებულ იქნა. უკუქცეული შვედების სამხედრო ნაწილებს თან სდევდნენ ჰუსარები და კაზაკები. 9 აგვისტოს ლასიმ გაგზავნა ჰუსართა ჯგუფი მტრის ფორპოსტების საიებრად[2].

11 აგვისტოს, როდესაც რუსები ჰელსინგფორსისკენ მიიწევდნენ, ბანაკში გაჩნდა ფინელი გლესი, რომლისგანაც გაიგეს, რომ მოწინააღმდეგე ემზადებოდა აბოში წასასვლელად. იმავე ფინელი გლეხისაგან მთავარსარდალმა გაიგო, რომ ტყეში გაყვანილი ყოფილა გზა, რომელიც გაუკეთებია პეტრე პირველს შვეციის წინააღმდეგ წარმოებული ომის დროს. ეს გზა უერთდებოდა ტყის მეორე მხარეს მიმავალ დიდ გზას, რომელიც ჰელსინგფორსიდან აბოს მიდიოდა და რომლითაც შეიძლებოდა შვედებისათვის გზის გადაჭრა. საამისოდ საჭირო იყო აღნიშნული გზის მხოლოდ ბუჩქნარებისაგან გაწმენდა.

ამ ცნობის შესამოწმებლად გაგზავნეს ორი ინჟენერ-ოფიცერი. ცნობა დადასტურდა. იმ დღესვე გაწმინდეს და დაიკავეს

---

[1] Шпилевской Н., Описание войны.... გვ. 155. რუსეთ-შვეციის ომის შესახებ ძირითადად გამოყენებული გვაქვს შპილევსკოის აღნიშნული ნაშრომი, რომელიც საყურადღებოა იმითაც, რომ შიგ დაბეჭდილია დოკუმენტებიც. ამას გარდა ცნობები ამოვკრიბეთ 1741—1743 წლების ჟურნალ „Санктпетербургския Ведомости“-დან და „Примечании к Санктпетербургским Ведомостям“, აგრეთვე ШГВИА-ს დოკუმენტებიდან.

[2] იქვე, გვ. 201—202.



ქართული ჰუსართა პოლკის
ო ფ ი ც ე რ ი

აბოსაკენ მიმავალი აღნიშნული გზა. გამოჩნდნენ შვედებიც. გაუკვირდათ შექმნილი მდგომარეობა და ისევ ჰელსინგფორსში დაბრუნდნენ. მალე რუსებმა ზღვიდანაც მოუჭრეს შვედებს გზა[1]. 19 აგვისტოს მოწინააღმდეგის ყველა საკომუნიკაციო გზა გადაჭრილი აღმოჩნდა. ამის შემდეგ რუსეთის სარდლობამ წინადადებით მიმართა შვედების მთავარსარდალს ლევენჰაუპტს, რომ უკანასკნელს დაეყარა იარაღი. საკითხის შესახებ ლევენჰაუპტი, რომელზედაც ამბობდნენ: ძალა აქვს სამსონისებური, სიმამაცე—ჰერკულესისებური, ეშმაკობა—ულისევისა და სიბრძნე—სოლომონისაო, შეეკითხა შვეციის მეფეს სტოკჰოლმში. ცოტა ხნის შემდეგ სტოკჰოლმში გაიწვიეს ლევენჰაუპტიც. შვედების არმიის სარდლობა კი დაევალა გენერალ-მაიორ ბოსკეტს, რომელმაც 21 აგვისტოს აცნობა ლასის დაწყო მოლაპარაკება კაპიტულაციის შესახებ. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, 24 აგვისტოს, ჰელსინგფორსის მახლობლად, ლილეჰპლაკსში, ორივე მხრიდან დაიდო ხელშეკრულება, რის შემდეგ, 26 აგვისტოს, რუსეთის არმიამ დაიკავა ჰელსინგფორსი და ტავასტ-გუსტი, მოწინააღმდეგის უკანასკნელი გამაგრებული პუნქტი.

აღნიშნულ კამპანიებში მამაცურად იბრძოდა ქართული ჰუსართა პოლკი და მათ შორის დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც ფრიდრიხსჰამისა და ჰელსინგფორსის ბრძოლებში მონაწილეობის მიღებას ხაზგასმით აღნიშნავდა თავის ნაწერებში.

რუსეთ-შვეციის ომში გმირულად დაიღუპა ქართული ჰუსართა პოლკის კაპიტანი პაპუნა ციციშვილი (1698—1742).

ჰელსინგფორსის დაკავებით ძირითადად დამთავრდა რუსეთ-შვეციის ომი. ამის შემდეგ ხმელეთზე ბრძოლა თითქმის აღარ წარმოებულა. 1743 წელს ბრძოლები წარმოებდა მხოლოდ ზღვიდან და ისიც შეწყდა იმავე წლის აგვისტოში, მეომარ მხარეთა შორის საბოლოო ზავის დადების გამო.

ქართული ჰუსართა პოლკი ომის დამთავრებამდე იქნა დაბრუნებული.

როგორც აღვნიშნეთ, 1741 წ. ჩამოყალიბდა ქართული ჰუსართა ოთხი ასეული და შეიქმნა პოლკი. ამ პოლკში ბლომად იყვნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, რომლებიც არ იყვნენ

---

[1] Шилевской П., Описание войны, გვ. 216—217.

რუსეთ-შვეციის ომში მონაწილეობას იღებდა გენერალ-მაიორი გიორგი ბატონიშვილი.

სამხედრო დისციპლინას შეჩვეულნი, თანაც პოლკი არ იყო წესიერად ჩაცმულ-დახურული. ამას გარდა რუსები მომავალში აღარ მოელოდნენ შვედების მხრივ ხმელეთიდან ომის გაგრძელებას. ყოველივე ამის გამო დედოფლის 1742 წ., 13 სექტემბრის ბრძანებულებით, ქართული ჰუსართა პოლკი უკან იქნა დაბრუნებული. ამის შესახებ გენერალ-ფელდმარშალ გრაფ ფონ ლაუდონის მიერ პოლკოვნიკ ქაიხოსრო გურიელს გაეგზავნა ბრძანებულება, რათა უკანასკნელი გაძღოლოდა პოლკს მოსკოვში. ოქტომბრის ოცს გურიელმა გზიდან აცნობა სამხედრო კოლეგიას, რომ ის აბლო იმყოფებოდა მოსკოვთან და საჭირო იყო პოლკისათვის წინასწარ გამოძებნილიყო დროებითი ბინები. სამხედრო კოლეგიამ ამ საქმის სისრულეში მოყვანა დაავალა პოლიციმეისტერის კანცელარიას.

ქართული პოლკი მოსკოვში მივიდა 23 ოქტომბერს. 27 ოქტომბერს კი, თანახმად სამხედრო კოლეგიის მოთხოვნისა (25. X), გურიელმა წარადგინა ცნობები, რომლის მიხედვით ქართული ჰუსართა პოლკი მოსკოვში მისულა შემდეგი შემადგენლობით: პოლკოვნიკი 1, მაიორი 1, კაპიტანი 2, პორუჩიკი 5, პოლკის კვარტირმეისტერი 1, ადიუტანტი 1, კომისარი პრაპორშჩიკებიდან 1, პოლკის მეფურგონე 1, მღვდელი 1, პრაპორშჩიკი 2, პოლკის მწერალი 1, ვახმისტრი 7, კვარტირმეისტერი 4, კაპრალი 13, ასეულის მწერალი 2, პარიკმახერი 2, მედოლე 5, რიგითი ჰუსარი 176, დურგალი 3, სულ 229 კაცი.

მოსკოვში შეჩერების შემდეგ გურიელს უბრძანეს, რომ პოლკი წაეყვანა უკრაინაში და ბრძანებაც იქნა გაცემული გენერალ-კავალერი ლეონტიევის მიმართ, რომ უკანასკნელს ქართული ჰუსართა პოლკი დაებინავებია უკრაინაში, თავისი შეხედულების მიხედვით. ამასთან ერთად სამხედრო კოლეგია ავალებდა ლეონტიევს, რომ პოლკი გაეწვაფა და მოეყვანა წესიერ მდგომარეობაში [1].

ამის შემდეგ 15 წლის განმავლობაში ქართული ჰუსართა პოლკი მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდა. ამ ხნის მანძილზე ქართველებმა მიიღეს მამულები უკრაინაში და საბოლოოდ დამკვიდრდნენ იქ.

XI

1747 წელს ქართულ ჰუსართა პოლკში განთავისუფლდა პრაპორშჩიკის თანამდებობა. 1742 წლის 15 თებერვლიდან ძალაში შევიდა ელისაბედ დედოფლის ბრძანებულება, რომლის მიხედვით

[1] ЦГВИА, ფონდი 10, ანაწ. 109, საქ. № 2, ფ. 76—88

როგორც სამხედრო (სახმელეთო და საზღვაო), ისე სამოქალაქო სამსახურში დაწინაურება უნდა მომხდარიყო სტაჟისა და პირადი დამსახურების მიხედვით. ამ დროს ქართული ჰუსართა პოლკის ვახმისტრებიდან დავით გურამიშვილზე უფრო დამსახურებული არავინ იყო, აქედან პოლკის ოფიცრებმა წარდგინება მას მისცეს; წარდგინებაში აღნიშნულია, რომ დავ. გურამიშვილი თავის სურვილით შევიდა სამხედრო სამსახურში 1738 წ. 25 მარტს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხოთინისა და ოსტზეიხის ომებში. რომ დავით გურამიშვილი კეთილშობილი პიროვნებაა და ყოველმხრივ ღირსეული კანდიდატია პრაპორშჩიკის თანამდებობისათვის. დახასიათებას ხელს აწერს 20 სამხედრო მეთაური, მათ შორის— პოდპოლკოვნიკი გურიელი, მაიორი ელისე ამილახვარი, კაპიტნები: ზაალ ანდრონიკაშვილი, მეტი[1] შალიკაშვილი, იესე ციციშვილი და ავთანდილ ქობულაშვილი; პორუჩიკები: მაკარი და ერასტი ჯავახიშვილები, ტიტე კარგარეთელი და ნიკოლოზ მანველაშვილი: პრაპორშჩიკები: დიმიტრი და მირონ ფედოროვები, გიორგი მუსხელიშვილი, რევაზ ბარათაშვილი, მირველ თუმანიშვილი და ელისე ქობულაშვილი; ადიუტანტები: სიმონ ჯიქიძე, დავით ერისთავი და სხვ.

წარდგინება იწყება ასე: „1747 году, марта 5 дня, по указу ея императорского величества, мы нижеподписавшияся Грузинского гусарского полку штаб и обер-офицеры сим атестуем“ და სხვა.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ წარდგინება გაცემულია 1747 წლის 5 მარტს, საქმეს კი ერთი წლის შემდეგ მიცემია მსვლელობა, 1748 წლის მარტიდან. შეიძლება გვეფიქრა, რომ წარდგინებაში შეცდომით ეწეროს 1747 წელი, ნაცვლად 1748 წლისა, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლევა შემდეგი გარემოება: დავ. გურამიშვილის წარდგინებას სხვებთან ერთად ხელს აწერს პრაპორშჩიკი ელისე ქობულაშვილი. 1748 წლის მაისში დავ. გურამიშვილი წერს, რომ ელისე ქობულაშვილმა პორუჩიკობა მიიღო 1747 წელსო. მაშასადამე, ელისე ქობულაშვილს პორუჩიკობა მიუღია დავ. გურამიშვილის წარდგინების, 1747 წლის 5 მარტის შემდეგ. ამას გარდა, 1748 წლის იანვარში ქართული ჰუსართა პოლკის პრაპორშჩიკთა სიაში ელისე ქობულაშვილი დასახელებული არაა. ყოველივე ეს იმის დამადასტურებელია, რომ დავ. გურამიშვილის წარდგინება მართლადაც 1747 წლის 5 მარტიდან არის გაცემული, ხოლო სხვადა-

[1] დედანში: მეტრი.

სხვა მიზეზისა გამო, საქმეს, როგორც აღვნიშნეთ, ერთი წლის შემდეგ მიეცა მსვლელობა.

ამ დახასიათებას დავ. გურამიშვილმა დაურთო თავისი თხოვნა ელისაბედ დედოფლის სახელზე და 1748 წელს წარუდგინა ქართული ჰუსართა პოლკის კანცელარიას. თხოვნა რუსულად დაუწერია ასეულის მწერალს ივანე ანისიმოვს, ხოლო ხელმოწერილია ქართულად დავ. გურამიშვილის მიერ. წარდგინების ტექსტიც რუსულად არის დაწერილი, პირველი სამის (სიმონ ჯიქიძე, დიმიტრი და მირონ ფედოროვები) გარდა ხელმოწერილია ქართულად.

როგორც აღვნიშნეთ, დავ. გურამიშვილის თხოვნა დაწერილია 1748 წლის მარტში. თვის რიცხვის ადგილი ცარიელია, თხოვნას კი აწერია „подана марта 1 дня 1748 года". ამ ცნობაში აშკარა შეცდომაა. 1 მარტს არ შეიძლება გადაცემულიყო დავ. გურამიშვილის თხოვნა. არ შეიძლება ის 18 მარტის შემდეგ წარდგენილიყო კანცელარიაში (ამ დღეს, ამ საქმის შესახებ, რუმიანცევის მიმართვაა დაწერილი სამხედრო კოლეგიის მიმართ), ამიტომ საფიქრებელია დამწერს 11 მარტის ნაცვლად შეცდომით 1 მარტი დაეწეროს [1].

დავით გურამიშვილის საქმეები გენერალ-ლეიტენანტმა და კავალერმა ფერმორმა გადაუგზავნა გენერალ-კავალერს გრაფა. რუმიანცევს, ხოლო უკანასკნელმა თავისი მიმართვის (№ 862) თანდართვით განსახილველად გადასცა სახელმწიფო სამხედრო კოლეგიას 1748 წლის 22 მარტს.

სახელმწიფო სამხედრო კოლეგიამ გამოითხოვა ცნობები ქართული ჰუსართა პოლკის შესახებ. თუმცა ცნობაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ვახმისტრებიდან დავით გურამიშვილზე უფროსი

---

[1] ასეთი ლაფსუსები სხვა შემთხვევაშიც მოიპოვება დოკუმენტებში. ასე მაგ., მეორე თხოვნაში დავ. გურამიშვილი წერს, სამხედრო სამსახურში შევედი 1738 წლის 28 მარტსო, ნამდვილად, როგორც ეს დამტკიცებულია სხვა დოკუმენტებით, 25 მარტს შევიდა. შემდეგ: სამხედრო კოლეგიაში წარდგენილ ცნობაში აღნიშნულია, რომ 1746 წ. 21 მაისს ქართულ ჰუსართა პოლკში რიგითი ჰუსარად ირიცხებოდა 184 კაცი, პოლკი შედგებოდა ოთხი ასეულისაგან და თითოეულში ირიცხებოდა არა ნაკლები 66 კაცისა. თუ ასეულში 66 კაცი იყო, მაშინ ჰუსართა რიცხვი 264 იქნებოდა, ხოლო თუ ჰუსარების რიცხვი 184 იყო, მაშინ ასეულში 46 კაცი იქნებოდაო.

დავ. გურამიშვილის ქართულ ჰუსართა პოლკში მოღვაწეობისა და განთავისუფლების შესახებ დოკუმენტები დაცულია სახელმწიფო სამხედრო ცენტრალურ ისტორიულ არქივში; ეს დოკუმენტები დაბეჭდილია აქვე, ამიტომ მათზე მითითებას აღარ ვაკეთებთ.

არავინ არიის, მაგრამ სახელმწიფო სამხედრო კოლეგიას მაინც დაუდგენია 1748 წლის 28 მარტს, რომ საქმე შეჩერებულიყო.

რა მოსაზრებით გამოიტანა სამხედრო კოლეგიამ ასეთი დადგენილება, საქმეებიდან არ ჩანს. მართალია, ჯერ კიდევ ორი წლის წინათ (1746 წ.) დაისვა საკითხი, რომ ქართული პოლკი ოთხი ასეულიდან სამ ასეულამდე ყოფილიყო დაყვანილი, მაგრამ პოლკოვნიკ რაფიელ ყუზანოვის მოხსენების საფუძველზე პოლკში ისევ ოთხი ასეული დატოვეს. დავით გურამიშვილის საკითხი ამ საქმესთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ ახალი საშტატო განაწესით ქართულ ჰუსართა პოლკს ეკუთვნოდა ათი პრაპორშჩიკი. 1748 წლის იანვრის ტაბულის მიხედვით ქართულ პოლკში ნაჩვენებია ხუთი პრაპორშჩიკი: ანდრია ორბელიანი, რევაზ ბარათაშვილი, გიორგი (ეგორ) მუსხელიშვილი, დიმიტრი ფედოროვი და სერგო კვერკველიძე. ხუთი ადგილი კი თავისუფალი იყო, რადგანაც 1747 წ. ელისე ქობულაშვილი დანიშნეს პორუჩიკად, ხოლო ივანე ჩხეიძე პოლკის კვარტირმეისტრად. 1748 წლიდან მირველ თუმანიშვილი პორუჩიკია, მირონ ფედოროვი გარდაიცვალა, ანდრია ორბელიანი კი გამოძიების ქვეშ იმყოფებოდა მოლდაველთის პოლკში. ასე რომ, შტატის უქონლობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

სამხედრო კოლეგიას, ეტყობა, დავით გურამიშვილი ისე როგორც ანდრია ორბელიანი, საეჭვო პირად მიუჩნევია და კვლევა-ძიება დაუწყია. ამიტომაა დადგენილებაში ნათქვამი დავით გურამიშვილის საქმის შესახებ „დავუცადოთო“, ამიტომაც იყო დავით გურამიშვილის მეორე თხოვნა ორმოცი დღე უყურადღებოდ დატოვებული. ამ ხნის განმავლობაში, ალბათ, წარმოებდა კვლევა-ძიება, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელმოსაკიდი ვერაფერი იპოვეს.

სამხედრო კოლეგიის დადგენილებამ ცუდად იმოქმედა დავით გურამიშვილზე. მან ძალზე შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, მით უმეტეს, რომ წინა წლებში (1741—1743) ზოგი მასზე უმცროსი უფროს მეთაურთა შემადგენლობაში იყო აყვანილი, ის კი ახლაც უარით იქნა გასტუმრებული. გურამიშვილს აღშფოთებდა ის გარემოება, რომ იყო შემთხვევები, როდესაც თავისუფალ ადგილზე ქართულ პოლკში სხვა ნაწილებიდან გადმოყავდათ თანამდებობის პირები, მაშინ როდესაც დედოფლის ბრძანებულების თანახმად ასეთი მოქმედება აკრძალული იყო.

იმავე წლის 25 მაისს დავით გურამიშვილს მეორედ მიუმართავს თხოვნით ელისაბედ დედოფლისათვის. ეს თხოვნაც დაწერილია რუ-

სულ ენაზე პოლკის კვარტირმეისტრის ივანე პისარევის მიერ, ხოლო ქართულად ხელმოწერილია დავით გურამიშვილისაგან.

სამხედრო კოლეგიამ საქმე ხელახლა განიხილა 1748 წ. 5 ივლისს, მაგრამ როგორი დადგენილება გამოიტანა, ამის შესახებ საქმეებში ცნობა არაა დაცული. შემდეგი წლების დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დავით გურამიშვილისათვის პრაპორშჩიკის ჩინი მიუციათ 1748 წლის 11 ილისიდან. ამ ჩინს შერჩა დავ. გურამიშვილი 1755 წლის 25 დეკემბრამდე.

1750—1755 წლების ოფიციალურ დოკუმენტებში დავ. გურამიშვილზე არა ერთხელ არის აღნიშნული, რომ ის ღირსია ჩინის აღმატებისა, მაგრამ ჩვენი პოეტი, მიუხედავად დამსახურებისა, მაინც არ დაუწინაურებიათ, ასე მაგ., 1750 წ. აგვისტოს 27 გენერალ-კავალერმა ბუტურლინმა შეადგინა სამხედრო კოლეგიაში წარსადგენად ექსტრაქტი ქართული ჰუსართა ათასეულიანი პოლკის ვაკანტური ადგილების შესახებ, რომელთა კანდიდატებიც იქვე იყო დასახელებული. კანდიდატთა შორის მეოთხე ადგილას აღნიშნულია: დამსახურების მიხედვით მორიგ ჩინზე წარდგენა ეკუთვნის დიმიტრ ფედოროვს, მაგრამ უარი ეთქვა „за неумением грамотой“ და, ამას გარდა, სამართალშიც იყო მიცემული. იმის შემდეგ ჩინის აღმატება ეკუთვნის თავად დავით გურამიშვილს, რომელიც ნაწილიდანაც რეკომენდირებულიაო (от команды удостоен)[1]. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, დავითს მაინც არ მისცეს მორიგი ჩინი.

1752—1753 წწ. დავ. გურამიშვილი რამდენისჯერ წარუდგენიათ მორიგ ჩინზე, მაგრამ აჯერადაც სხვები დაუწინაურებიათ, ხოლო ჩვენი პოეტი ისევ ძველ ჩინზე დაუტოვებიათ. 1754 წ. გენერალ-ანშეფი და კავალერი გრაფი ალექსანდრე ივანეს ძე შუვალოვი ქართულ ჰუსართა პოლკში წარდგენილ ოფიცერთა თანამდებობის ვაკანტურ ადგილებზე დასახელებულ პირთა შესახებ სწერდა: დაწინაურება უნდა მიეცეს პრაპორშჩიკ ისაკ ანდრონიკაშვილს, თუმცა დამსახურების მიხედვით ღირსი არიან პრაპორშჩიკები ალექსანდრე კირიმოვი, თავადი დავით გურამიშვილი და სპირიდონ გოგიბედაშვილიო[2].

1755 წ. ივლისში დავ. გურამიშვილს აშკარად მისცეს აცილება მორიგი ჩინის მიღებაზე. მასზე და სპირიდონ გოგიბედაშვილ-

[1] ЦГВИА, ფონდი 10, შეკ. 16, საქ. № 30, ფ. 365.

[2] იქვე, შეკ. 20, საქ. № 17, ფ. 367.

ზე, ერთ დოკუმენტში, ამ საკითხზე ნათქვამია: „Обоидены, что они грамоте по российской не умеют“ [1], მაგრამ როგორც ჩანს, ასეთ დახასიათებას ხელი არ შეუშლია პოეტისათვის და იმავე წლის 25 დეკემბრიდან დავ. გურამიშვილს მაინც მიუღია კუთვნილი პოდპორუჩიკის ჩინი[2].

1757 წ. გარდაიცვალა პორუჩიკი განგებლოვი. ვაკანტურ თანამდებობაზე, უფროსობისა და დამსახურების გამო, რეკომენდაცია მისცეს დავით გურამიშვილს, მაგრამ საქმეს მსვლელობა არ მისცემია, რადგანაც გენერალ-ფელდმარშალი სტეფანე თედორეს ძე აპრაკსინი (1702—1758 წ.) სამსახურში არ იმყოფებოდა

---

[1] ЦГВИА, ფონდი 10, შკ. 20, საქ. № 17, ფ. 365.

[2] 1753 წ. 4 მარტს დავ. გურამიშვილს გარდაეცვალა უფროსი ძმა ქრისტეფორე გურამიშვილი, ქართული სტამბის საქმეების დიდი მცოდნე და მესვეური უკანასკნელ დროს ის იყო „ოსეთში ქრისტიანობის აღმდგენელი კომისიის“ წევრი და მოღვაწეობდა ჩრდილო კავკასიაში.

1756 წლის მარტში დავ. გურამიშვილმა თხოვნით მიმართა ელისაბედ დედოფალს, რომ მისი ძმის ქრისტეფორეს კუთვნილი ნივთები, რომლებიც დაცული იყო „ოსეთის კომისიის“ თავმჯდომარის არქიმანდრიტ პახომისთან მიეცემოდა მას, როგორც გარდაცვალებულის ერთადერთ უახლოეს მემკვიდრეს. ეს თხოვნა პეტერბურგში წაუღია ქართული ჰუსართა პოლკის ვახმისტრს გიორგი კახაბერიძეს.

დავ. გურამიშვილის თხოვნა სინოდმა დააკმაყოფილა, რის შესახებაც სათანადო ბრძანებულებანი გაიგზავნა არქიმანდრიტ პახომისთან და ასტრახანის სასულიერო კონსისტორიაში. მაგრამ მიიღო თუ არა დავითმა თავისი ძმის კუთვნილი ნივთები, საქმეებიდან არ ჩანს. აღნიშნულ დოკუმენტებში უკანასკნელი ცნობა შეიცავს მხოლოდ იმას, რომ სინოდის ბრძანებულებები არქიმანდრიტ პახომისადმი და ასტრახანის კონსისტორიისადმი გადასაგზავნად მიუღია ზემოთ აღნიშნულ გიორგი კახაბერიძეს.

[3] 1748—1757 წწ. დავ. გურამიშვილს ხელი მოუწერია ქართული ჰუსართა პოლკის მოსამსახურეთა მორიგი ჩინის წარდგინებაზე და ცნობებზე. 1748 წ. მარტში—ვახმისტრ მათე ქობულაშვილის პრაპორშჩიკის ჩინის მიცემის წარდგინებაზე. ამავე წლის 13 ივლისს—ელისე დავითის ძე ჯანდიერიშვილის ცნობაზე, რომ იგი ეროვნებით ქართველია, კახელი და სიყრმიდანვე იმყოფებოდა საქართველოში. მოსკოვში ცხოვრობს თავის ძმასთან, ბერ-მონაზონ ეფრემთან. 1750 წ. 2 იანვარს—ვახმისტრ სიმონ ივანოვის მორიგი ჩინის მიღების წარდგინებაზე. ამავე წლის 20 თებერვალს—ვახმისტრ გრიგოლ ჯაფარიძის, მარტში—კაპიტან ავთანდილი ქობულაშვილის, მაისში—ვახმისტრ სერგო ბარათაშვილის, ივნისში—პორუჩიკ ელისე ქობულაშვილის, 29 ივლისს—პორუჩიკ დავით ერისთავის წარდგინებაზე იმის შესახებ, რომ ავადმყოფობისა გამო დ. ერისთავი განთავისუფლდეს სამსახურიდანო. 15 ოქტომბერს—ზურაბ ბავრიშვილის მოწმობაზე, რომ უკანასკნელი ეროვნებით ქართველია, გრიგორიანი. 16 ოქტომბერს—ვახმისტრ სეორა იგნატოვის. 25 ოქტომბერს პორუჩიკ დავით ერისთავს ხელს უწერს მეორე წარდგინებაზე, რომ უკანასკნელი, როგორც მელანქოლიური ავადმყოფობით შეპყრობილი და სამხედრო სამსახურისათვის უვარგისი, განთავისუფლდეს სამსახურიდან.

ავადმყოფობის გამო. ამას ზედ დაერთო შემდეგი გარემოებაც: 1756 წელს დაიწყო ცნობილი შვიდწლიანი ომი რუსეთსა და პრუსიას შორის. ქართული პოლკი ემზადებოდა ომში მონაწილეობის მისაღებად. მართლაც, 1757 წელს იგი კიდეეაც გავიდა ბრძოლის ველზე. ბრძოლაში გაიწვიეს დავ. გურამიშვილიც, ყოველივე ამან შეაჩერა დავით გურამიშვილის პორუჩიკად დამტკიცებისა-ქმე.

XII

XVIII საუკ. პრუსია დამპყრობელ ომებს აწარმოებდა. მან ხელთ იგდო ავსტრიისა და პოლონეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი და საფრთხე შეუქმნა რუსეთის მფლობელობას ბალტიისპირეთში. ამ ნიადაგზე რუსეთსა და პრუსიას შორის დაიწყო ომი, რომელიც შვიდ წელს გაგრძელდა (1756—1762).

შვიდწლიან ომში მონაწილეობას იღებდა ქართული ჰუსართა პოლკი. უკანასკნელი უკრაინიდან დაიძრა ჩრდილოეთისაკენ 1756 წ. პირველ ნახევარში. პეტერბურგიდან 7 კმ გაველის შემდეგ. პოლკოვნიკი ამილახვრის თხოვნითა და სამხედრო კოლეგიის ბრძანებულებით, ქართული ჰუსართა პოლკი ბანაკად შეჩერდა კეგსკოლმის გზაზე, ოსინოვაიაროშჩაში. ეს ადგილი ამილახვარძა ვარგისად სცნო როგორც ცხენებისათვის კარგი საძოვარი, თანაც ამ დროს პოლკში იმყოფებოდა ახლად ჩარიცხული ხალხი, რომელთათვის საჭირო იყო ცხენების, მუნდირისა და სხვ. ამუნიციის შეძენა. რაც ამ ადგილებიდან უფრო მოსახერხებელი იყო პეტერბურგთან სიახლოვის გამო. ამ საქმის შესახებ სამხედრო კოლეგიამ 27 ივნისს საიდუმლო ბრძანებულებით აცნობა პეტერბურგში გენერალ-ფელდცეხმეისტერს პეტრე ივანეს ძე შუვალოვს (1710—1762). უკანასკნელმა ბრძანებულება მიიღო 29 ივნისს [1].

ნო. 1752 წ. ვახმისტრ ვასილ სემიონოვის—პრაპორშჩიკობაზე: ამავე წლის იანვარში—ადიუტანტ სერგო ივანეს ძე კვერკველიძის პორუჩიკის ჩინის. ბოლო თებერვალში კაპიტან იესე ციციშვილის სეკუნდ-მაიორის ჩინის მიღების წარდგინებებზე.

1755 წლის 20 მაისს—ვახმისტრ ელისე ჯანდიერიშვილის უფროსი ოფიცრის ჩინის წარდგინებაზე. ამ წარდგინებას დავ. გურამიშვილი ხელს აწერს რუსულად. მგონი ეს მისი პირველი ხელწერაა რუსულ ენაზე. 1757 წ. დეკემბერში ვახმისტრების იოთამ თულაშვილისა და პაპუნა ყორღანაშვილის მორიგი ჩინის აღმატების წარდგინებებზე (ცნობები ამოკრებილია ЦГВИА-ში დაცული დოკუმენტებიდან).

[1] ЦГВИА, ფონდი 101, ანაწ. 109, საქ. № 85, ფ. 489—490.



გენერალ-ლეიტენანტი პ. ა. რუმიანცევი
მესამე დივიზიის უფროსი შვიდწლიან ომში. ამ დივიზიაში
ირიცხებოდა დავით გურამიშვილი 1758 წ. ივნისიდან

ქართული პოლკი ზამთრის განმავლობაში იდგა ნარენბურგის მახლობლად, საიდანაც ის უნდა შეერთებოდა რუსეთის არმიის სხვა ნაწილებს. რუსეთის არმიის ნაწილები კი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გზით მიიწევდნენ წინ. 1757 წ. 17 მაისიდან 18 ივნისამდე მათ დაიკავეს იამიშკა, მიშკუტენი, შაული, ლიკოვო, კლავინი, გროდნო და ვილკომირი. უკანასკნელ ადგილას შეერთდნენ სამხედრო ნაწილები, გადავიდნენ მდ. ვილზე და ნემანზე, რის შემდეგ ჯერ კოვნოში და მერმე შადოვში დაბანაკდნენ. შემდეგ აიღეს ბენზაგოლი, კროკენა, რუდზიუნა და ოლიტა.

18 ივნისს რუსეთის არმიის მთავარსარდალი ფერმორი უკვე პრუსიის ტერიტორიაზე იყო შეჭრილი და ქ. მემელისაკენ მიიწევდა. 19 ივნისს რუსებმა დაიწყეს ქ. მემელზე შეტევა და იმავე თვის 25-ს კიდევაც დაიკავეს. მემელიდან გეზი აიღეს ტილზიტისაკენ. 26 ივნისს სამივე დივიზია გუმბინში იყო. 27 ივნისს მთავარსარდალს აცნობეს, რომ პრუსიელები პიჩკენის ტყეშია შეფარებულნი და თავდასასხმელად ემზადებიანო. მეორე დღეს გენერალ-ფელდმარშალმა ს. თ. აპრაკსინმა აღნიშნულ ადგილას გაგზავნა სამხედრო ნაწილი, რომელთა შორის, საფიქრებელია, იყო დავ. გურამიშვილიც. აპრაკსინის სამხედრო ნაწილს პიჩკინთან ბრძოლა მოუხდა პრუსიის ჰუსარებთან და დაამარცხეს ისინი.

30 ივლისს რუსეთის ჰუსარებსა და კაზაკებს ბრძოლა მოუხდათ სოფ. სტანეიშენთან. 31 რიცხვში კი უომრად დაიკავეს ინსტრერბურგი. 7 აგვისტოს ბრძოლა წარმოებდა ნარკიტინთან, საიდანაც დამარცხებულმა პრუსიელებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან. 7 აგვისტოს მოხდა შვიდწლიან ომში მონაწილე რუსეთის არმიის ახალი ქვეგანაყოფების ჩამოყალიბება. ქართული ჰუსართა პოლკი მოხვდა მეორე დივიზიაში, რომელსაც მეთაურობდა გენერალი ლოპუხინი. 15 და 16 აგვისტოს მეორე და მესამე დივიზია გადავიდა მდ. პრეგელის მარცხენა ნაპირზე. 19 აგვისტოს მიადგა გროს-ეგერსდორფს, სადაც დილის 4 საათიდან დაიწყო ბრძოლა, რომელმაც დაღამებამდე გასტანა. ორივე მხარე სასტიკ ბრძოლას ეწეოდა. არც ერთი არ სთმობდა. პრუსიის არმიის დიდძალი ნაწილი თავს დაესხა რუსეთის არმიას ჯერ მარცხენა ფრთაზე, შემდეგ კი მარჯვენაზედაც. მოწინააღმდეგე რიცხობრივად ჭარბობდა რუსეთის არმიას, ამას გარდა ის თანდათან ივსებოდა ახალ-ახალი ძალებით და საომარი იარაღებით. მდგომარეობა ძალზე გაძაბული შეიქნა, მაგრამ მალე შეიცვალა: პრუსიელებმა შეამჩ-

ნიეს რუსეთის არმიის მარცხენა ფრთაზე სამხედრო ნაწილების სიმცირე და ზოგ ადგილას სიცარიელეც. ამის გამო მთავარი იერიში მათ ამ მხარეზე მიიტანეს, მაგრამ მოტყუვდნენ. მოულოდნელად რუსეთის სამხედრო ნაწილები თავს დაესხა მეორე მხრიდან. სასტიკი ბრძოლის შემდეგ პრუსიელები იძულებულ გახდნენ გაქცეულიყვნენ. ეს რომ ფრიდრიხის არმიის სხვა ნაწილებმა დაინახეს, ისინიც გაიქცნენ. ამის შემდეგ რუსეთის არმია თავისუფლად შევიდა გროს-ეგერსდორფში. ამ ბრძოლაში პრუსიელებმა დაკარგეს მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით 8000-ზე მეტი მეომარი და დიდძალი საომარი იარაღი. რუსეთის არმიიდან კი დაჭრილ-დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვი 1525-მდე აღწევდა. გროს-ეგერსდორფის ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ქართული ჰუსართა პოლკი და მათ შორის დავ. გურამიშვილიც, რომელსაც ამ ბრძოლაში მისი მონაწილეობა აღნიშნული აქვს თავის საქმიან ქაღალდებში.

22 აგვისტოს რუსეთის არმიამ 9 კმ წაიწია წინ და შევიდა სოფ. ეშენბრუქში. 15 კმ გავლის შემდეგ 23 აგვისტოს ბანაკად შეჩერდა მდ. ალთან. 26 რიცხვში კი ალლენბურგში იყო. პრუსიელებმა დაიხიეს კენიგსბერგისაკენ.

1758 წ. 3 იანვრამდე რუსეთის არმიის მიერ დაკავებული იქნა: ტილზიტი, რუშა და კუკერნეზენი. შემდეგ დაიძრნენ ქ. ლაბიოსაკენ, რომელიც აღებულ იქნა 9 იანვარს. 10 იანვარს დაიკავეს კეიმანი, ხოლო 11-ს—ქ. კენიგსბერგი. 20 იანვარს მტრის ნაწილების გასანადგურებლად, პოდპოლკოვნიკ ზორიჩის მეთაურობით, ქ. ელბინგის მიდამოებში გაიგზავნა 400 ჰუსარი. ელბინგიდან კი 240 ჰუსარი ბარიენვერდერში მაიორ ტეკელის მეთაურობით, რომლებმაც 30 იანვარს დაიკავეს ქალაქი. ამ კამპანიებში მონაწილეობას იღებდა დავ. გურამიშვილი.

აპრილის რიცხვებში სტოიანოვის ბრიგადამ დაიკავა ბიტოვა, სადაც 24 აპრილს კენიგსბერგიდან ჩავიდა კაპიტანი თავადი დადიანის[1] საველე არტილერია.

19 მაისს ქართული ჰუსართა და ჩუგუევის კაზაკთა პოლკები მარიერვერდიდან დაიძრნენ, გადავიდნენ ვდ. ვისლაზე და ბანაკად შეჩერდნენ მინსტერვალდესთან. 27 რიცხვში ბრიგადირ სტოიანოვის ნაწილი სტარგარდში შევიდა.

---

[1] ეს დადიანი უნდა იყოს ის პირი, რომელიც ყირიმის ომში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ამ დროს ის პოლკოვნიკი იყო.

ივნისში მოხდა რუსეთის არმიის ახალი დანაწილება. ქართული პოლკი ამჯერად მესამე დივიზიაში მოხვდა, რომლის მეთაურად დანიშნულ იქნა გენერალ-ლეიტენანტი პეტრე რუმიანცევი.

ივნისში და ივლისში დივიზია, რომელშიც დავით გურამიშვილი ირიცხებოდა, გადავიდა კონიცში, სადაც ცუდი ამინდების გამო დროებით შეჩერდა. შემდეგ გადავიდა რაცებურგში. 8 ივნისს ბრძოლა მოუხდა დაბა რიზენბურგთან, სადაც დაამარცხა მტრის ჰუსარები. ამის შემდეგ აიღეს დრიზენი, ფრიდებერგი, ვრონკი, ნორეცი, იანკოვიცა, ბიტენი, პნევა, შვერინი, ბანაკად შეჩერდა მეზერიჩში, შემდეგ დაიკავეს ლანდსბერგი, ზაგამარი, ზონენბურგი, კენიგსვალდი, დროსსენი, შტსონბერგი და სხვ.

18 ივლისს სტოიანოვის ბრიგადას ბრძოლა მოუხდა დაბა ლიბენაში, კროსენში და პარადისში. აი ის ადგილები, რომლებშიაც დავ. გურამიშვილი უნდა ყოფილიყო.

ივლისის ბოლო რიცხვებში სტოიანოვის ბრიგადა ბრძოლას აწარმოებდა რეპენისა და კუნერსდორფის მიმართულებით. ამ კამპანიაში შესაძლებელია სხვა ქართველ ჰუსარებთან ერთად დავ. გურამიშვილსაც მიეღო მონაწილეობა. არის ცნობა, რომ ქართული ჰუსართა პოლკის პორუჩიკს თავად ბარათაშვილს ამ ბრძოლებში შეუპყრია პრუსიის თეთრი ჰუსარის უმცროსი ოფიცერი, რომელიც კროსსენიდან იყო გამოგზავნილი რუსეთის არმიის დასაზვერავად. ამ ოფიცრისგან რუსეთის სარდლობამ დეტალურად გაიგო კროსსენში მტრის ძალების მდგომარეობა.

2 აგვისტოს ფერმორის ჯარი გროს-კამინთან იყო. ამ ქალაქის დაკავების შემდეგ მთავარსარდალი გაეშურა კისტრინისაკენ, რომელიც 12 კმ იყო დაშორებული გროს-კამინს. ფერმორმა დაათვალიერა კისტრინის მისადგომები და შეიმუშავა საბრძოლო გეგმა[1].

14 აგვისტოს ქართულმა პოლკმა მონაწილეობა მიიღო ცნობილ ცორნდორფის და კისტრინის სასტიკ ბრძოლებში[2]. ამ ოპერაციებში მონაწილეობდა დავით გურამიშვილი. უკანასკნელ ომს

---

[1] ცნობები შვიდწლიანი ომის შესახებ ამოკრებილია 1757—1758 წწ. „Санктпетербургские Ведомости"-დან.

[2] Хронологическии указатель военных действий русской армии и флота, т. 1, Спб., 1908, стр. 71—81.

ის თავის ლექსებშიც იხსენიებს. ერთი მათგანი ასეა დასათაურებული: „ოდეს დავით გურამის‘შვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ლიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღვთის-მშობლის შესხმა“[1], მეორე ლექსში კი წერს:

ორმოც-თვრამეტს ბრუსნან დაგვკრა, თავსა დაგვახვივა რეტი,
მე ჩემს ძმებსა დამაშორა, ლუწისაგან დავრჩი კენტი,
მაღდებურგის ციხეშიგან დამსვა ყარებ დანაკლეტი[2].

დღემდის მხოლოდ ამით ვიცოდით, რომ დავით გურამიშვილი ტყვედ ჩავარდნია პრუსიელებს. პოეტის სიტყვებს ადასტურებს ახლად აღმოჩენილი დოკუმენტებიც. დოკუმენტებიდან არ ჩანს, თუ სად იმყოფებოდა დავით გურამიშვილი ტყვედ. მისი ზემოთ მოყვანილი ლექსიდან კი ირკვევა, რომ პოეტი დაუმწყვდევიათ მაგდებურგის ციხეში (საქსონიაში მდ. ელბაზე).

კისტრინთან ბრძოლა მოხდა 1758 წ. აგვისტოში. 5 აგვისტოს დილით რუსეთის არმია პირველად მიადგა ციხე-სიმაგრეს. კისტრინი მაგარ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, რომელიც გამაგრებული იყო მძლავრი ბასტიონებით.

ფრანკფურტის დაკარგვის შემდეგ პრუსიის სარდლობა კისტრინში დაბანაკდა და საგანგებოდ შეუდგა ციხის გამაგრებას, სადაც თავმოყრილი იყო სხვადასხვა ქალაქებიდან გადმოზიდული დიდძალი სურსათ-სანოვაგე და სამხედრო იარაღები. ამ ციხიდან პრუსიის სამხედრო ნაწილები დიდ დაბრკოლებას უქმნიდა რუსეთის არმიის წინსვლას.


რუსეთის ჯარის სარდალმა ფერმორმა ყუმბარები დაუშინა ქალაქს და ცეცხლის ალში გახვია ის, მაგრამ იერიშით მისი აღება მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ ფერმორმა გადაჭრა საკომუნიკაციო გზები და ქალაქი ბლოკადაში მოაქცია. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, კისტრინის კომენდანტი მაინც არ ნებდებოდა, რადგანაც იცოდა, რომ პრუსიის მეფე ფრიდრიხი დიდძალი ჯარით მიიწევდა ქალაქისაკენ და დღითი-დღე მოელოდა შველას.

ბლოკადას ძირითადად იცავდა რუმიანცევის მესამე დივიზია, რომელმაც 6 აგვისტოს დაიკავა ყველა მისადგომი, რომლითაც ქა-

---

[1] დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, V. გამოცემა, ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1931, გვ. 148.

[2] იქვე, გვ. 143.



ОСАДА КРЕПОСТИ КЮСТРИН въ 1758 г.

А—город и крепость; I-III—ворота Ланген-дам, Курц-дам и Кицерския; IV—предмостн. укр-ние; Б и В—форштадт; V-VIII—времен. укр-ния для защиты форштадта Б; IX-X—отдел. укр-ния, возведенныя обороной после взятия форштадта; а, а—лагери, расположенные осади. к-са, прикрытого тремя б-реями; №№ 1-7—осади. б-реи.

ВЭЛ, т. XIV, 1914

ლაქის მარჯვენა მხარე დაკავშირებული იყო მარცხენასთან. რუმიანცევს ბრძანება ჰქონდა ფერმორისაგან, რომ გამაგრებულიყო პირიცთან და საჭიროებისდა მიხედვით დაეცვა ის. 12 აგვისტოს ფრიდრიხის არმიამ სწრაფად და სრული საიდუმლოებით დაიწყო გადასვლა მდ. ოდერის მეორე მხარეზე, შვეტსა და კისტრინს შუა, სადაც მას სრულებით არ ელოდნენ. ცნობის მიღებისთანავე ფერმორმა გაგზავნა მაშველი ჯარი გენერალ ხომუტოვის მეთაურობით, მაგრამ სანამ ხომუტოვი ადგილზე მივიდოდა, პრუსიის არმიის საკმაო ნაწილი უკვე გადასულიყო ოდერზე და დარჩენილი ნაწილიც სწრაფად გადადიოდა ზოგი ახლად აღდგენილი ხიდით და ზოგიც ნავებით, რომლებიც სასწრაფოდ იყო შეგროვებული მახლობელ სოფლებში.

მდგომარეობა სახიფათო შეიქნა რუსეთის არმიისათვის. ფრიდრიხს განზრახვა ჰქონდა მდ. ოდერზე გადასვლით გადაეჭრა გზა რუმიანცევის დივიზიისათვის და მოეწყვიტა ის არმიის მთავარი ნაწილისაგან. ამის შემდეგ იერიში უნდა მიეტანა ფერმორის არმიაზე. ყოველივე ამის გამო ფერმორმა სასწრაფოდ მოხსნა კისტრინს ბლოკადა და ჯარმა არტილერიისა და 2000 გრენადერის თანხლებით მშვიდობით გაიარა 4 კმ ტყიანი და მინდვრიანი ადგილები და დაბანაკდა მაღლობ ადგილზე ცორნდორფთან, რომელსაც, სამხედრო ტაქტიკის თვალსაზრისით, ყველაზე ხელსაყრელ ადგილად თვლიდა ფერმორი. აქვე შემოუერთდა რუსეთის არმიას მოკავშირეთა (ავსტრიის) გენერალ ბროუნისა და ლანდსბერგის ჯარის ნაწილები. ფრიდრიხმა მიზანს მიაღწია. რუმიანცევის დივიზიას გადაუჭრა საკომუნიკაციო გზები რუსეთის არმიის მთავარ ძალებთან. რუმიანცევმა სცადა გაერღვია რკალი და შეერთებოდა არმიის ძირითად ნაწილს, მაგრამ ვერ მოახერხა. 14 აგვისტოს, დილით, ფრიდრიხმა 60 ათასი მეომრით იერიში მიიტანა ფერმორის არმიის მთავარ ძალებზე ცორნდორფთან. დაიწყო ძლიერი სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც არ შეწყვეტილა საღამომდის. ფრიდრიხის მრავალრიცხოვანმა არმიამ შეტევა დაუწყო შედარებით მცირერიცხოვანი რუსეთის არმიას ჯერ მარცხენა ფრთიდან მარჯვნისაკენ, შემდეგ კი მთელ ფრონტზე და მძიმე ცეცხლის ქვეშ გაიჭრა გროსკამინისაკენ, მაგრამ მალე იძულებული გახდა თავი შეეფარებია ხევში სოფ. ცორნდორფის იქით. აღნიშნულ ადგილას მდგომმა რუსეთის არმიის ჰუსარებმა ძლიერი ცეცხლი დაუშინეს პრუსიელებს, მაგრამ უკანასკნელნი სასწრაფოდ შეიჭრნენ სოფელში და გაუგონარი სისასტიკით სროლა ასტეხეს ზარბა-

ზნებიდან, რაც საათნახევარს გაგრძელდა. რუსეთის არმიის ნაწილებიც უპასუხებდნენ პრუსიის საარტილერიო ცეცხლს. 11 საათიდან ზარბაზნების სროლა შესცვალა თოფებმა. რუსეთის არმიას შეეძლო პრუსიელების უკუქცევა, მაგრამ ბუნებრივმა პირობებმა ხელი შეუწყვეს პრუსიელებს ისევ დაეწყოთ შეტევა: ბრძოლის დროს რუსეთის ჯარის მიმართულებით ჰქროდა ქარი, რის გამოც მტვერი და კვამლი პირისახეში სცემდა ჯარისკაცებს და მათ ხელს უშლიდა ბრძოლის ეფექტური წარმოებისათვის. ბოლოს პრუსიელებმა მთავარი შეტევა დაუწყეს რუსეთის არმიის მარჯვენა ნაწილებს და ძლიერი და სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა, რომელმაც გასტანა ღამის ღრმა სიბნელემდის. მიუხედავად მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვნობისა და ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, რუსეთის არმია მედგრად იცავდა პოზიციებს, ისე რომ ბოლოს პრუსიელები იძულებული გახდნენ დაეტოვებიათ თავიანთი პოზიციები და თავი შეეფარებიათ ტყისა და ჭაობებისათვის. 15 აგვისტოს ბრძოლა განახლდა, მაგრამ ამ დღეს რუსეთის არმიას არაფერი დაკლებია. მოწინააღმდეგემ კი, განსაკუთრებით მისმა კავალერიამ, დიდი ზარალის ნახვის შემდეგ უწესრიგოდ დაიხია უკან. 16 აგვისტოს დილით რუსეთის არმიამ გაილაშქრა გროსკამინისაკენ. ფრიდრიხის არმიამ უკან დაიხია და განლაგდა ტაპსელისა და ვალნესდორფის სოფლებს შორის[1].

ქართული ჰუსართა პოლკიდან ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა 437 მეომარი, რომელთაგან მოკლული და უგზო-უკვლოდ დაკარგული აღმოჩნდა 46, მძიმედ დაჭრილი—8, მსუბუქად დაჭრილი—4, ხოლო უვნები—379[2]. უგზო-უკვლოდ დაკარგულ ქართველ ჰუსართა შორის აღმოჩნდა დავ. გურამიშვილი.

როგორც აღვნიშნეთ, ცორნდორფთან გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 14 აგვისტოს, მაგრამ ამ დღეს არაა მოსალოდნელი დავ. გურამიშვილის დატყვევება[3]. დავ. გურამიშვილი აღნიშნავს,

---

[1] Коробков Н., Семилетняя война, Воениздат, Москва, 1940, стр. 168—184.

[2] Семилетняя война, с предисловием и под редакцией проф. Н. М. Коробкова. Военное издательство Министерства вооруженных сил Союза ССР, Москва, 1948, стр. 337. ცნობა შედგენილია 21 აგვისტოს 1758 წ. (ЦГВИА, ფონდი 27, შეკვრა 2, ნაწ. II, ფ. 288).

[3] ცორნდორფის ბრძოლის შემდეგ რუსეთის არმიისათვის შექმნილი კრიტიკული მდგომარეობისა გამო, გენერალ ფერმორის განკარგულებით ადგილობრივ განადგურებულ იქნა საველე კანცელარიის ყველა საქმე, რის გამოც ბევრი საყურადღებო დოკუმენტს ჩვენამდე არ მოუღწევია (ЦГВИА, ფონდი 39, ანაწერი 1/719, ფ. 1).

რომ ის ტყვედ მაშინ ჩაუვარდა პრუსიელებს, როდესაც უკანასკნელებს მისდევდა და მოულოდნელად ჩაეფლო ჭაობში მისი ცხენი. მაშასადამე, პოეტი იმ დროს არის ტყვედ ჩავარდნილი, როდესაც დამარცხებული ფრიდრიხის ჯარი უწესრიგოდ იხევდა უკან, ამას კი ადგილი ჰქონდა 15 აგვისტოს. ამ დღეს პრუსიის არტილერია დაესხა თავს რუსეთის ჯარს, მაგრამ რუსეთის არტილერიამ ისეთი მძლავრი დარტყმა აგემა ფრიდრიხის არტილერიას, რომ მძიმე დანაკლისით იძულებული გახადა უწესრიგოდ დაეხია უკან კისტრინისაკენ.ასე რომ, დავ. გურამიშვილის ტყვედ ჩავარდნა საფიქრებელია მომხდარიყო 15 აგვისტოს.

XIII

დღემდე გაურკვეველი იყო მეტად საყურადღებო საკითხი დავ. გურამიშვილის ბიოგრაფიიდან, სახელდობრ როდის და როგორ განთავისუფლდა პოეტი ტყვეობიდან. ამ საკითხის შესახებ 1882 წ. თ. ჟორდანია წერდა: „არ ვიცით რამდენს ხანს დარჩა გურამიშვილი ტყვედ გერმანიაში, მაგრამ უეჭველია, რომ 1762 წელში ის უნდა თავისუფალი ყოფილიყო, რადგან ამ დროს რუსეთი და პრუსია დამეგობრდნენო“[1]. სხვა მკვლევრებიც (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე) ფიქრობდნენ, რომ დავ. გურამიშვილი ტყვეობიდან განთავისუფლდა შვიდწლიანი ომის დამთავრების შემდეგო, მაგრამ ახლად აღმოჩენილი დოკუმენტების მიხედვით ეს მოსაზრება არ მართლდება. არაა სწორი თ. ჟორდანიას მოსაზრება იმის შესახებაც, თითქოს დავ. გურამიშვილი პრუსიასთან საბოლოო ზავის დადების შემდეგ, პოეტის თანამემამულეებს გამოეხსნათ ტყვეობიდან. მართალია, ქართველებმა თხოვნით მიმართეს მთავრობას, რომ მათთვის ფულის შეგროვების ნებართვა მიეცათ, რომ დაეხსნათ თავიანთი თანამემამულეები ტყვეობიდან, მაგრამ სენატმა ამის ნება არ დართო, რის შესახებაც სპეციალური ბრძანებულებაც კი იქნა გამოცემული 1762 წ. 14 ივნისს.

1759 წლის 4 ოქტომბერს ბიტოვაში რუსეთსა და პრუსიას შორის დაიდო ხელშეკრულება ტყვეების გაცვლა-გამოცვლისა და გამოსყიდვის შესახებ.

---

[1] თ. ჟორდანია, დავ. გურამიშვილი და მისი დრო, „ივერია“, 1882, № 1, გვ. 49.



გენერალ-ფელდმარშალი პ. პ. ლ ა ს ი
რუსეთის არმიის მთავარსარდალი რუსეთ-შვეციის
ომში (1741—1743)



გენერალ-ანშეფი ე. ე. ფ ე რ მ ო რ ი
რუსეთის არმიის მთავარსარდალი 1754—1759 წწ.



გენერალ-ფელდმარშალი ს. თ. აპრაკსინი
რუსეთის არმიის მთავარსარდალი შვიდწლიან ომში
1757 წ. სექტემბრამდე



გენერალ-ფელდმარშალი პ. ს. სალტიკოვი
რუსეთის არმიის მთავარსარდალი 1759—1760 წწ.
დავ. გურამიშვილს მისცა პასპორტი მარიენბურგში
1759.17.XII

ამ ხელშეკრულებით, ტყვეთა განთავისუფლება უნდა მომხდარიყო რიგის მიხედვით და გაცვლა-გამოცვლის წესით. მაგრამ თუ რომელიმე მხარეს მეტი ტყვე აღმოაჩნდებოდა, იმ შემთხვევაში მოპირდაპირე მხარე ვალდებული იყო თავიანთი ხალხი გამოესყიდა ნაღდ ანგარიშზე. საამისოდ ხელშეკრულება ითვალისწინებდა თითოეულ სამხედრო ჩინის გამოსყიდვის ღირებულებას[1].

ამ ხელშეკრულების ძალით, დავ. გურამიშვილი მეორე წყებაში ჩანს განთავისუფლებული. დოკუმენტების ცნობის მიხედვით პოეტი გაუთავისუფლებიათ 1759 წ. 7 დეკემბერს. მისი განთავისუფლება უნდა მომხდარიყო გაცვლა გამოცვლის წესით, რადგანაც ტყვეთა რაოდენობა რუსეთის არმიას გაცილებით მეტი ყავდა, ვიდრე პრუსიის სარდლობას.

ახლა უნდა დაისვას საკითხი: როდის განთავისუფლდა დავ. გურამიშვილი სამხედრო სამსახურიდან.

ამ საკითხის შესახებ 1882 წელს თ. ჟორდანია წერდა: „გურამიშვილმა გუსართა პოლკი დატოვა მხოლოდ მაშინ, როდესაც სიბერემ უსწრო და მსახურის ტვირთის ზიდვა აღარ შეეძლო“. ეს კი, თ. ჟორდანიას აზრით, მოხდა 1773—1774 წლებში[2].

თ. ჟორდანიას დასკვნიდან ისე გამოდის, რომ დავ. გურამიშვილს ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ კვლავ განუგრძია სამხედრო სამსახურში ყოფნა, სადაც მას დაუყვია 1773 თუ 1774 წლამდე. მაგრამ ეს მოსაზრება სწორი არ არის. თვით დავ. გურამიშვილი აღნიშნავს, რომ „მუნით“, ე. ი. მაგდებურგის ციხიდან „ვიხსენ, შინ წამოველ, ქერი ვხან და ყანა, ფეტვიო“. აქედან აშკარად ჩანს, რომ დავ. გურამიშვილს ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ აღარ უმსახურია სამხედრო ნაწილში, ის ტყვეობიდან გამოსვლისთანავე გაუნთავისუფლებიათ სამხედრო სამსახურიდან, რაც სრულ ჭეშმარიტებას შეიცავს.

მართლაც, როგორც ახლად აღმოჩენილი დოკუმენტებიდან ჩანს, დავ. გურამიშვილი სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებისათვის ზრუნვას შედგომია ტყვეობიდან დაბრუნებისთანავე. როგორც აღვნიშნეთ, ტყვეობიდან ჩვენი პოეტი გაუნთავისუფლებიათ 1759 წლის 7 დეკემბერს. განთავისუფლების შემდეგ დავ. გურამიშვილი გამოცხადებულა თავის ნაწილში. ამ დროს მთავარ-

[1] ЦГВИА, ფონდი 39, ანაწ. 1/79, შეკ. 14; Журнал о военных действиях Российской императорской армии, ч. II, 1759 и 1760 гг., стр. 131, 152. Спб., 1763 г. დავ. გურამიშვილი ამ დროს პოდპორუჩიკი იყო. ხელშეკრულებით ხუთი პოდპორუჩიკისათვის იღებდნენ 25 გულდენს. ასი გულდენი ჩვენი ფულით 105 მან. 26 კაპიკია.

[2] „ივერია“, 1882, № 2, გვ. 3—4.

სარდლის მოვალეობას ასრულებდა (1759 წ. მაისიდან) გენერალ-ფელდმარშალი პეტრე სიმონის ძე სალტიკოვი (1698—1772 წ.), რომელიც 1759 წ. დეკემბერში დაბა მარიენბურგში იმყოფებოდა.

დავ. გურამიშვილი დაავადმყოფებული იყო და თხოვა სალტიკოვს გაეშვა ის პეტერბურგში, რათა გამოცხადებულიყო სახელმწიფო სამხედრო კოლეგიაში ქართული ჰუსართა პოლკიდან განსათავისუფლებლად.

1759 წ. 17 დეკემბერს გენერალ-ფელდმარშალმა სალტიკოვმა გასცა დავით გურამიშვილზე მოწმობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ დავ. გურამიშვილი თავისი სურვილით იგზავნება პეტერბურგში და ჩასვლისთანავე ვალდებულია გამოცხადდეს სახელმწიფო სამხედრო კოლეგიაშიო. ამასთან ერთად მოწმობაში ისიცაა აღნიშნული, რომ დავით გურამიშვილს ყველგან მიეცეს თავისუფლად გასვლის ნებაო.

ამის შემდეგ დავ. გურამიშვილი სხვებთან ერთად გაემგზავრა პეტერბურგში. თუ ვინ იყვნენ მისი თანამგზავრნი, ამის შესახებ ცნობები არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა [1].


ერთ თვეზე მეტი დააგვიანდა დავით გურამიშვილს დანიშნულ ადგილზე გამოცხადება. ის მხოლოდ 1760 წლის 19 თებერვალს გამოცხადდა სამხედრო კოლეგიაში და გატარდა რეგისტრაციაში 107-ე ნომრით. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, პოეტი პეტერბურგის ჰოსპიტალში მოუთავსებიათ.

სამხედრო კოლეგიის გადამწერს პეტრე ტატარინოვს (თათარიშვილს?) დავით გურამიშვილმა დააწერინა რუსულად თხოვნა ელისაბედ დედოფლის სახელზე. ეს თხოვნა დავითის მიერ ხელმოწერილია რუსულად. თებერვლის რომელ რიცხვშია დაწერილი თხოვნა, არ ჩანს. რიცხვის ადგილი ცარიელია. თხოვნას გაკეთებული აქვს წარწერა, რომ გადაეცა განსახილველად 25 თებერვალს 1760 წელსო. მაგრამ აქ თარიღში შეცდომაა, რადგანაც, როგორც სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, 23 თებერვალს საქმეს უკვე მსვლელობა მიცემია. ასე რომ, თხოვნა დაწერილია 1760 წლის 23 თებერვლამდე.

ამ თხოვნაში დავ. გურამიშვილს მოთხრობილი აქვს თავისი თავგადასავალი ქართულ ჰუსართა ასეულში შესვლის დროიდან

---

[1] ყოფილ ტყვეთა ერთი წყება მარიენბურგიდან პეტერბურგში გამგზავრებულა 1759 წ. 7 დეკემბერს (ЦГВИА, ფონდი 39, ანაწ. 1/19, შეკ. 1, საქ. № 1, ფ. 94 რ).



დავით გურამიშვილის პასპორტის ფოტოპირი

ЦГВИА, ф. 10, оп. 109, д. 26, ф. 133

ტყვედ ჩავარდნამდე: სად, რომელ ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას, რა ჩინები მიიღო. აღნიშნული აქვს რომ ძიებაში, სამხედრო სამართალში და სახლში შეებულებით არ ვყოფილვარო.

ამასთან ერთად აღწერს თავის ჯანმრთელობის ვდგომარეობას: როდესაც ცხენი ჭაობში ჩამეფლო და ტყვედ ჩავვარდიო—წერს დავ. გურამიშვილი—ამ დროს დამიზიანდა ბარჯვენა მხარი, რომელსაც ახლაც ვერ ვხმაროობ თავისუფლადო. ამავე ტყვეობაში ყოფნისას თავში დამჩემდა ძლიერი ხმაური და შეპყრობილი ვარ იპოქონდრიით, მაქვს სუსტი მხედველობა. ყოველივე ამისა, და აგრეთვე მოხუცებულობის გამო, ჰუსართა პოლკში სამსახური აღარ შემიძლია განვაგრძოვო, და თხოვს დედოფალს, რათა დაუმტკიცედეს მას 1757 წელს წარდგენილი პორუჩიკის ჩინი, განთავისუფლებისას კი, წესის თანახმად, მოეცეს მორიგი ჩინი კაპიტნისაო.

სახელმწიფო სამხედრო კოლეგია შეუდგა საქმის შესწავლას. იმავე 23 თებერვალს დავით გურამიშვილი გაგზავნეს სამედიცინო კანცელარიაში ჯანმრთელობის შესამოწმებლად. სამხედრო კოლეგიის მიმართვა (№ 0202) სამედიცინო კანცელარიაში თვითონ წაიღო დავ. გურამიშვილმა.

სამედიცინო კანცელარიაში გურამიშვილს განუცხადებია, რომ ის „56 წლისაა, მსახურობს 1738 წლიდან, დაშავებულია თავში და აქვს სუსტი მხედველობა, მოტეხილი აქვს მარჯვენა მხარი ცხენიდან გადმოვარდნის გამო და თავისუფლად ვერ ამოძრავებს. მარცხენა გვერდში გრძნობს ტკივილებს“.

სამედიცინო დასკვნაში დადასტურებულია დავით გურამიშვილის სუსტი მხედველობა, მარჯვენა მხარის დაზიანება, მარცხენა გვერდში, ელენთის ახლოს, შემჩნეულია სიმაგრე, რაც იწვევს ტკივილებს, სხეული მთლად გაყვითლებული აქვს და სუსტად გრძნობს თავსო. საუბრიდან ირკვევა, რომ ავადმყოფი შეპყრობილია იპოქონდრიითო.

საექიმო დასკვნა შედგენილია 1760 წლის 25 თებერვალს. ეს დასკვნა სახელმწიფო სამხედრო კოლეგიამ მიიღო მეორე დღეს, 26 თებერვალს.

1760 წლის 29 თებერვალს დავით გურამიშვილმა სამხედრო კოლეგიას მისცა ჩვენება, რომ 1738 წელს, სამხედრო სამსახურში შესვლისას, სენატის მიერ მას მიეცა მფლობელობაში 30 კომლი („მალოროსიაში“).

სამხედრო კოლეგიამ დავით გურამიშვილის ქაღალდებიდან შეადგინა ექსტრაქტი, რომლის ბოლო ნაწილი ეხება ჩინის საკითხს,

როგორც აღვნიშნეთ, დავით გურამიშვილი დედოფალ ელისაბედს სთხოვდა, რომ მას დამტკიცებოდა 1757 წელს წარდგენილი პორუჩიკის ჩინი. ამას გარდა, ავადმყოფობისა და მოხუცებულობის გამო, გაეთავისუფლებიათ ის სამსახურიდან კაპიტნის ჩინით.

ამ საკითხის შესახებ სამხედრო კოლეგიამ შეკრიბა ცნობები, რომელთა მიხედვით გაირკვა, რომ 1758 წ. 5 სექტემბერში პოდპორუჩიკებიდან და ადიუტანტებიდან ჰუსართა პოლკებში პორუჩიკობა მიუღია 5 კაცს, მათ შორის ქართველ სპირიდონ გოგიბედაშვილს. შემდეგი წარდგინების თაობაზე ცნობა საქმეებში არ აღმოჩენილა. აღნიშნულ სიაში დავით გურამიშვილი შეტანილი არ ყოფილა, ხოლო წარდგენილი ცნობების მიხედვით, სპ. გოგიბედაშვილი მასზე უმცროსი ჩანს. ამას გარდა სპეციალური მითითებაც არსებობდა, რომლის მიხედვითაც შტაბისა და უფროსი ოფიცრები, რომლებიც 1757 წლის 19 აგვისტოს ეგერსდორფის ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას და მიიღეს ჭრილობა, ანდა მამაცობით ისახელეს თავი, მიუხედავად სტაჟისა, დაჯილდოებული ყოფილიყვნენ მორიგი ჩინით, განთავისუფლებულიყვნენ საველე სამსახურიდან და დაენიშნათ ოსტზეისისა და შინაგან გარნიზონებში; ვინც სამსახურს არ მოისურვებდა, ისინი უნდა გაეთავისუფლებიათ მორიგი ჩინის მიცემით.

1760 წ. 14 იანვრის რესკრიპტრის თანახმად ოფიცერთა შემადგენლობიდან ვინც ცორნდორფის ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა და ტყვედ ჩავარდა, ხოლო შემდეგ განთავისუფლდა, მათი ჩინზე წარდგენიას უნდა ეხელმძღვანელათ უფროსობისა და დამსახურების მიხედვით, სამხედრო სამსახურის სტაჟში უნდა ჩათვლოდათ ტყვეობის ხანაც. კოლეგიამ გამოითხოვა ტყვეთა სახელობითი სია. სიაში აღმოჩნდა დავით გურამიშვილიც.

დავით გურამიშვილის თხოვნა და თანდართული დოკუმენტები სამხედრო კოლეგიამ მოისმინა გენერალიტეტის საერთო კრებაზე 15 მარტს და გამოიტანა დადგენილება: დავით გურამიშვილი, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში უვარგისობის გამო, განთავისუფლდეს სამსახურიდან, დარჩეს მთლიანად თავის კმაყოფაზე და დაჯილდოებულ იქნეს კაპიტნის ჩინითო. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა, როგორც ჩანს, კოლეგიის დადგენილება დასამტკიცებლად წარუდგენიათ ელისაბედ დედოფლისათვის. უკანასკნელს კოლეგიის დადგენილება დაუმტკიცებია, ოღონდ კაპიტნის ჩინის ნაცვლად დავით გურამიშვილს რგებია პორუჩიკის ჩინი. ამის

გამო დავით გურამიშვილის საქმე სამხედრო კოლეგიას კვლავ განუხილავს გენერალიტეტის საერთო კრებაზე 1 ივნისს და დაუდგენია: „პრუსიაში ყოფილი ტყვე, ქართული ჰუსართა პოლკის პოდპორუჩიკი თავადი დავით გურამიშვილი, ავადმყოფობისა, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში უვარგისობის გამო, დარჩეს თავის კმაყოფაზე, დაჯილდოებულ იქნეს სახელობითი სიის მიხედვით პორუჩიკის ჩინით და ამოირიცხოს პოლკის სიიდან“.

სამხედრო კოლეგიის ეს გადაწყვეტილება უნდა ეცნობებიათ ივნისში (რიცხვი არაა აღნიშნული) უფროს სამხედრო კომისარი მერლინისათვის და გენერალ-ფელდმარშალ სალტიკოვისათვის. დადგენილებაში ისიცაა აღნიშნული, რომ მერლინის უწყებას ანგარიში უნდა გაესწორებია დავით გურამიშვილისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, დადგენილების გაგზავნას დაგვიანებია მერლინის უწყებაში, რის გამოც 1760 წლის 20 ივნისს დანიელ მერლინი თვითონ სთხოვს სამხედრო კოლეგიას ცნობებს დავით გურამიშვილის შესახებ, თუ საიდან და როდის გაიგზავნა ის გასათავისუფლებლად, როდის გამოცხადდა სამხედრო კოლეგიაში, გამოცხადების შემდეგ მუდამ კოლეგიაში იმყოფებოდა თუ არა, ხომ არ უნდა ამოირიცხოს პოლკიდან და თუ ამოირიცხება, რომელ თვიდან და რიცხვიდან.

21 ივნისს სამხედრო კოლეგიიდან მერლინმა მიიღო ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, თუ როდის გასცა პასპორტი სალტიკოვმა დავით გურამიშვილზე, როდის გამოცხადდა ის სამხედრო კოლეგიაში, იქვეა სამხედრო კოლეგიის 1 ივნისის დადგენილება დავით გურამიშვილის პოლკიდან განთავისუფლების შესახებ.

ამის შემდეგ დავით გურამიშვილმა 28 ივნისს, სამხედრო კოლეგიის დადგენილების თანახმად, მერლინის კანცელარიაში ჩინის აღმატებისათვის გადაიხადა ჰოსპიტლის ანგარიშში 12 მანეთი და 50 კაპ. და მიიღო ქვითარი.

1760 წ. 3 ივლიას დავით გურამიშვილს ჩამოართვეს დედოფალ ელისაბედ პეტრეს ასულიადმი ერთგულობის ფიცის ქაღალდი, რის შემდეგ, სამხედრო კოლეგიის განკარგულობით, კადეტთა კორპუსის სტამბაში მან შეიტანა ფორმა № 2, დაბეჭდვის პატენტის გადასახადი, რის შესახებაც სამხედრო კოლეგიას ეცნობა სტამბიდან 1760 წლის 5 ივლისა. იმავე წლის 6 ივლისს დავით გურამიშვილმა მიიღო საბოლოო ბრძანებულება, რომელშიაც აღნიშნულია მისი მოღვაწეობა, ჩამოთვლილია წარჩინება ჰუსართა პოლკში და ბოლოს 1 ივნისის ზემოთ მოყვანილი დადგენილება სამხე-

დრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. დასასრულ, დართულია დამატებითი ცნობა იმის შესახებ, რომ დავით გურამიშვილი „მისი იმპერატორობის უმაღლესობის ბრძანებულებით გაშვებულია შინ «მალოროსიაში», აღნიშნულ ჩინზე კოლეგიაში მას ჩაეთვა ფიცი და აღმატებულებისათვის გადასაბადიო“. დედანი ამ ბრძანებულებისა, როგორც აღვნიშნეთ, მიიღო დავით გურამიშვილმა.

ახლა გასარკვევია საკითხი: დავ. გურამიშვილი 1760 წელს საბოლოოდ ჩამოშორდა სამხედრო სამსახურს თუ კვლავ დაუბრუნდა მომქმედ არმიას?

XIV

ერთ ლექსში დავ. გურამიშვილი აღნიშნავს რა პრუსიის ტყვეობიდან განთავისუფლებას, დასძენს:

...შინ წამოველ ქერი ვხან და ყანა, ფეტვი.
ფეტვი ბევრი მოვიყვანე, მაგრამ ვერა ვჰამე მჭადი,
მე მომითხრეს: მანდედამე ახლა ადექ, სხვაგან წადი.
ძალ-უნებრივ წამიყვანეს, სადაც არა ვიყავ მწადი.
ვამე ტკბილო სიცოცხლეო, რომ შენ ასე გამიმწარდი![1]

ამ ცნობის შესახებ თ. ჟორდანია წერდა: „ძნელი გასაგებია, რას შესჩივის პოეტი ამ უკანასკნელ ტაეპში. ვინ მოსწყვიტა იგი თავის სახლ-კარსა და ძალა-უნებურად წაიყვანა? სად წაიყვანეს და რისთვის? არსაიდანა სჩანს, რომ პრუსიასთან ომის გათავების შემდეგ გამოცვლილიყოს ძირეულად ცხოვრებითი გარემოება ქართველთ გუსართა პოლკისა. ნუთუ რუსთმთავრობას ეხლა მოაგონდა ის გადაწყვეტილება, რომელიც შესდგა 1742 წელს ქართველი პოლკის აყრაზე მცირე რუსეთიდან და ორენბურგში[2] გადაყვანაზე? ვინ იცის, იქნება რაიმე განკარგულება მოხდა ნახევარი წლის მეფობის განმავლობაში პეტრე მესამისა, რომელიც აღარ აღსრულდა იმის სიკვდილის შემდეგ (1762 წ.)? ჩვენ უფრო გვჯერა ის აზრი,—ასკვნის თ. ჟორდანია,—რომ პეტრე III მეფის დროს მთავრობამ სრულიად შეიმუშავა ის პროექტი ქარ-

[1] დავ. გურამიშვილი, დავითიანი, ალ ბარამიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1931, გვ. 143—144.

[2] დღევანდელ ადგილას ორენბურგის გაშენება დამტკიცდა 1742 წ. 15 ოქტომბერს.

თველთ ორენბურგში გადასახლებაზე, რომელიც გამოვიდა პირველად, როგორც გაუთავებელი წინადადება 1742 წელს და კიდევაც აღასრულა, მაგრამ ეკატერინე დიდის ტახტზე ასვლის შემდეგ ქართველობა ისევ თავის ადგილას დარჩა". თ. ჟორდანია კიდევაც უჩვენებს კონკრეტულად, თუ სად უნდა დაესახლებიათ დავ. გურამიშვილი. მისი აზრით, დავ. გურამიშვილი გადაჰყავდათ „მცირე რუსეთიდან" სადღაც „ამობოლსა". ამის დასამტკიცებლად მკვლევარს მოყავს დავ. გურამიშვილის შემდეგი სტროფი, რომელიც, მისი აზრით, უფრო გვიანაა დაწერილი, ვიდრე ზემოთ მოყვანილი სტროფი:

ვით თავს მივსცე მოსვენება, ვით მივაგო ამო მრბოლსა?
ახალ-დაბას ნუღარ ხარო, მეძახიან ამობოლსა,
აწ რომ მე იქ წამიყვანონ, ვინ გამიზრდის ამ ობოლსა?

მოხსენებული „ამობოლსა" — წერს თ. ჟორდანია — უნდა იყვეს ორენბურგი ან იმ გუბერნიაში მყოფი ქალაქი, ან სოფელი. „ამობოლსა" შეიძლება წაიკითხებოდეს ეგრეც: ამო (ე. ი. ამოდი, წამოდი) ბოლსა, რომელიც უნდა იყოს სოფლის ან ადგილის სახელი. „ახალ-დაბა", როგორც ჩანს, ის სოფელია მცირე რუსეთისა, სადაც თვით პოეტი ცხოვრობდა" [1].

თ. ჟორდანიას მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ საეჭვოა. ისეთი დიდი საქმის სისრულეში მოყვანისათვის, როგორიც იყო ქართველების უკრაინიდან აყრა და ორენბურგში გადასახლება, მეფის ბრძანებულების გარეშე წარმოუდგენელია. ბრძანებულება კი ამ საკითხის შესახებ არ არსებობს და არც შეიძლება არსებულიყო.

